სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული თამაშობების წესი

ავტორიზაციის სერტიფიკატი #GE-CA-A0006-1; #GE-CA-A0006

შპს „ლიდერ-ბეთ სლოტი“ იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ლვოვის ქ. #2

სამორინე მოეწყობა შპს „ლიდერ-ბეთ სლოტი” მიერ მისამართზე: მისამართზე: ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა ბაკურიანი, თრიალეთის ქუჩა N 5. ს/კ 64.30.04.854.01.02.500 განთავსებული ავტოსადგომი სართული 1,-3.00 ნიშნული, დარბაზი #2. ნებართვა: #19-04/95 საფუძველზე, სისტემურ-ელექტრონული ფორმით (ინტერნეტით) ყოველდღე 24 საათის განმავლობაში მოეწყობა და იფუნქციონირებს ვებ-გვერდი მისამართით: www.lider-bet.com.

ვებ-გვერდზე, ქართული ენაზე მითითებულია: შპს “ლიდერ-ბეთ სლოტი“, შპს იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, ნებართვის ნომერი, თამაშობების ჩამონათვალი, თამაშის დეტალური წესები, ინფორმაცია 25 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქის, 18 წლამდე ასაკის უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის, დამოკიდებულ პირთა სიასა და აკრძალალ პირთა სიაში შეყვანილი პირების თამაშობაში მონაწილეობის აკრძალვის შესახებ.

სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი თამაშობები წარმოადგენს სერვერულ პროგრამას, რომლის მეშვეობითაც მომხმარებლებს საშუალება აქვს ინტერნეტით მიიღოს:

ა) მონაწილეობა აზარტულ თამაშობებში;

ბ) აზარტული თამაშობების შედეგებიდან გამომდინარე შესაბამისი მოგება.

სისტემურ-ელექტრონული ფორმით (ინტერნეტით) მოწყობილი თამაშობების მართვა და ორგანიზება ხდება სპეციალური პროგრამული კომპლექსის (სერვერი) საშუალებით, რომელიც განთავსებულია მისამართზე: ქ. თბილისი, ლვოვის ქ. #2. სერვერი უზრუნველყოფილია მუდმივი დენის წყაროთი.

ინტერნეტით მოწყობილი აზარტული თამაშობები იმუშავებს და მოგებებს გასცემს ყოველდღე 24 საათის განმავლობაში.

პრეტენზიები განიხილება ყოველდღე მისი წარმოდგენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა. პრეტენზიები წარმოდგენილი უნდა იყოს შპს “ლიდერ-ბეთ სლოტი” დირექტორის სახელზე წერილობით, მისამართზე: ქ. თბილისი, ლვოვის ქ. #2 ან ელექრონულად მისამართზე: www.support@lider-bet.com და იგი განიხილება ერთობლივად შპს-ს დირექტორის, მონიტორინგის სამსახურის უფროსის და იურისტის მიერ. პასუხი ეცნობებათ პრეტენზიის წარმომდგენს შესაბამისად როგორც წერილობითი ფორმით მისამართზე, რომელიც მითითებულია პრეტენზიის წერილობით წარმომდგენის განცხადებაზე (პასუხისმგებლობა მისამართის სისწორეზე ეკისრება პრეტენზიის წარმომდეგენს), ასევე ელექრონული ფორმით პრეტენზიის წარმომდგენს იმ ელექრონულ მისამართზე საიდანაც გამოგზავნილი იქნა ელექრონულად პრეტენზია

სათამაშო ანგარიშზე თანხის შეტანა და გატანა

სათამაშო ანგარიშზე თანხის შეტანა და გატანა შესაძლებელია ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებით:

ა) სადებეტო/ საკრედიტო ბარათი;

ბ) საგადახდო სისტემის პროვაიდერი;

გ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სალარო;

დ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებულ ობიექტებზე განთავსებული სალარო;

ე) მომსახურების გადახდის აპარატი (24 საათის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარისა).

საგადახდო პროვაიდერი “ოლ ფეი ვეი”–ს სალაროები მათი სამუშაო დღეებისა და სამუშაო საათების მიხედვით

1. ქ. ფოთი, ჭანტურიას ქ. #11	(ორშაბათი-შაბათი 10:00-18:00სთ).
2. ქ. ზესტაფონი ჭანტურიას ქ. # 2	(ყოველდღე 10:00-18:00სთ)
3. ქ. ქუთაისი, დავით აღმაშენებლის მოედანი# 2	(ყოველდღე10:00-19:00სთ)
4. ქ. სამტრედია, თამარ-მეფის ქ. #1	(ყოველდღე 11:00-18:00სთ)
5. ქ. ბორჯომი, რუსთაველის ქ. #121	(ორშაბათი-შაბათი 11:00-18:00სთ)
6. ქ. თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ. #6	(ყოველდღე 10:00-20:00სთ)
7. ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. #25	(ყოველდღე 11:00-18:00სთ)
8. ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. #39	(ყოველდღე 11:00-19:00სთ)
9. ქ. ოზურგეთი, თაყაიშვილის ქ. #2	(ორშაბათი-შაბათი 10:00-18:00სთ)
10. ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი #6	(ორშაბათი-შაბათი 10:00-18:00სთ)
11. ქ. თელავი, ვარდოშვილის ქ. #22	(ორშაბათი-შაბათი 10:00-18:00სთ)
12. ქ. ფოთი, შ. მეგრელიშვილის ქ. #1	(ორშაბათი-შაბათი 10:00-18:00სთ)
13. ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. #122	(ყოველდღე 10:00-18:00სთ; სამშაბათი დასვენების დღე)
14. ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. #101	(ყოველდღე 10:00-18:00სთ)
15. ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქ. # 56	(ყოველდღე 10:00-18:00სთ)
16. ქ. ქობულეთი, თავისუფლების ქ. #6	(ორშაბათი-შაბათი 10:00-18:00სთ)
17.ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. #18/მაზნიაშვილის ქ. #68	(ყოველდღე 11:00 – 19:00 სთ)
18. ქ. ხაშური, რუსთაველის ქ. #42	(ყოველდღე 11:00 – 19:00 სთ)
19. ქ. ფოთი, ფარნავაზ მეფის ქ. ნაკვეთი N081	(ყოველდღე 11:00 – 19:00 სთ)

20. ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. #24 (ყოველდღე 11:00 – 19:00 სთ)
21. ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. #91, (ყოველდღე 11:00 – 19:00 სთ)
22. ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. #7 (მეგობრობის გამზ. #51) (ყოველდღე 11:00 – 18:00 სთ)
23. ქ. თბილისი ვაჟა ფშაველას გამზირი #46 (ყოველდღე 11:00 – 19:00 სთ)
24. ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის N67, შენობა-ნაგებობა N1, ნაკვეთი N1-1-2 (ყოველდღე 11:00 – 19:00 სთ)
25. ქ. თბილისი, მეტრო/სადგური "ვარკეთილი" მიმდებარედ, ნაკვეთი N003/005 შენობა-ნაგებობა N1, II სართული (ორშაბათი-კვირა 11:00-18:00სთ)
26. ქ. თბილისი გამსახურდიას გამზირი #4ა (ყოველდღე 24 საათის განმავლობაში)
27. ქ. თბილისი ყაზბეგის გამზირი #19 (ყოველდღე 24 საათის განმავლობაში)
28. ქ. თბილისი ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ (ყოველდღე 24 საათის განმავლობაში)
29. ქ. თბილისი ცაბაძის ქუჩა #8 (ყოველდღე 24 საათის განმავლობაში)
30. ქ. თბილისი ხიზანიშვილის ქ. #8 (ყოველდღე 24 საათის განმავლობაში)
31. ქ. თბილისი გურამიშვილის გამზირი #70 (ორშაბათი-კვირა 10:00-20:00 სთ)
32. ქ. რუსთავი ლეონიძე მესხიშვილის კვეთაზე სალარო (ორშაბათი-კვირა 10:00-19:00 სთ)
33. ქ. მარნეული რუსთაველის ქ. #37 (ყოველდღე 11:00 – 19:00 სთ)
34. ქ. გორი რუსთაველის ქ. #67 (ყოველდღე 11:00 – 19:00 სთ)
35. ქ. კასპი აღმაშენებლის ქ. # 2 (ყოველდღე 11:00 – 18:30 სთ)
36.ქ. ნინოწმინდა თავისუფლების ქ. # 21 (ყოველდღე 11:00 – 18:00 სთ)
37. ქ. ახალქალაქი თავისუფლების ქ #24 (ორშაბათი-შაბათი 10:00-18:00 სთ. კვირა11:00-15:00 სთ)
38.ქ. ახალციხე კოსტავას ქ. #59 (ყოველდღე 11:00 – 19:00 სთ)
39. ქ. ლაგოდეხი ზაქათალას ქ. # 5ა (ყოველდღე 11:00 – 19:00 სთ)
40. ქ. წნორი თავისუფლების ქ. # 7 (ყოველდღე 11:00 – 19:00 სთ)
41. ქ. საგარეჯო რუსთაველის ქ. # 166 (ყოველდღე 11:00 – 19:00 სთ)
42. ქ. ქუთაისი ბუხაიძის ქ. # 20 (ყოველდღე 24 საათის განმავლობაში)
43.ქ. სამტრედია ჭავჭავაძის ქ. # 10 (ყოველდღე 11:00 – 19:00 სთ)
44. ქ. ტყიბული რუსთაველის ქ. # 5 (ყოველდღე 11:00 -20:00 სთ)
45. ქ. საჩხერე აღმაშენებლის ქ. # 2 (ორშაბათი-შაბათი 10:00-18:00)
46. ქ. ზუგდიდი კოსტავას ქ. # 56 (ყოველდღე 11:00 – 19:00 სთ)
47. ქ. სენაკი რუსთაველის ქ. #243 (ყოველდღე 11:00 – 19:00 სთ)
48. ქ. ბათუმი გორგილაძის ქ. # 49 (ყოველდღე 11:00 – 19:00 სთ)
49. ქ. ბათუმი ჭავჭავაძის გამზ. #22 (ყოველდღე24 საათის განმავლობაში)
50. ქ. თბილისი პეკინის ქ. # 33 (ორშაბათი-შაბათი 10:00-19:00 სთ)
51. ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. #67 (ყოველდღე 11:00 – 18:00 სთ)
52. ქ. ქობულეთი აღმაშენებლის ქ. #122 (ყოველდღე 11:00 – 19:00 სთ)
53. ქ. საჩხერე, ივ. გომართელის ქ. #2 (ორშაბათი-კვირა 11:00-18:00სთ)
54. ქ. ქარელი, საბჭოს ქ. #92 (ყოველდღე 10:00-18:00სთ)
55. ქ. თელავი ქ. წამებულის ქ. #11 (ყოველდღე 10:00-18:00სთ)

დეპოზიტის, ბალანსის მმართვის წესი.

სათამაშო ანგარიშზე თანხის გატანა შესაძლებელი, მხოლოდ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „სისტემურ-ელექტრონული ფორმით ლატარიის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელის მიერ მოთამაშის რეგისტრაციის, იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის“ შესაბამისად ვერიფიცირებული მოთამაშეებისთვის;

მოგებული თანხის გასატანად მოთამაშე ვალდებულია მოლარე-ოპერატორს წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რომელზედაც განთავსებულია მომხმარებლის ფოტოსურათი და შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირადი მონაცემების საშუალებით.

მოლარე-ოპერატორი მოთამაშის იდენტიფიცირების მიზნით ამოწმებს კომპანიის ბაზაში მომხმარებლის ვერიფიკაციის დროს ატვირთული დოკუმენტის იდენტურობას და პერსონალურ მონაცემებს. ვიზუალურად ადგენს მომხმარებლისა მსგავსებას მის ბაზაში არსებულ დოკუმენთან მიმართებაში. საჭიროების შემთხვევაში, ამოწმებს მოთამაშის მონაცემებს სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.

მოთამაშის მიერ სათამაშო ანგარიშიდან თანხის გატანისას ოპერაციების მის სისტემაში სრულად აღრიცხვა და შეინახვას მომხმარებლის მონაცემებს იმგვარად, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მის შესახებ ინფორმაციის გონივრულ ვადაში მოძიება და ამოღება;

ანგარიშიდან თანხის გატანა შესაძლებელია, მხოლოდ სათამაშო ანგარიშის მფლობელ მოთამაშეზე ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელზე (რაც უნდა დასტურდებოდეს სანოტარო წესით დამოწმებული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტით).

მომხმარებლებს არ აქვთ უფლება მოახდინოს, მოთამაშეებს შორის სათამაშო ანგარიშებზე თანხის გადარიცხვა, ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტის გვერდის ავლით;

მოგებული თანხა მომენტალურად აისახება მომხმარებლის ანგარიშზე თამაშობის დასრულებისთანავე, შესაბამისად წაგებული თანხა კი ჩამოიჭრება მისი ანგარიშიდან. თუ თქვენს ბალანსზე არსებული თანხა მინიმალურ ფსონზე ნაკლებია, თქვენს მიერ არჩეული ფსონი არ იქნება დაფიქსირებული, რადგანაც კომპანია არ ითვალისწინებს კრედიტში თამაშს. მოთამაშეს არა აქვს უფლება ნება დართოს მესამე პირს გამოიყენოს მისი ანგარიში. მოთამაშე პირადად არის პასუხისმგებელი საკუთარ „პაროლზე", ანგარიშზე და თამაშის ისტორიაზე. მისი დაკარგვის ან/და სხვა პირზე გაცემის შემთხვევაში პასუხისმგებლობა მხოლოდ მოთამაშეს ეკისრება. კომპანიის ვებ გვერდზე www.lider-bet.com არსებული ანგარიშის არამიზნობრივი და არაკეთილსინდისიერი გამოყენების შემთხვევაში (თანხის შემოტანისა და 30%–ის გათამაშების გარეშე, ამ თანხის გატანის შემთხვევაში), კომპანია იტოვებს უფლებას, მომხმარებელს დეპოზიტზე არსებული თანხის გატანის მომენტში, საკომისიოს სახით გატანილი თანხიდან ჩამოაჭრას 10% (ათი).

მოთამაშის რეგისტრაციის, იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესი

ვებ-გვერდზე მისამართით: www.lider-bet.com შესვლისას თავდაპირველად მოთამაშეები ვალდებულნი არიან გაეცნონ სისტემურ-ელექტრონული ფორმით (ინტერნეტით) მოწყობილი თამაშობების წესებს, რომელიც გათავსებულია აღნიშნულ ვებ-გვერდზე და შესაბამისად უზრუნველყოფილია მათი საჯაროობა.

ვებ-გვერდზე რეგისტრაციით მომხმარებელი ეთანხმება თამაშობების არსებულ წესებს და შემდგომში მისგან თამაშის არსებულ წესებთან დაკავშირებით პრეტენზიები არ მიიღება, სისტემურ-ელექტრონული ფორმით (ინტერნეტით) მოწყობილი თამაშობების ვებ-გვერდზე რეგისტრაციის გავლისა და შესაბამისად თამაშობებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ 25 წლის ასაკის საქართველოს მოქალაქეს, 18 წლის ასაკის უცხო ქვეყნის მოქალაქეს/მოქალაქეობის არმქონე პირს და არ არის შეყვანილი დამოკიდებულ და აკრძალალ პირთა სიაში.

ვებ-გვერდზე მოთამაშის რეგისტრაცია:

სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოთამაშის ვებგვერდზე რეგისტრაცია შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პირადად მოთამაშის მიერ ელექტრონულად, ასევე ოპერატორის მიერ მოთამაშის უშუალოდ პირისპირ კონტაქტის საფუძველზე.

რეგისტრაციის დროს სავალდებულოა მიეთითოს სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია:

ა) მოთამაშის სახელი და გვარი;

ბ) მოთამაშის დაბადების თარიღი;

გ) მოთამაშის პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) პირადობის ან/და მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, გაცემის თარიღი, გამცემი ქვეყანა, გამცემი ორგანო და მოქმედების ვადა;

ე) მოთამაშის აქტიური ტელეფონის ნომერი;

ვ) მოთამაშის მიერ შერჩეული მომხმარებლის სახელი;

ზ) მოთამაშის ელექტრონული ფოსტის მისამართი;

თ) მოთამაშის პაროლი;

ი) თანხმობის ღილაკი, რომ მოთამაშე ეთანხმება წესებს/პირობებს, სრულწლოვანია და არ მისცემს მისი სათამაშო ანგარიშით სარგებლობის უფლებას სხვა პირ(ებ)ს.

ოპერატორი უფლებამოსილია, რეგისტრაციისას მოითხოვოს ნებისმიერი სხვა ინფორმაციის მითითება, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მოთამაშის პიროვნების დასადგენად ან/და მასთან საკომუნიკაციოდ.

ოპერატორი ვალდებულია, რეგისტრაციის დასრულების და სარეგისტრაციო მონაცემებში მითითებული ტელეფონის ნომრის გადამოწმების მიზნით, სარეგისტრაციო მონაცემებში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით გააგზავნოს მოკლე ვადიანი ერთჯერადი კოდი.

ოპერატორი მოთამაშის რეგისტრაციას ასრულებს მას შემდეგ, რაც მოთამაშე რეგისტრაციისათვის განკუთვნილ ვებგვერდზე შესაბამის ველში შეიყვანს სარეგისტრაციო მონაცემებში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მიღებულ ერთჯერად კოდს.

ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა"-„დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის ცვლილება ვერიფიცირებული მოთამაშის მიერ დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, აღნიშნული ინფორმაციის შეცვლის შემთხვევაში.

იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესი:

1. იდენტიფიკაციის პროცედურის გასავლელად, ოპერატორი იყენებს მოთამაშის მიერ ვებგვერდზე რეგისტრაციის მიზნით წარმოდგენილ პირად საიდენტიფიკაციო მონაცემებს/ინფორმაციას.

2. ოპერატორი ვალდებულია, საქართველოს მოქალაქის შემთხვევაში პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები, მოთამაშედ რეგისტრაციისა და რისკზე დაფუძნებული მიდგომისას, გადაამოწმოს სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში. ამ მიზნით, ოპერატორი უფლებამოსილია სააგენტოდან მიიღოს მოთამაშის შესახებ შემდეგი ინფორმაცია: სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, დოკუმენტის ნომერი და მოქმედების ვადა, ფოტოსურათი და რეგისტრირებული საცხოვრებელი მისამართი.

3. ვერიფიკაციის განსახორციელებლად მოთამაშემ ოპერატორს უნდა წარუდგინოს ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა"–„დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოქმედი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მოთამაშის ფოტოსურათს.

4. ოპერატორი ვალდებულია მოთამაშის ვერიფიკაცია განახორციელოს ქვემოთ მოცემული რომელიმე წესის შესაბამისად:
ა) ვებგვერდზე მოთამაშის ვერიფიკაციის მიზნით საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მოთამაშის ფოტოსურათი, გადაღებული დოკუმენტთან ერთად, სადაც გარკვევით იკითხება დოკუმენტის საიდენტიფიკაციო მონაცემები, ჩანს ფოტოსურათი და მოთამაშის სახე;
ბ) ვიდეო ზარის მეშვეობით. ვიდეო ზარის მეშვეობით მიღებული გამოსახულება პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს;
გ) მოთამაშესთან უშუალო კონტაქტის გზით, რა დროსაც ოპერატორი პირისპირ მოახდენს მის ვერიფიკაციას;
დ) მოთამაშის აქტიურ ტელეფონის ნომერზე მოკლევადიანი ერთჯერადი კოდის მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით გაგზავნის გზით, ასევე ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი მოკლევადიანი ერთჯერადი კოდის მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით გაგზავნის გზით;
ე) ტექნოლოგიური გადაწყვეტით, რომელიც იყენებს ბიომეტრიულ მონაცემებს გადაღებულ ფოტოსურათსა და საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ფოტოსურათზე ან/და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიღებულ ფოტოსურათზე გამოსახული პირის იდენტურობის დასადგენად.

შენიშვნა: დაუშვებელია მოთამაშის რეგისტრაციისას ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფორმით მოთამაშის ვერიფიკაცია.
შენიშვნა: მომხმარებლის ვერიფიკაციის დასრულებამდე მას არ ექნება საშუალება დადოს ფსონი მისთვის სასურველ პროგნოზზე.
5. ოპერატორი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად დარწმუნდეს, რომ სარეგისტრაციო მონაცემები შეესაბამება ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემთხვევაში ფოტოსურათზე მითითებულ პიროვნებას, „ბ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში ვიდეო ზარის განმახორციელებელ პირს, ხოლო „გ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში უშუალოდ ადგილზე მისულ პირს, და აღნიშნული პირი არ იძებნება სანქციადაკისრებულ პირთა სიაში.
6. მოთამაშის მიერ რეგისტრაციისას არასრულყოფილი ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში, ოპერატორი უფლებამოსილია, მოთამაშეს მისცეს ინფორმაციის/დოკუმენტების დამატებით წარდგენის შესაძლებლობა.
7. ამ წესის შესაბამისად ოპერატორის მიერ მოთამაშის ვერიფიკაციის მიზნით მოპოვებული დოკუმენტები უნდა ინახებოდეს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადით.
შენიშვნა: მოთამაშის აქტიური ტელეფონის ნომრის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ მოთამაშის ხელახალი ვერიფიკაციის გზით.
ყოველივე ზემოთ მოყვანილი პროცედურის გავლის შემდგომ მომხმარებელს მიენიჭება პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელიც ინდივიდუალურია (უნიკალურია) თითოეული მომხმარებლისთვის და არ მეორდება. ვებ-გვერდის ორგანიზატორთა მხრიდან მოთამაშის სარეგისტრაციო პაროლის საიდუმლოობა დაცულია, ხოლო მეორეს მხრივ მის საიდუმლოობაზე მოთამაშე თავად აგებს პასუხს, შესაბამისად მომხმარებლის ბრალეულობით პაროლის დაკარგვის ან მესამე პირზე (პირებზე) გადაცემის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა მოთამაშეს ეკისრება. ვებ-გვერდის ადმინისტრაცია უფლებამოსილია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, საკუთარი შეხედულებისამებრ უარი განუცხადოს მოქალაქეს ვებ-გვერდზე რეგისტრაციაზე.

მოთამაშის პერსონალური მონაცემების შენახვის წესი და ტექნოლოგიური აღწერილობა

შპს “ლიდერ-ბეთ სლოტი“ მოთამაშის პერსონალური მონაცემების დამუშავება/ შენახვისას მოქმედებს საქართველოს კანონის ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ შესაბამისად და იცავს კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. მოთამაშის პერსონალური მონაცემები:
ა) მუშავდება სამართლიანად და კანონიერად, სუბიექტის ღირსების შეულახავად;
ბ) შეიძლება დამუშავდეს, მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნებისათვის. შპს ,,ლიდერ-ბეთ სლოტი“ არ ახორციელებს მოთამაშის პერსონალური მონაცემების ისეთ დამუშავებას, რომელიც თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელია;
გ) შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მათი დამუშავება ხდება იმ მიზნის ადეკვატურად და პროპორციულად, რომლის მისაღწევადაც მუშავდება იგი.
დ) ნამდვილობასა და სიზუსტეს ამოწმებენ შესაბამისი თანამშრომლები ასევე საჭიროების შემთხვევაში ხდება აღნიშნული ინფორმაციის განახლება.
შპს ,,ლიდერ-ბეთ სლოტი“ მოთამაშის პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას და ხორციელდება აუცილებელი მომსახურების გასაწევად (რის დროსაც მონაცემების დამუშავება კანონმდებლობითაა გათვალისწინებული) და/ან მარეგურილებლის მოთხოვნებით გათვალისწინებული მოვალეობის შესასრულებლად. მოთამაშის დამუშავებული პერსონალური მონაცემების კოფედენციალურობა დაცულია კანონმდებლობის შესაბამისად.
შპს ,,ლიდერ-ბეთ სლოტი“:
ა) არ ამუშავებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, რომელთა დამუშავებაც საქართველოს კანონმდებლობითაა აკრძალული;
ბ) უზრუნველყოფს მოთამაშის პერსონალური მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან;
გ) ,,ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონიდან გამომდინარე მოთამასის პერსონალურ მონაცემებს ინახავს საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტიდან ან ერთჯერადი გარიგების დადებიდან 5 წლის განმავლობაში. აღნიშნული ვადა შეიძლება გაიზარდოს სამსახურის ან საზედამხედველო ორგანოს დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, არაუმეტეს 5 წლით.

შპს “ლიდერ-ბეთ სლოტი“ მიერ მოთამასის პერსონალურ მონაცემთა გაზიარება მესამე მხარისთვის ხდება, მხოლოდ კანონით დაშვებული საფუძველის არსებობისას.
მოთამაშის პერსონალურ მონაცემები ინახება შპს “ლიდერ-ბეთ სლოტი“ მონაცემთა ბაზაში დაშიფრულ მდგომარეობაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და მისი სარეზერვო ასლი არ არსებობს

ინტერნეტპლატფორმის/სისტემის დაცვის მექანიზმების ჩამონათვალი

მომხმარებლებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება HTTPS - TLS v1.2;
ა) სისტემასთან დისტანციური წვდომა ხორციელდება მხოლოდ VPNის საშუალებით;
ბ) სერვის პროვაიდერებთან (გადახდების მიღება, თამაშების ინტეგრაცია და ა.შ.) ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება დაშიფრული სახით;

თამაშების მართვის სისტემის აღწერილობა

თამაშების მართვის სისტემას გააჩნია მართვის პანელი საიდანაც ხდება თამშობების მართვა და რომელიც შედგება რამოდენიმე ძირითადი კომპონენტისგან:
ა) მომხმარებლები;
ბ) ტრანზაქციები ;
გ) თამაშების მართვა;
დ) სტატისტიკა
ა) მომხმარებლების სექცია მოიცავს ინფორმაციას მომხმარებლების შესახებ, კერძოდ:
1.მომხმარებლის უნიკალური კოდს (PinCode) და User Name;
2.ვერიფიკაციის სტატუსს;
3.რეგისტრაციის დროს მომხმარებლის მიერ შეყვანილ პირად ინფორმაციას;
4.ვერიფიკაციის დროს მომხმარებლის მიერ შეყვანილ/ატვირთულ პირად ინფორმაციას;
5. მომხმარებლის კონკრეტულ თამაშში რეგისტრაციის დროს ანუ პირველად როდის ჩართო და ითამაშა კონკრეტული თამაში;
6.ბოლო თამაშის თარიღს/დროს;
ბ)ტრანზაქციების სექცია მოიცავს მომხმარებლის ყველა ფინანსურ ტრანზაქციას, კერძოდ:
1.თანხის გადატანა და გადმოტანას თამაშში/თამაშიდან;
2.მომხმარებლის ბალანზე შეტანილი თანხა;
3.მომხმარებლის ბალანსიდან გატანილ თანხას;
4.თანხის გატანის და შეტანის არხს;
5.მომხმარებლის ბილეთის (წამახალისებელი/ტოტალიზატორი) დეტალებს.
გ) სექცია თამაშების მართვა მოიცავს ინფორმაციას სამორინეს თამაშების შესახებ:
1.თამაშის მომწოდებლის დასახელებას;
2. თამაშის დასახელებას;
3.თამაშის აიდი თამაშის სურათს
თამაშების მართვის სექციიდან შესაძლებელია თამაშის: დამატება/ამოღება/ თამაშის აიდი თამაშის სურათის ცვლილება
დ) სტატისტიკის სექცია მოიცავს ყველა ანალიტიკურ ინფორმაციას კონკრეტული პერიოდების ჭრილში. მაგალითად:
1.პოპულარული თამაშების იდენტიფიკაციას;
2.რომელი მომხმარებელია ყველაზე მეტად აქტიური;
3.მომხმარებლის ფინანსური აქტივობების ანალიტიკას
თამაშობების მართვა ასევე ხდება კონკრეტული თამაშობების მომწოდებლების მართვის პანელში, სადაც ინახება:
1.მომხმარებლის უნიკალური კოდი (PinCode);
2.ინფორმაცია თითოეულ ბეთზე თამაშის ჭრილში (რამდენი დაატრიალა, რამდენი მოიგო, რამდენი წააგო, რამდენი დადო, მომხმარებლების სრული აქტივობის ისტორია);
3.საფუძველი იმის თუ თამაშის პროგრამამ რატომ გასცა მოგება ან რატომ წააგო მომხმარებელმა;
4.სპინების დარიცხვის ისტორია.

ფინანსური ტრანზაქციების აღრიცხვისა და შენახვის დეტალური აღწერილობა

ფინანსური ტრანზაქციები ინახება მოთამაშეთა პერსონალურ მონაცემთა ბაზაში კანონით გათვალისწინებული ვადით და შეიცავს ტრანზაქციის აღრიცხვისა და იდენტიფიკაციისთვის საჭირო მონაცემებს:
1.ტრანზაქციის დაწყების და დასრულების დრო;
2.ტრანზაქციის უნიკალური იდენტიფიკატორი ჩვენი სისტემის მხარეს;
3.სერვის პროვაიდერის იდენტიფიკატორი;
4.ტრანზაქციის უნიკალური იდენტიფიკატორი სერვის პროვაიდერის მხარეს;
5.მომხმარებლის ანგარიშის ნომერი;
6.თანხის ოდენობა;
7.მომხმარებლის აიპი მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

8.ტრანზაქციის სტატუსი (დაწყებული, მიმდინარე, დასრულებული, გაუქმებული).

მოთამაშეთა ანგარიშები

მოთამაშის სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშის შექმნის მიზნით, სისტემურ-ელექტრონულმა ოპერატორმა, მის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული სისტემის/პლატფორმის ან/და მისი სხვადასხვა კომპონენტების/ მოდულების მეშვეობით: უნდა შექმნას მოთამაშის ელექტრონული ფაილი, რომელიც უნდა მოიცავდეს სულ მცირე:

მოთამაშის სახელსა და გვარს;

მოთამაშის დაბადების თარიღს;

მოთამაშის პირად ნომერს ან პასპორტის მონაცემებს;

მოთამაშის ანგარიშის უნიკალურ ნომერს ან/და შერჩეულ მომხმარებლის სახელს;

მოთამაშის რეგისტრირებულ საცხოვრებელ ადგილს;

მოთამაშის ელექტრონული ფოსტის მისამართს;

მოთამაშის ტელეფონის ნომერს;

ნებისმიერი სხვა მოპოვებული ინფორმაცია მოთამაშის მხრიდან ოპერატორის მიერ, რომელიც გამოყენებულ იქნამოთამაშის პიროვნების დასადგენად;

მოთამაშის პიროვნების ვერიფიკაციის მეთოდი;

მოთამაშის პიროვნების ვერიფიკაციის თარიღი;

უნდა მოთხოვოს მოთამაშეს პაროლის შექმნა ან/და სხვა დაცვითი მექანიზმებით სარგებლობა, ასევე რეკომენდაცია გაუწიოს მოთამაშეს,რომ მან ისარგებლოს ძლიერი ავთენტიკაციის მეთოდით;

უნდა შეინახოს მოთამაშის მიერ ოპერატორის წესებსა და პირობებზედათანხმების ფაქტი;

მოიპოვოს და შეინახოს მოთამაშის განცხადება/დასტური, რომ მის მიერ სისტემურ-ელექტრონული ოპერატორისთვის მიწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ მისთვის არ არის აკრძალული სისტემურ-ელექტრონულ თამაშობაში მონაწილეობის მიღება;

მოიპოვოს და შეინახოს მოთამაშის დასტური იმის შესახებ, რომ საქართველოში უცხო ქვეყნის მოთამაშის მინიმალური დაშვებული ასაკი არის 18 წელი, ხოლო საქართველოს მოქალაქის 25 წელი და რომ მოთამაშეს ეკრძალება ანგარიშით სარგებლობის უფლების მინიჭება ნებისმიერი სხვა პირისთვის;

აცნობოს მოთამაშეს ანგარიშის გააქტიურება ელექტრონული საშუალებით;

დაშიფროს მოთამაშის ფაილში არსებული ინფორმაცია, ასევე: მოთამაშის პირადი ნომრის ან/და სახელმწიფოს მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ანპასპორტის ნებისმიერი ნაწილი;

მოთამაშის პაროლ(ებ)ი;

მოთამაშის პირადი ფინანსური ინფორმაცია;

მოთამაშეებმა ანგარიშის შექმნისას უნდა გაიარონ ძლიერი ან ორბიჯიანი ავთენტიკაცია;

ოპერატორებს, შიდა კონტროლის ფარგლებში, უნდა გააჩნდეთ მოთამაშეთა მიერ ანგარიშის შექმნის, მოდიფიკაციის დაგაუქმების ნათლად ჩამოყალიბებული პროცედურა;

თუ, მოთამაშის ანგარიშზე აქტივობა არ მომხდარა 15 წუთის განმავლობაში, მან თავიდან უნდა შეიყვანოსავტორიზებისთვის საჭირო მონაცემები;

ავტორიზების 3 წარუმატებელი მცდელობის შემდეგ მოთამაშის ანგარიში უნდა დაიბლოკოს;

ყველა მოთამაშეს უნდა მიენიჭოს უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი;

მოთამაშეებს უნდა შეეძლოთ მომხმარებლის სახელების შექმნა, რომელიც გამოჩნდება და ხელმისაწვდომი იქნება სხვამოთამაშეების მიერ რიგ თამაშებში, როგორიცაა Peer-to-Peer თამაშები;

მოთამაშეებს ეკრძალებათ ფსონების განთავსება, თუ მათი სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიში არ შეიცავსფსონის განსათავსებლად საკმარის თანხას.

მოთამაშის ანგარიშის ყველა ცვლილება, რომელიც აღემატება 3000 ლარს, პერიოდულად უნდა იქნეს შემოწმებული სისტემურ-ელექტრონული ოპერატორის მიერ, მისი უფლებამოსილი/პასუხისმგებელი პირის ან სისტემის/პლატფორმისმეშვეობით, ხოლო შემოწმების ინფორმაცია უნდა იქნეს საიმედოდ დაცული საქართველოს მოქმედიკანონმდებლობის შესაბამისად. ოპერატორმა შესაძლებელი უნდა გახადოს ანგარიშის დახურვა მოთამაშის მიერ. დახურვის მეთოდი, ინსტრუქცია ან/დაპროცედურა ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც მოთამაშის პირადი გვერდის (პროფილის) მეშვეობით, ასევე ქოლცენტრის საშუალებით. იმ შემთხვევაში, თუ დახურვის მომენტში მოთამაშის ანგარიშზე განთავსებულია თანხა, იგი უნდადაუბრუნდეს მოთამაშეს.

მოთამაშის უმოქმედო ანგარიში

1. ანგარიში მიიჩნევა უმოქმედოდ, თუ მოთამაშეს არ უსარგებლია ამ ანგარიშით უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში. უმოქმედო ანგარიშები იხურება ოპერატორის მიერ.

2. უმოქმედო ანგარიშზე განთავსებული თანხები ჩაითვლება მიტოვებულად ანგარიშის უმოქმედოდ მიჩნევის მომენტიდან.

3. თანხების მიტოვებულად ჩათვლამდე მინიმუმ 60 დღით ადრე ოპერატორმა უნდა მიიღოს გონივრული ზომები შესაბამისიმოთამაშის მოსაძებნად, გაუგზავნოს შეტყობინება მას მოთამაშის მიერ მითითებული ელექტრონული და ფიზიკურისაკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით.

4. ოპერატორი განათავსებს ყველა მიტოვებულ თანხას სპეციალურად შექმნილ ანგარიშზე და მოთხოვნის შემთხვევაში აცნობებს ამის შესახებ შემოსავლების სამსახურს.

ოპერატორი ვალდებულია და უფლებამოსილია

ა) სათამაშო ანგარიშზე თანხის შეტანა და გატანა შესაძლებელი გახადოს, მხოლოდ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „სისტემურ-ელექტრონული ფორმით ლატარიის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელის მიერ მოთამაშის რეგისტრაციის, იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის“ შესაბამისად ვერიფიცირებული მოთამაშეებისთვის;

ბ) არ დაუშვას მოთამაშეებს შორის სათამაშო ანგარიშებზე თანხის გადარიცხვა;

გ) უზრუნველყოს მოთამაშეების მიერ სათამაშო ანგარიშზე თანხის შეტანისა და გატანის ოპერაციების მის სისტემაში სრულად აღრიცხვა, სისტემატიზება და შენახვა იმგვარად, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მათ შესახებ ინფორმაციის უმოკლეს ვადაში მოძიება და ამოღება;

დ) სრულფასოვანი შემოწმების მიზნით, მის მიერ დადგენილი უსაფრთხოების ზომების დაცვით, უზრუნველყოს სანებართვო პირობების შემოწმებაზე უფლებამოსილი პირის წვდომა მის შიდა სისტემაზე;

ე) განახორციელოს მოთამაშის ვერიფიკაცია მისი რეგისტრაციისას, ფულადი სახსრების მიღების, მოგების ან ფულადი სახსრების გაცემისას, თუ გარიგების თანხა/ღირებულება ან დაკავშირებული გარიგებების ჯამური თანხა/ჯამური ღირებულება 5 000 ლარს ან უცხოურ ვალუტაში 5 000 ლარის ეკვივალენტს აღემატება;

ვ)თანხის გატანის შემთხვევაში, მხოლოდ სათამაშო ანგარიშის მფლობელ მოთამაშეზე უზრუნველყოს თანხმობის გაცემა. ამ მიზნით, მოსთხოვოს მოთამაშეს პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან პასპორტი და შეინახოს მისი ასლი კანონით დადგენილი წესითა და ვადით;

ზ) „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შეიმუშაოს საქმიანობის ხასიათისა და მოცულობის პროპორციული რისკზე დაფუძნებული მიდგომა და უზრუნველყოს თითოეულ ასეთ შემთხვევაში მოთამაშის ვერიფიკაცია.

თ) ვერიფიცირებული მოთამაშისთვის მინიჭებული უნიკალური კოდი, შესაძლებელია ასევე გამოყენებულ იქნეს სათამაშო ანგარიშზე თანხის შესატანად;

ი) ვერიფიკაციის დასრულებამდე არ მიიღოს ან/და არ გასცეს თანხა მოთამაშის ანგარიშიდან

ვებ-გვერდის აღწერილობა

შპს “ლიდერე-ბეთ სლოტი” (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს იურიდიული პირს, რომლის მფლობელობაშია ვებ-გვერდი www.lider-bet.com და ის ეფუძნება მხოლოდ რეალურ ფულზე თამაშს.

ყველა მოთამაშე ვალდებულია ვებ-გვერდზე რეგისტრაციის გავლისა და ფსონის დადების წინ გაეცნოს ვებ- გვერდზე განთავსებულ წესებს.

მოთამაშისათვის რეგისტრაციის გავლა და ფსონის დადება ნიშნავს თანხმობას ორგანიზაციის მიერ დადგენილი გათამაშების წესების მიმართ.

გათამაშების წესდების არ ცოდნა არ წარმოადგენს ფსონის ან ხელშეკრულების მოშლის მიზეზს და წინამდებარე წესების თანახმად, მოთამაშეს არ ათავისუფლებს ფსონიდან გამომდინარე მისი ვალდებულებებისაგან. მოთამაშის მიერ განთავსებულ ფსონთან დაკავშირებით ნებისმიერი საკითხი გადაწყდება მხოლოდ შპს „ლიდერ-ბეთ სლოტი“-ს გათამაშების წესების თანახმად.

მოთამაშის მიერ რეგისტრაციის გავლა და ფსონის დადება ნიშნავს კომპანიასა და მოთამაშეს შორის ერთჯერადი ხელშეკრულების გაფორმებას, რომლის თანახმადაც ის ეთანხმება კომპანიის მიერ დადგენილ გათამაშების წესებს.

მომხმარებელი ვალდებულია ზუსტად და სრულად მიუთითოს პირადი მონაცემები. შპს „ლიდერ-ბეთ სლოტი“ იტოვებს უფლებას დაბლოკოს, ასევე უარი უთხრას სისტემიდან თანხის გატანაზე იმ მოთამაშეებს, რომლებმაც მიუთითეს არასწორი პირადი მონაცემები.

კომპანიის ვებ-გვერდზე რეგისტრაციისას მოთამაშე ირჩევს ფსევდონიმს. კომპანია იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ან აკრძალოს იმ მომხმარებლების სახელების გამოყენება, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ კომპანიის შეხედულებისამებრ არიან უადგილონი.

ყოველ ჯერზე, როდესაც ხდება მომხმარებლის ავტორიზაცია, მომხმარებელი აცხადებს უპირობო თანხმობას წინამდებარე წესებზე და მოქმედებს არსებული წესების თანახმად.

მომხმარებლის მიერ, ელექტრონული სისტემებიდან (მომენტალური გადახდის აპარატი, ინტერნეტ- გადახდები და სხვა), ბალანსის შევსების მომენტში, მის მიერ თანხის სხვა პირად ნომერზე შეცდომით გადარიცხვის შემთხვევაში, კომპანიის ადმინისტრაცია იხსნის ყოველგავრ პასუხისმგებლობას აღნიშნული თანხის დაბრუნებასთან ან/და გადატანასთან დაკავშირებით. შეცდომით, სხვა პირად ნომერზე გადარიცხული თანხის დაბრუნება მომხმარებლისათვის შესაძლებელია მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მომხმარებლის პირადი მონაცემების (სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის ნომერი, პირადი ნომერი, მისამართი, ელექტრონული ფოსტა) შეცვლის შემთხვევაში კომპანიის ადმინისტრაცია იტოვებს უფლებას ცვლილების შედეგად რეგისტრირებულ მომხმარებელზე არ გასცეს მოგებული თანხა, ცვლილების მომენტიდან 24 საათის განმავლობაში. მოგებული თანხის აღება შესაძლებელია მხოლოდ ამ ვადის გასვლის შემდეგ ან/და ცვლილებამდე რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ ნოტარიალური მინდობილობის საფუძველზე.

პიროვნებას www.lider-bet.com-ზე აქვს მხოლოდ ერთი ანგარიშის გახსნის უფლება. დარეგისტრირებულ მომხმარებლებს არ შეუძლიათ მეორედ დარეგისტრირდნენ, როგორც ახალი მომხმარებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანიას აქვს უფლება, გაუუქმოს ყველა ფსონი, რომელიც იქნა განხორციელებული შესაბამის ანგარიშიდან და ამ კონკრეტულ მომხმარებელს დაუბლოკოს ანგარიში განუსაზღვრელი ვადით.

სხვადსხვა ანგარიშიდან დადებული ფსონები, (როგორც ვერიფიცირებული, ასევე არავერიფიცირებული), რომელზეც ფიქსირდება ერთი IP მისამართი და კომპანია ჩათვლის რომ ეს ფსონები გაკეთებულია ერთი პიროვნების მიერ, კომპანია უფლებამოსილია დაბლოკოს აღნიშნული ანგარიშები 6 (ექვსი) თვით, ამ ანგარიშებზე მონიტორინგის მიზნით, გააუქმოს დადებული ფსონები და მოთამაშეს დაუბრონოს მისი კუთვნილი (ჩარიცხული) თანხები მოგების გარეშე.

იმ შემთხვევაში, თუ, მომხმარებელი www.lider-bet.com-ზე ჩარიცხულ თანხას გამოიყენებს არამიზნობრივად (არ ითამაშებს ჩარიცხული თანხის მინიმუმ 30% -ს), კომპანია იტოვებს უფლებას ასეთ მომხმარებელს შეუჩეროს ანგარიშით სარგებლობის უფლება და ჩამოაჭრას ჩარიცხული თანხის 10%.

კომპანიის წარმომადგენლობის მიერ შემჩნეული მომხმარებლები, რომლებიც მოქმედებენ შეთანხმებული თამაშის პრინციპით (ხელოვნური წაგება ან ხელოვნური მოგება), დაიბლოკებიან და შეეზღუდებათ ანგარიშით სარგებლობის უფლება მინიმუმ 60 დღით, რათა დადგინდეს კონკრეტული მომხმარებლების ამ ქმედების მიზეზი.

თუკი გაჩნდება ეჭვი, რომ მოთამაშეები იყენებენ კოლექტიური თამაშის მეთოდს(შეთქმულება) შპს ,,ლიდერ-ბეთ სლოტი“ იტოვებს უფლებას ჩაატაროს ამგვარი ფაქტების მოკვლევა, რომლის დროსაც მას შეუძლია დაბლოკოს შემჩნეული პირების ანგარიშები და განუსაზღვრელი ვადით ჩამოართვას ასეთ მომხმარებლებს მათი სარგებლობის უფლება.

www.lider-bet.com-ის სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებელი პირადად არის პასუხისმგებელი სისტემით სარგებლობის პროცესში მომსახურეობის მისაღებად თავისი სატელეკომუნიკაციო საშუალებებისა და ინტერნეტის გამართულ მუშაობაზე. შპს ,,ლიდერ-ბეთ სლოტი“ არ იღებს პასუხისმგებლობას მომხმარებელსა და კომპანიის ქსელში წარმოქმნილი ხარვეზის გამო მოთამაშეზე მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

კომპანია იტოვებს უფლებას, საკრედიტო ბარათებთან დაკავშირებული თაღლითობის წინაამღდეგ ბრძოლის მიზნით, შეამოწმოს მომხმარებლის შენატანი და მოსთხოვოს მას საკრედიტო ბარათების ასლები. მოთამაშის მხრიდან თაღლითობის გამოვლენის შემთხვევაში, რომლის შედეგადაც კომპანიას მიადგება ფინანსური ან/და მორალური ზიანი, შეილახება მისი "საქმიანი რეპუტაცია", ის იტოვებს უფლებას:

ა) აუკრძალოს ფსონის დადება ან გააუქმოს უკვე დადებული ფსონი;

ბ) გააუქმოს ანგარიში და დაუბლოკოს ფულადი ბალანსი;

გ) გააუქმოს და დაუბლოკოს სისტემასთან წვდომის უფლება;

დ) დაუბლოკოს უკანონო ქმედების შედეგად დარიცხული თანხა;

ე) მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს მის სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლის საეჭვო ქმედების აღსაკვეთად;

ვ) სასამართლოს გზით მოსთხოვოს მოთამაშეს მიყენებული ზარალისა და სასამართლო ხარჯების ანაზღაურება;

იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს რაიმე მიზეზის გამო არასწორად დაერიცხა თანხა, ის (მომხმარებელი) ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შპს ,,ლიდერ-ბეთ სლოტი“- ს წარმომადგენლობას. ასეთი თანხის სისტემიდან გატანის შემთხვევაში კომპანია იტოვებს უფლებას ამ ფაქტის შესახებ მიმართოს შესაბამის ორგანოებს და მოითხოვოს მომხმარებლისგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

კომპანია იტოვებს უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ უარი უთხრას ნებისმიერ პირს www.lider-bet.com-ზე რეგისტრაციის გავლაზე და ფსონის დადებაზე.

კომპანიის ცხელი ხაზის მიერ გაცემული მონაცემები ატარებს საინფორმაციო ხასიათს და კომპანია პასუხისმგებლობას იხსნის ოპერატორის მიერ გაცემული სტატისტიკური მონაცემების სიზუსტეზე.

თამაშობათა მოწოდება ხდება შემდეგი კომპანიების მიერ:

1. შპს “ჯეოგარტორი” ნებართვა 19-02/08
2. შპს “ლამბდა გეიმსი” ნებართვა 19-02/01

შპს ლამბდა გეიმს: Bura

გთავაზობთ საქართველოში კარგად გავრცელებულ თამაშს ბურას, მთლიანი ან გადარჩეული კარტის დასტით (36 ან 20 კარტი).

3 კარტა ბურა:

თავდაპირველად შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული მოთამაშე ირჩევს წითელი ან შავი ფერის კარტს. კარტის გამოცნობის შემთხვევაში დაიწყებს თამაშს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოწინააღმდეგე იწყებს თამაშს. ხოლო თუ შერჩეული მოთამაშე წინასწარ განსაზღვრულ დროში არ აირჩევს კარტის ფერს, სისტემა შემთხვევითი რიცხვების გენერაციით გამოავლენს მოთამაშეს, რომელიც დაიწყებს თამაშს. თითეული მოთამაშე იღებს სამ კარტს, რომლებიც ურიგდებათ მოთამაშეებს თითო-თითოდ. დარიგების მერე იხსნება კარტი, რომელიც განსაზღვრავს კოზირს.

ერთი მასტის (ფერის) კარტების კომბინაციას ქვია «მალიუდკა» სამი კოზირის კომბინაციას კი - «ბურა».

მაგიდის შექმნის დროს მოთამაშეს შეუძლია აირჩიოს სურს თუ არა სამეფო ბურის თამაში. სურვილის შემთხვევაში ასეთ თამაშში 3 ტუზის კომბინაცია, რომელთაგან ერთი არის კოზირის ტუზი იგებს მთლიან პარტიას.

ყველაზე ხშირი, თამაშის მსვლელობის დროს, დაკანონებული დამატებითი პირობები:
სვლა კეთდება ერთი კარტით, (პარტნიორმაც უნდა დადოს ერთი კარტი), ან ერთი «მასტის» ორი კარტით ან ერთი «მასტის» სამი კარტით. (კარტის ჩამოგდება «მასტის» მიხედვით არ არის აუცილებელი). თუ კარტი გაჭრილია პარტნიორის კარტის მიერ, მაშინ «ვზიატკას» (ქულას) იღებს პარტნიორი, მაგრამ თუ ერთი კარტი მაინც დარჩა გაუჭრელი, «ვზიატკას» (ქულას) იღებს კარტის ჩამომსვლელი.
ვინც პირველი დააგროვებს 31 ქულას ის იგებს ხელს. თავის გამოცხადება მოგებულად მოთამაშეს შეუძლია მხოლოდ მაშინ, როცა მისი სვლა არის. თუ მოთამაშე თავს გამოაცხადებს მოგებულად და მას არ აღმოაჩნდება 31 ქულა იგი ითვლება წაგებულად. იმ შემთხვევაში როცა მოთამაშეს აღმოაჩნდება «ბურა» იგი ხელს იგებს შეგროვილი ქულების რაოდენობისაგან დამოუკიდებლად.
თუ პარტნიორმა ვერ შეძლო თქვენს მიერ ჩამოსული კარტის გაჭრა, მას უფლება აქვს კარტები დაფარულად გაგატანოთ. თქვენ არ გაქვთ მათი ნახვის უფლება და არც შეგიძლიათ, სანამ თამაშის შეწყვეტას არ გამოაცხადებთ. (რაც ჩვეულებრივ ხდება სიტყვის «ვარ» -ს გამოცხადების მერე).
თუ მოთამაშე გამოაცხადებს, რომ თამაში დამთავრდა და მას არ აღმოაჩნდა 31 ქულა - იგი ითვლება წაგებულად.
თამაშში მონაწილეობას იღებს მხოლოდ შემდეგი "მასტის" (დასახელების) ბანქოს ოთხივე ფერი (გული, აგური, ყვავი, ჯვარი). თითოეულ მათგანს გააჩნია შესაბამისი ფიქსირებული ქულა: ‘‘ტუზი’’ – 11 ქულა, ‘‘ათიანი’’ – 10 ქულა, ‘‘მეფე’’ - 4 ქულა, ‘‘დამა’’ - 3 ქულა, ‘‘ვალეტი’’ - 2 ქულა.
თუ მოთამაშეს მოუვიდა სამი ერთნაირი ფერის კომბინაცია, (მალიუდკა) იმ დროს როდესაც თამაშის სახეობად არჩეული აქვს წესი „მალიუტკა რიგით‘‘, მაშინ როდესაც მისი სვლა არ არის, იგი თამაშს აგრძლებეს ჩვეულებრივად, რადგან მას არ აქვს სამივე კარტის ჩასვლის უფლება - რიგის გარეშე. ეს წესი არ მოქმედეს მაშინ როდესაც მოთამაშეს მოუვიდა სამი ერთნაირი ფერის კომბინაცია, (მალიუდკა) იმ დროს როდესაც თამაშის სახეობად არჩეული აქვს წესი „მალიუდკა ურიგოთ‘‘, ასევე მაშინ როცა მოთამაშეს მოუვა სამი კოზირის ფერი (ბურა). თუ ორივე მოთამაშეს აღმოაჩნდა «მალიუდკა», სვლის უპირატესობა მისია ვისი სვლაც იყო.
თამაშში ქულების მომატება: დავი -2 ქულა, სე - 3 ქულა, ჩარი - 4 ქულა, ფანჯი - 5 ქულა, შაში - 6 ქულა.
ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ყველა დადებული ფსონი უქმდება და უბრუნდება მოთამაშეს.

თამაშის ხანგრძლივობა
თამაშის ხანგრძლივობა განისაზღვრება წინასწარ არჩეული ანგარიშით. ჩვენ მოთამაშეს ვაძლევთ არჩევანის საშუალებას, რომელიც მან უნდა გააკეთოს მაგიდის გახსნამდე, თუ სადამდე სურს მას თამაში. 1 ქულამდე, 3 ქულამდე, 5 ქულამდე, 7 ქულამდე, 9 ქულამდე თუ 11 ქულამდე.
მოთამაშეებს თამაშის პროცესში, სვლის გასაკეთებლად აქვთ 1 წუთი და 30 წამი. 30 წამი ყოველ სვლაზე და 1 წუთი რომელიც დამატებით გადანაწილდება ყველა იმ სვლაზე რომელზეც მოთამაშეს არ ეყოფა მოცემული 30 წამი. თუ მოთამაშეს არჩეული აქვს თამაშის სწრაფი ტემპი 30 წამიანი თაიმბანკი იცვლება 15 წამით. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მოთამაშე აღნიშნულ დროში არ განახორციელებს სვლას, იგი ჩაითვლება წაგებულად და წინასწარ დათქმული თანხა დაერიცხება მეორე მოთამაშეს.
თამაშის დაწყებამდე მოთამაშეს შეუძლია აირჩიოს თამაშის სახეობა - „ჩვეულებრივი‘‘ ან „პარტიის დავი‘‘ (დავი, სე, ჩარი, ფანჯი ან შაში). „პარტიის დავის‘‘ არჩევის შემთხვევაში მოთამაშეს შეუძლია თამაშის მსვლელობისას მოწინააღმდეგეს გადავება შესთავაზოს და სათამაშო ფსონი გაზარდოს.
მოთამაშეებს შეუძლიათ ერთმანეთს თანმიმდევრობით შესთავაზონ ‘‘დავი‘‘, „სე‘‘, „ჩარი‘‘, „ფანჯი‘‘ და „შაში‘‘. ამასთანავე, თუ მოთამაშე უარს იტყვის „პარტიის დავზე‘‘ იგი წააგებს მთელ პარტიას და არა მხოლოდ ხელს.

კროუფორდის წესი:
როდესაც რომელიმე მოთამაშეს გამარჯვებამდე დარჩება 1 ქულა, შემდეგი ხელი ტარდება დავის გარეშე. კროუფორდის წესი მოქმედებს 3 კარტა ბურას ყველა მაგიდაზე.
ინფორმაცია ფსონებზე:
მაგიდის შესაქმენელად მინიმალური ფსონი არის - 0.50 ლარი და მაქსიმალური - 500 ლარი.
მაქსიმალური მოგება არის 3000 ლარი;
მაგიდაზე ფიქსირებული საკომისიო - დადებული ფსონის 5 %-ია.

5 კარტა ბურა:

თამაშის წესები: თავდაპირველად შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული მოთამაშე ირჩევს წითელი ან შავი ფერის კარტს. კარტის გამოცნობის შემთხვევაში დაიწყებს თამაშს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოწინააღმდეგე იწყებს თამაშს. ხოლო თუ შერჩეული მოთამაშე წინასწარ განსაზღვრულ დროში არ აირჩევს კარტის ფერს, სისტემა შემთხვევითი რიცხვების გენერაციით გამოავლენს მოთამაშეს, რომელიც დაიწყებს თამაშს.
თამაშის წესები: თავდაპირველად მაგიდის შემქმნელის მოწინააღმდეგე ირჩევს კოზირის ფერს, წითელს ან შავს. კოზირის გამოცნობის შემთხვევაში დაიწყებს თამაშს, წინააღმდეგ შემთხვევაში მაგიდის შემქმნელი იწყებს თამაშს. თითოეულ მოთამაშეს ურიგდება 5-5 ბანქო რიგრიგობით. გამოცნობილი ან ვერ გამოცნობილი კოზირი იდება კოზირად, ხოლო დარჩენილი ბანქოს დასტა იდება სათამაშო მაგიდაზე, რომელიც თამაშის პროცესში ემატება ორივე მოთამაშეს.
ერთი და იგივე ფერის უფრო მაღალი ბანქოთი ან ნებისმიერი კოზირით იჭრება უფრო დაბალი მასტის ბანქო, ხოლო კოზირი იჭრება მხოლოდ უფრო მაღალი კოზირით. მოთამაშე თავად განსაზღვრავს მოსული ბანქოდან, რომელი კარტი ჩავიდეს. თუ მოთამაშე ვერ ჭრის მეორე მოთამაშის მიერ ჩამოსულ ბანქოს, იგი ატანს მას ჩამოსული ბანქოს შესაბამის რაოდენობას (ერთს, ორს, სამს, ოთხს ან ხუთს) ოღონდ ღიად (შესაბამისად მოწინააღმდეგე ხედავს კონკრეტულად რა კარტები გაატანეს მას), აგრეთვე შეუძლია პარტნიორმა გაჭრას

კარტი და გაგატანოთ „გატანის“ ღილაკზე დაკლიკებით. მოგებულად ითვლება მოთამაშე რომელიც პირველი დააგროვებს მინიმუმ 61 ქულას და იტყვის „ვარ"-ს ან მოაგროვებს 5 კოზირს „ბურა"-ს. „ვარ"- დაძახების შემთხვევაში თუ მოთამაშეს არ ექნა 61 ან მეტი ქულა, მოგებულად ჩაითვლება მეორე მოთამაშე. თუ ორივე მოთამაშეს აღმოაჩნდება 60-60 ქულა მიმდინარე ხელი ჩაითვლება ფრედ.
თამაშში მონაწილეობას იღებს მხოლოდ შემდეგი მასტის (დასახელების) ბანქოს ოთხივე ფერი (გული, აგური, ყვავი, ჯვარი) და „ტუზი"-დან „6"-ანამდე კარტები . თითოეულ მათგანს გააჩნია შესაბამისი ფიქსირებული ქულა: "ტუზი" - 11 ქულა, "ათიანი" - 10 ქულა, "მეფე" - 4 ქულა, "დამა" - 3 ქულა, "ვალეტი" - 2 ქულა, 6,7,8,9 - 0 ქულა.
ხუთი ერთი „მასტის" ფერის ბანქოს ჰქვია: „მალიუტკა", ხუთი კოზირის კომბინაციას „ბურა",
თამაში სადაც „მალიუტკის" ჩასვლა მიმდინარეობს ურიგოთ და თამაში სადაც „მალიუტკის" ჩასვლა მიმდინარეობს რიგით, ორივე შემთხვევაში ბურა არის ურიგო.
ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ყველა დადებული ფსონი უქმდება და უბრუნდება მოთამაშეს.
თამაშის დაწყებამდე მოთამაშეს შეუძლია აირჩიოს თამაშის სახეობა - „ჩვეულებრივი“ ან „პარტიის დავი“ (დავი, სე, ჩარი, ფანჯი ან შაში).
„პარტიის დავის“ არჩევის შემთხვევაში მოთამაშეს შეუძლია თამაშის მსვლელობისას მოწინააღმდეგეს გადავება შესთავაზოს და სათამაშო ფსონი გაზარდოს.
მოთამაშეებს შეუძლიათ ერთმანეთს თანმიმდევრობით შესთავაზონ ‘‘დავი“, „სე“, „ჩარი“, „ფანჯი“ და „შაში“. ამასთანავე, თუ მოთამაშე უარს იტყვის „პარტიის დავზე“ იგი წააგებს მთელ პარტიას და არა მხოლოდ ხელს.

თამაშში ქულების მომატება: დავი -2 ქულა, სე - 3 ქულა, ჩარი - 4ქულა, ფანჯი - 5 ქულა, შაში - 6 ქულა.

კროუფორდის წესი:
როდესაც რომელიმე მოთამაშეს გამარჯვებამდე დარჩება 1 ქულა, შემდეგი ხელი ტარდება დავის გარეშე. კროუფორდის წესი მოქმედებს 5 კარტა ბურას ყველა მაგიდაზე.

ინფორმაცია ფსონებზე:
მაგიდის შესაქმენელად მინიმალური ფსონი არის - 0.50 ლარი და მაქსიმალური - 500 ლარი.
მაქსიმალური მოგება არის 3000 ლარი;
მაგიდაზე ფიქსირებული საკომისიო - დადებული ფსონის 5 %-ია.

შპს ლამბდა გეიმს : Spina Bura
აღნიშნული თამაშობა მიმდინარეობს 20 კარტიანი დასტით ბურას თამაშის პრინციპით მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მასში მონაწილეობას იღებს ოთხი კაცი, მოთამაშეს შეუძლია ითამაშოს 1, 2, 5, 10, 15, 20, 30,50, 100 ლარიანი ფსონის მაგიდაზე ხოლო ბანკი განისაზღვრება შემთხვევითობის პრინციპით, საპრიზო ფონდს განსაზღვრავს თამაშის დაწყებამდე დატრიალებული სპინი. საპრიზო თანხა შესაძლოა იყოს ფსონის 3x, 5x, 8x, 12x, 24x,60x,120x,1200x ოდენობა. კომპიუტერის პროგრამის მიერ სასტარტო შენატანიდან 3-დან 1200-მაგამდე ოდენობით (მაგალითად შეიქმნა მაგიდა მინიმალური ფსონით ორი ლარი, პროგრამის მიერ საპრიზო ფონდი განისაზღვრება 6 ლარიდან 2 400 ლარამდე).
თამაშის დაწყებისას იქმნება 2 ცალი ორ კაციან მაგიდა სადაც თამაში მიმდინარეობს 3 კარტა ბურის პრინციპით, მოგებული წყვილი თამაშს განაგძობენ მეორე, ფინალურ ტურში იგივე 3 კარტა ბურის პრინციპით.
თამაშის ორივე ეტაპი მიმდინარეობს სამ ქულამდე. მთლიან თანხას (რომელსაც განსაზღვრავს თამაშის დაწყებამდე დატრიალებული სპინი) 3x, 5x, 8x კოეფიციენტების ამოსვლის შემთხვევაში, იგებს მხოლოდ პირველ ადგილზე გასული მოთამაშე.
სხვა შემთხვევებში თანხები ნაწილდება შემდეგნაირად:
12x: I ადგილი - 10x, II ადგილი - 2x
24x: I ადგილი - 20x, II ადგილი - 4x
60x: I ადგილი - 50x, II ადგილი - 10x
120x: I ადგილი - 100x, II ადგილი - 10x, III - IV ადგილები - 5x თითოეული
1200x: I ადგილი - 1000x, II ადგილი - 100x, III - IV ადგილები - 50x თითოეული

კროუფორდის წესი:
როდესაც რომელიმე მოთამაშეს გამარჯვებამდე დარჩება 1 ქულა, შემდეგი ხელი ტარდება დავის გარეშე.
კროუფორდის წესი მოქმედებს სპინ ბურას ყველა მაგიდაზე.
რეგისტრაციის მინიმალური ფსონი არის - 1 ლარი. maqsimaluri 100 lari.
ფიქსირებული რეიკი ფსონის 10%.

შპს ლამბდა გეიმს: Domino
თამაში მიმდინარეობს 28 ქვით. თითოეულ ქვაზე გამოსახულია 2 ღირებულების ციფრი (0-დან 6-მდე), რომელიც თამაშის მსვლელობის მთავარ პრინციპს განაპირობებს. ყოველი ხელის დაწყების დროს მოთამაშეებს ურიგდებათ 7 – 7 ქვა, დანარჩენი 14 ქვა რჩება ე.წ. ბაზარში. თამაშს იწყებს მოთამაშე, რომელსაც აქვს ორი მაღალი ერთნაირი ციფრის მქონე ქვა, როდესაც თამაში შექმნილია ორ ან სამ ხელამდე,

ყოველი ხელის დასრულების შემდეგ, მომდევნო ხელს იწყებს წინა ხელის გამარჯვებული. ქვის მიდება ხდება მხოლოდ ერთი და იმავე მნიშვნელობის ციფრის მქონე ქვასთან.
თამაშში გამარჯვების მთავარი პრინციპია ქულების მოგროვება, რომელიც ითვლება ქვების ბოლო ციფრების დაჯამებით, მოწინააღმდეგის ხელში დარჩენილი ქვების რიცხობრივი მნიშვნელობა დაითვლება 5 ქულიანი უახლოეს ზედა ათეულამდე დამრგვალებით და დაერიცხება ხელის გამარჯვებულს. სათამაშო ხელის რაოდენობას მოთამაშე მაგიდის შექმნისას განსაზღვრავს. ხელის მაქსიმუმი რაოდენობაა 3.
თამაშის მსვლელობისას, თუ მოთამაშეს არ ყავს თამაშის გასაგრძელებლად საჭირო მნიშვნელობის მქონე ქვა, იგი მიდის ე.წ. ბაზარში და შემთხვევითობის პრინციპით იღებს ერთ-ერთ დაფარულ ქვას;
ხელი დასრულებულად ითვლება, როდესაც ერთ-ერთი მოთამაშე გამოიყენებს უკანასკნელ ქვას.
ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ყველა დადებული ფსონი უქმდება და უბრუნდება მოთამაშეს.
თუ, მოწინააღმდეგეს ხელში დარჩა მხოლოდ 0-0 (იგივე "პუსტა-პუსტა") ქულის მნიშვნელობის ქვა ამ შემთხვევაში გამარჯვებული იწერს 10 ქულას. შემდეგ ხელს იწყებს წინა ხელის გამარჯვებული. თუ რომელიმე მოთამაშემ დადო ისეთი ქვა, რომლის დადების მერეც თამაშის გაგრძელების საშუალება არ აქვს არცერთ მოთამაშეს, თამაში ცხადდება დაკეტილად, ასეთ სიტუაციაში თამაში არ სრულდება, იმ შემთხვევაშიც კი თუ რომელიმე მოთამაშეს უკვე აქვს დაგროვილი საჭირო რაოდენობის ქულა. მომდევნო დარიგებაში „სტავკიორი“ ხდება ის მოთამაშე რომელმაც დაკეტა თამაში.
ქულების დაგროვება ხდება წინასწარ დათქმულ რაოდენობამდე (75, 175, 255, 355). ხელის გამარჯვებულად ჩაითვლება ის მოთამაშე, რომელიც პირველი მოაგროვებს ამ რაოდენობას. ხელის მოგების შემთხვევაში გამარჯვებულს ენიჭება პარტიის ქულა.

თამაშის დაწყებამდე მოთამაშეს შეუძლია აირჩიოს თამაშის სახეობა - „ჩვეულებრივი“ ან „პარტიის დავი“ (დავი, სე, ჩარი, ფანჯი ან შაში). „პარტიის დავის“ არჩევის შემთხვევაში მოთამაშეს შეუძლია თამაშის მსვლელობისას მოწინააღმდეგეს გადავება შესთავაზოს და სათამაშო ფსონი გაზარდოს.
მოთამაშეებს შეუძლიათ ერთმანეთს თანმიმდევრობით შესთავაზონ “დავი“, „სე“, „ჩარი“, „ფანჯი“ და „შაში“. ამასთანავე, თუ მოთამაშე უარს იტყვის „პარტიის დავზე“ იგი წააგებს მთელ პარტიას და არა მხოლოდ ხელს.
მაგ.: შექმნილია მაგიდა შემდეგი მონაცემებით:
თანხა - 1 ლარი
ქულა - 255
ხელი - 3

დავი: მოთამაშეებს შეუძლიათ ერთმანეთს შესთავაზონ დავი ანუ ორ ქულაზე თამაში, მოთამაშე რომელიც იღებს გამოწვევას, ეძლევა უპირატესობა შესთავაზოს მოწინააღმდეგეს X2; X3; X4; X5; X6;

რიგა:
1) ორივე მოთამაშეს ქვები ყავთ, მაგრამ სვლის გაკეთება არ შეუძლიათ რაუნდი იკეტება, ხდება ქულების დათვლა და ნაკლები ქულების მქონე მოთამაშეს ემატება პარტნიორის ქულები.
2) რიგის დროს თუ ორივე მოთამაშეს ზუსტად თანაბარი ქულები დარჩათ იწყება შემდეგი ეტაპი და ვინც ამ ეტაპს მოიგებს, მას ემატება რიგის დროს დათვლილი ქულების ჯამი (ორივე მოთამაშისა ერთად).
3) ორივე მოთამაშეს ქვები ყავთ და სვლის გაკეთება შეუძლიათ მხოლოდ ბაზარში მყოფი დუბლით, თამაში მაინც იკეტება და ბაზარში არ მიდის არავინ, ხდება ქულების დათვლა.
4) ორივე მოთამაშეს ქვები ყავთ და სვლის გაკეთება შეუძლიათ მხოლოდ დუბლით, რომელიც იმ მოთამაშეს ყავს ხელში ვინც მანამდე დადო ქვა, პარტნიორი არ მიდის ბაზარში და ეს მოთამაშე დებს ამ წყვილს. ხდება ქულების დათვლა.
5) ორივე მოთამაშეს ქვები ყავთ და სვლის გაკეთება შეუძლიათ მხოლოდ დუბლით, რომელიც იმ მოთამაშეს ყავს ხელში ვინც მანამდე არ დადო ქვა, პარტნიორი დებს ამ წყვილს, მაგრამ თამაშის ჩამკეტად ითვლება მოთამაშე, რომელმაც დუბლამდე დადო ქვა. ხდება ქულების დათვლა.
მოთამაშეებს თამაშის პროცესში, სვლის გასაკეთებლად აქვთ 2.30 წუთი. 30 წამი ყოველ სვლაზე და 2 წუთი რომელიც დამატებით გადანაწილდება ყველა იმ სვლაზე რომელზეც მოთამაშეს არ ეყოფა მოცემული 30 წამი.
იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მოთამაშე აღნიშნულ დროში არ განახორციელებს სვლას, იგი ჩაითვლება წაგებულად და წინასწარ დათქმული თანხა დაერიცხება მეორე მოთამაშეს.

ინფორმაცია ფსონებზე:

მაგიდის შესაქმენელად მინიმალური ფსონი არის - 0.50 ლარი და მაქსიმალური - 500 ლარი.
თუ მაგიდა შექმნილია პარტიის დავის შაშით მინიმალური ფსონი არის - 0.50 ლარი და მაქსიმალური - 3000 ლარი.
მაგიდებზე ფიქსირებული საკომისიო - დადებული ფსონის 5.5%-ია.

შპს ლამბდა გეიმსი: Spin Domino
აღნიშნული თამაშობა მიმდინარეობს, დომინოს პრინციპით მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მასში მონაწილეობას იღებს ოთხი კაცი, მოთამაშეს შეუძლია ითამაშოს 1, 2, 5, 10, 20, 30, 50 ან 100 ლარიანი ფსონის მაგიდაზე, ხოლო ბანკი განისაზღვრება შემთხვევითობის პრინციპით, საპრიზო ფონდს განსაზღვრავს თამაშის დაწყებამდე დატრიალებული სპინი.

საპრიზო თანხა შესაძლოა იყოს ფსონის 3x, 5x, 8x, 12x, 24x, 60x, 120x, 1200x ოდენობა. კომპიუტერის პროგრამის მიერ სასტარტო შენატანიდან 3-დან 1200-მაგამდე მდე ოდენობით (მაგალითად შეიქმნა მაგიდა მინიმალური ფსონით ორი ლარი, პროგრამის მიერ საპრიზო ფონდი განისაზღვრება 6 ლარიდან 2 400 ლარამდე).
თამაშის დაწყებისას იქმნება 2 ცალი ორ კაციან მაგიდა სადაც თამაში მიმდინარეობს დომინოს პრინციპით, მოგებული წყვილი თამაშს განაგძობენ მეორე, ფინალურ ტურში იგივე დომინოს პრინციპით.
ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ყველა დადებული ფსონი უქმდება და უბრუნდება მოთამაშეს.
თამაში მიმდინარეობს 75 ქულამდე.
მთლიან თანხას (რომელსაც განსაზღვრავს თამაშის დაწყებამდე დატრიალებული სპინი) 3x, 5x, 8x კოეფიციენტების ამოსვლის შემთხვევაში, იგებს მხოლოდ პირველ ადგილზე გასული მოთამაშე. სხვა შემთხვევებში თანხები ნაწილდება შემდეგნაირად:
12x: I ადგილი - 10x, II ადგილი - 2x
24x: I ადგილი - 20x, II ადგილი - 4x
60x: I ადგილი - 50x, II ადგილი - 10x
120x: I ადგილი - 100x, II ადგილი - 10x, III - IV ადგილები- 5x
1200x: I ადგილი - 1000x, II ადგილი - 100x, III - IV ადგილები - 50x თითოეული

ინფორმაცია ფსონებზე:
მაგიდის შესაქმენელად მინიმალური ფსონი არის - 1 ლარი და მაქსიმალური - 100 ლარი.
მაგიდებზე ფიქსირებული საკომისიო - დადებული ფსონის 10 %-ია.

შპს ლამბდა გეიმსი: Joker (თავის მხრივ მოიცავს უფასო ჯოკერს და სპინ ჯოკერს: თამაშის წესები ჯოკრის ურთიერთანალოგიურია, განსხვავება, მხოლოდ საპრიზო თანხებში და მათ განაწილებაშია: . უფასო ჯოკერში საერთოდ არ ხდება ფულზე თამაში, ხოლო სპინ ჯოკერში საპრიზო ფონდს ადგენს პროგრამა ავტომატურად, საპრიზო თანხები კი ჯოკრისგან განსხვავებულად ნაწილდება, რაც ქვემოთაა დაკონკრეტებული, შესაბამისად ეს სამივე თამაში გახლავთ ჯოკერი და სერტიფიცირება გავლილი აქვს თამაშობას ,,jokeri,,) (Joker)
ჯოკერი:
კომპანია თავის მომხმარებელს სთავაზობს ჯოკრის მაქსიმალურად დაცულ ვერსიას, რისი საშუალებითაც მოთამაშე დაცულია არაკეთილსინდისიერი შეთანხმებული თამაშისგან, რომლის შედეგადაც მოთამაშეები ძალაუნებურად აგებენ. ჯოკრის სათამაშოდ მომხმარებელმა უნდა შეარჩიოს სასურველი პარამეტრების მქონე მაგიდა და დაელოდოს ამ მაგიდაზე 4 მოთამაშის შევსებას, რის შემდეგაც თამაში ავტომატურად დაიწყება.
მოთამაშეების სახელები მაგიდაზე დამალულია, რათა დაცული იყვნენ შეთანხმებული თამაშისგან, თუ 12 რომელიმე მოთამაშე თამაშის პროცესში დატოვებს თამაშს ნებისმიერი მიზეზის გამო, პროგრამა მის მაგიერ გააგრძელებს თამაშს საშუალო მოთამაშის დონით, რათა არ შეფერხდნენ სხვა მოთამაშეები.
ჯოკერის წესები: მოგეხსენებათ ჯოკერის სათამაშოდ გამოიყენება 36–იანი კარტის დასტა: ოთხივე მასტის (♠, ♣, ♦, ♥) კარტი 6-დან ტუზის ჩათვლით, აქედან 6♠ და 6♣ კარტებს „ჯოკერის“ წონა აქვს და ის მარკირებულია წარწერით Joker.
თუ თქვენ დადებთ ფსონს, რომელიც მაგიდის მინინმალური ფსონის ლიმიტზე დაბალია, ეს აისახება როგორც უმოქმედო ჩიპი. თქვენ იქნებით ინფორმირებული ამის შესახებ პატარა ამომხტარი დამხმარე ფანჯრის მეშვეობით თქვენი ფსონის ზემოთ.
ბეთინგის დროის ამოწურვისას ყველა უმოქმედო ჩიპი იქნება უარყოფილი.
თუ თქვენი ფსონი აჭარბებს ნებისმიერი მაქსიმალური ფსონის ლიმიტს, ის ავტომატურად დაკორექტირდება და თქვენ იქნებით ინფორმირებული ამის შესახებ პატარა ამომხტარი დამხმარე ფანჯრის მეშვეობით თქვენი ფსონის ზემოთ.
თუ თქვენ მიიჩნევთ, რომ თამაში დასრულდა არასწორი შედეგით, ან სხვა ნებისმიერი დარღვევების შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ კაზინოს მომხმარებელთა მხარდაჭერის გუნდს და წარუდგინეთ თამაშის საიდენტიფიკაციო ნომერი.

გათიშვის პოლიტიკა

Pragmatic Play ლაივ კაზინოს სერვისის მიწოდება ხორციელდება ინტერნეტის მეშვეობით, რომელიც პერიოდულად შეიძლება გაგეთიშოთ. ეს უქმნის პოტენტიურ პრობლემას თამაშის მსვლელობას და თქვენს სამომხმარებლო გამოცდილებას.
გაუთვალისწინებელი გათიშვების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, ეკრანზე გამოისახება შეტყობინება თავიდან დაკავშირების შესახებ, როდესაც თქვენ დაკარგავთ კავშირს თამაშის სერვერთან.
გათიშვის შემთხვევაში მოქმედებს შეცდომის აღმოფხვრის შემდეგი წესები:
თუ გათიშვა მოხდება „ფსონები აღარ მიიღება“ შეტყობინების ეკრანზე გამოჩენამდე და თქვენი ფსონები სერვერს ჯერ არ მიუღია, თქვენი ფსონები არ ჩამოიჭრება ბალანსიდან და თქვენ არ მიიღებთ მონაწილეობას თამაშის რაუნდში. გათიშვის შემთხვევაში, გთხოვთ შეამოწმოთ თქვენი ბალანსი და დაუყოვნებლივ შეატყობინოთ კაზინოს ოპერატორს ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში.
თუ გათიშვა მოხდება „ფსონები აღარ მიიღება“ შეტყობინების ეკრანზე გამოჩენის შემდეგ და სერვერმა მიიღო თქვენი ფსონები, თამაში ჩვეულებრივად გაგრძელდება და ნებისმიერი მოგება დამუშავდება თამაშის შედეგის შესაბამისად, გათიშვის მიუხედავად.
გათიშვის შემდეგ, გთხოვთ შეამოწმოთ თქვენი მოგება ისტორიის ფანჯარაში და თუ გაქვთ რაიმე ეჭვი თამაშის შედეგთან დაკავშირებით, გთხოვთ მიმართოთ ლაივ მხარდაჭერას თამაშის დროს ან კაზინოს მომხმარებელთა მხარდაჭერის გუნდს, მიაწოდეთ ყველა დეტალი განხილვადი თამაშის შესახებ, თამაშის საიდენტიფიკაციო ნომრის ჩათვლით.
თუ სტუდიის მაგიდასთან წვდომა შეჩერდა 5 წუთზე მეტხანს, თამაში გაუქმდება.
თუ ჩვენ დავადგენთ, რომ თქვენ მოიგებდით თამაშის რაუნდს, თქვენ დაგერიცხებათ მოგება თქვენს ანგარიშზე კაზინოს მომხმარებელთა მხარდაჭერის გუნდის მეშვეობით.

Live Speed Baccarat
თამაშის წესები

თამაშის დასაწყებად, აირჩიეთ ფსონის ოდენობა ჩიპების ლანგარიდან ჩიპზე დაწკაპუნებით და შემდეგ აირჩიეთ ერთ-ერთი: მოთამაშე, ბანკირი ან ფრე.
თქვენ შეგიძლიათ განათავსოთ ან შეცვალოთ ფსონები სანამ შეტყობინება „გთხოვთ, განათავსოთ ფსონები“ გამოსახულია ეკრანზე.

ფსონების განთავსება შესაძლებელია ბეთინგის დროის მონაკვეთში, სანამ დილერი არ გამოაცხადებს "BETS CLOSED" (ფსონები აღარ მიიღება).

თქვენი ჯამური ფსონი იქნება გამოსახული Total Bet-ის (ჯამური ფსონის) ფანჯარაში.

დილერი არიგებს 4 საწყის კარტს შემდეგი თანმიმდევრობით: 1-ელი და მე-3 კარტი მოთამაშის მხარეს, ხოლო მე-2 და მე-4 კარტი ბანკირის მხარეს. ბეთინგის დროის ამოწურვისას, დილერმა უნდა გამოაჩინოს მოთამაშისთვის და ბანკირისთვის დარიგებული პირველი 4 კარტი, მოთამაშის კარტებისგან დაწყებით.

თუ ორივე მხარეს ესაჭიროება მე-3 კარტი, დილერი არიგებს დამატებით კარტს ქვემოთ მოცემული მესამე კარტის წესის თანახმად.
როდესაც დილერი დაურიგებს ყველა საჭირო კარტს ორივე მხარეს, თამაშის რაუნდი დასრულდება. მოგებულია ის მხარე, რომლის ქულების ჯამი ყველაზე ახლოს არის 9-სთან. თუ ქულების რაოდენობა თანაბარია, თამაშის რაუნდში ცხადდება ფრე.

სამომხმარებლო ინტერფეისზე მომგებიანი ფსონის ველები გამოიკვეთება. თუ თქვენი ნებისმიერი ფსონი მოიცავს მომგებიანი ფსონის ველებს, თქვენ დაგირუნდებათ თანხა განთავსებული ფსონის ტიპის შესაბამისად. თქვენი მოგებული თანხა გამოჩნდება მოგების შეტყობინებაში.

თამაშის რაუნდის დასრულებისთანავე, დილერი აგროვებს ყველა ღია კარტს მაგიდიდან, აუქმებს მათ და ხსნის ფსონებს თამაშის შემდეგი რაუნდისთვის.

თუ ერთი ან ორივე დამატებითი კარტი არ იყო გამოყენებული წინა თამაშის რაუნდში, ისინი გამოიყენება როგორც საწყისი კარტები თამაშის მომდევნო რაუნდში.

კარტის ნომინალი

თამაშში გამოიყენება 8 სტანდარტული 52 კარტიანი დასტა.

ბაკარას თამაშში მნიშვნელოვანია მხოლოდ თითოული კარტის რიცხვობრივი მნიშვნელობა; კარტის სიმბოლოები (გული, ყვავი, ჯვარი ან აგური) უმნიშვნელოა.

კარტი	A	2	3	4	5	6	7	8	9	10	J	Q	K
ქულები	1	2	3	4	5	6	7	8	9	0	0	0	0

მოთამაშის და ბანკირის ქულები გამოითვლება კარტების რიცხვობრივი მნიშვნელობების მიმატებით.

ბაკარაში მაქსიმალური შესაძლო ქულა არის 9. თუ ჯამური ქულა არის 10 ან მეტი, 10 ქულა უნდა გამოაკლდეს და დარჩენილი ქულები ჩაითვლება ბაკარას ქულებად.

მაგალითად:

5 + 5 = 10 – 10 = 0
8 + 7 = 15 – 10 = 5
J + K = 0
1 + 5 + 8 = 14 – 10 = 4
8 + Q = 8
9 + 9 = 18 – 10 = 8

მესამე კარტის წესი
არსებობს 3 შემთხვევა, როდესაც თამაშის რაუნდი მთავრდება 4 კარტის დარიგების შემდეგ (მოკლე პარტია) დამატებითი კარტების საჭიროების გარეშე:
როდესაც მოთამაშის ან ბანკირის პირველი 2 კარტი ჯამში უდრის 8 ან 9 ქულას („ნატურალური პარტია“);
როდესაც მოთამაშეს აქვს 6 ქულა და ბანკირს 7 ქულა ან პირიქით;

როდესაც 6,7,8 ან 9 ქულაზე ფრეა.
თუ მოთამაშე და ბანკირი მიიღებენ საწყის ორ კარტიან კომბინაციას 0-7-მდე მნიშვნელობით, გამოიყენება „მესამე კარტის წესი“, რომ განისაზღვროს, მესამე კარტი ერთ მხარეს უნდა დაურიგდეს თუ ორივე მხარეს. მოთამაშე ყოველთვის პირველი იღებს კარტს კარტს.

მოთამაშის მიერ ასაღები კარტი:

თუ მოთამაშის ორი კარტის ჯამია:	ქმედება
0, 1, 2, 3, 4, 5	მოთამაშემ უნდა აიღოს კარტი
6, 7	მოთამაშემ არ უნდა აიღოს კარტი
8, 9 („ნატურალური)	არც ერთმა მხარემ არ უნდა აიღოს კარტი

ბანკირის მიერ ასაღები კარტი:

ბანკირის საწყისი ორი კარტი	მოთამაშის მიერ აღებული მესამე კარტის მნიშვნელობა										
	მესამე კარტის აღება არ შეიძლება	0	1	2	3	4	5	6	7	8	9
0	D	D	D	D	D	D	D	D	D	D	D
1	D	D	D	D	D	D	D	D	D	D	D
2	D	D	D	D	D	D	D	D	D	D	D
3	D	D	D	D	D	D	D	D	D	S	D
4	D	S	S	D	D	D	D	D	D	S	S
5	D	S	S	S	S	D	D	D	D	S	S
6	S	S	S	S	S	S	S	D	D	S	S
7	S	S	S	S	S	S	S	S	S	S	S
8	S	S	S	S	S	S	S	S	S	S	S
9	S	S	S	S	S	S	S	S	S	S	S

D - კარტის აღება; S- შეჩერება

თუ მოთამაშის პირველი 2 კარტი ჯამში უდრის 6 ან 7 ქულას, მაგრამ ბანკირის პირველი 2 კარტი ჯამში უდრის ,1,2,3,4 ან 5 ქულას, ბანკირმა უნდა აიღოს ზედმეტი კარტი.

ბაკარას ძირითადი ფსონები

ბაკარაში არსებობს სამი ძირითადი სხვადასხვა ტიპის ფსონი, რომლების განთავსებაც შეიძლება სამი შესაძლო შედეგის მიხედვით: მოთამაშე იგებს (მოთამაშეს აქვს უფრო მაღალი ქულა), ბანკირი იგებს და ფრეს ფსონი იგებს (როდესაც მოთამაშის და ბანკირის კარტები უდრის ერთსა და იმავე ჯამურ ქულას).

ფსონების განთავსება შეიძლება სამომხმარებლო ინტერფეისზე გრაფიკული თამაშის სქემის სათანადო ადგილებზე. ტრადიციულად, ბაკარაში მოთამაშის ბეთინგის ველი არის ლურჯი ფერის, ბანკირის - წითელი და ფრესი - მწვანე.

მოთამაშეზე მოგებული ფსონის გადახდა ხდება 1:1 გაანგარიშებით.
ბანკირზე მოგებული ფსონის გადახდა ხდება 0.95:1 გაანგარიშებით.
ფრეზე მოგებული ფსონის გადახდა ხდება 8:1 გაანგარიშებით. ფრეს შემთხვევაში, მოთამაშეზე და ბანკირზე დადებული ფსონი არ იქნება წაგებული და ფსონი უკან დაუბრუნდება მოთამაშეს.

მოთამაშის და ბანკირის ბეთინგის ადგილებზე ფსონის განთავსება შესაძლოა დაექვემდებაროს საპირისპირო ბეთინგის დაბლოკვას.

ბაკარას გვერდითი ფსონები
იმისთვის, რომ ბაკარას თამაში უფრო აზარტული და საინტერესო გახადოთ, მეტი და უფრო ხშირი მოგებით, ჩვენ გთავაზობთ სხვადასხვა ტიპის გვერდით ფსონებს:

მოთამაშის წყვილი
ბანკირის წყვილი
ნებისმიერი წყვილი
იდეალური წყვილი
მოთამაშის ბონუსი
ბანკირის ბონუსი

მოთამაშის წყვილი და ბანკირის წყვილი

გვერდითი ფსონი „მოთამაშის წყვილი“ იგებს, თუ მოთამაშის ორი საწყისი კარტი შედგება წყვილისგან, ხოლო გვერდითი ფსონი ბანკირის წყვილი იგებს, თუ ბანკირის ორი საწყისი კარტი შედგება წყვილისგან. ნებისმიერი ტიპის წყვილი განიხილება როგორც მოთამაშისთვის, ასევე ბანკირისთვის:

იდეალური წყვილი - ორი იდენტური კარტი (მაგ: ორი მეფე გული)
ფერადი წყვილი - ერთი და იმავე მნიშვნელობის ორი კარტი, ერთი და იმავე ფერის, მაგრამ სხვადასხვა სიმბოლოებით (მაგ: 5 გული + 5 აგური);
შერეული წყვილი - ორი სხვადასხვა ფერის და სიმბოლოს კარტი, მაგრამ ერთი და იგივე მნიშვნელობით (მაგ: 7 ყვავი + 7 აგური).

მოთამაშის ან ბანკირის ნებისმიერ წყვილზე მოგებული ფსონის შემთხვევაში მოგების გადახდა ხდება 11:1 გაანგარიშებით.

ორივე ან მხოლოდ ერთი გვერდითი ფსონის „მოთამაშის წყვილი“ ან „ბანკირის წყვილი“ განთავსება შეიძლება თამაშის ერთსა და იმავე რაუნდში.

თქვენ შეგიძლიათ მოთამაშისა და ბანკირის წყვილზე ფსონების განთავსება ძირითადი ფსონის განთავსების აუცილებლობის გარეშე.

ნებისმიერი წყვილი

გვერდითი ფსონი „ნებისმიერი წყვილი“ იგებს, თუ ერთ-ერთი ან ორივე მხარის - მოთამაშისა და ბანკირის - საწყისი კარტები შეადგენენ იდენტური რიცხობრივი მნიშვნელობის ან ასოს წყვილს.

ნებისმიერ წყვილზე მოგებული ფსონის შემთხვევაში მოგების გადახდა ხდება 5:1 გაანგარიშებით.

თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ წყვილზე ფსონების განთავსება ძირითადი ფსონის განთავსების აუცილებლობის გარეშე.

იდეალური წყვილი

გვერდითი ფსონი „იდეალური წყვილი“ იგებს, თუ ერთ-ერთი ან ორივე მხარის - მოთამაშისა და ბანკირის - საწყისი კარტები შეადგენენ იდეალურ წყვილს (იდენტური რიცხობრივი მნიშვნელობით ან ასოებით და იდენტური სიმბოლოებით).

იდეალურ წყვილზე მოგებული ფსონის შემთხვევაში მოგების გადახდა ხდება 25:1 გაანგარიშებით.

თქვენ შეგიძლიათ იდეალურ წყვილზე ფსონების განთავსება ძირითადი ფსონის განთავსების აუცილებლობის გარეშე.

მოთამაშის ბონუსი და ბანკირის ბონუსი

მოთამაშე იგებს გვერდით ფსონებს - „მოთამაშის ბონუსი“ ან „ბანკირის ბონუსი“ ნატურალური 8 ან 9 ქულის ან მინიმუმ 4 ქულის შემთხვევაში.
მოთამაშე იგებს გვერდით ფსონებს - „მოთამაშის ბონუსი“ ან „ბანკირის ბონუსი“ ქვემოთ მოცემული შედეგების მიხედვით:

პოზიცია	მოგება
მოგება არანატურალური კომბინაციით, 9 ქულით.	30:1
მოგება არანატურალური კომბინაციით, 8 ქულით.	10:1
მოგება არანატურალური კომბინაციით, 7 ქულით.	6:1
მოგება არანატურალური კომბინაციით, 6 ქულით.	4:1
მოგება არანატურალური კომბინაციით, 5 ქულით.	2:1
მოგება არანატურალური კომბინაციით, 4 ქულით.	1:1
ნატურალური მოგება	1:1
ნატურალური ფრე	ფსონის უკან დაბრუნება

ფსონების განთავსება

ფსონების განთავსების დროს, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება ეკრანის ელემენტებს რომ დარწმუნდეთ, რომ თქვენი ფსონები დაიდო დროულად და წარმატებით დადასტურდა.

Table Name (მაგიდის სახელწოდება) მიუთითებს მაგიდას, რომელთანაც თქვენ ამჟამად თამაშობთ, ხოლო Table Limits (მაგიდის ლიმიტები) აჩვენებს მაგიდასთან ნებადართულ მინიმალურ და მაქსიმალურ ფსონებს. ამ ადგილას დაწკაპუნებისას გაიხსნება ფსონის ლიმიტის და მოგების ფანჯარა, რომელიც აჩვენებს მინიმალურ და მაქსიმალურ ლიმიტს თითოეულ ფსონის ტიპზე და ასევე მოგების კოეფიციენტს.
თამაშის ინფორმაციის ინდიკატორი შეგატყობინებთ თამაშის სტატუსს, ფსონების დასადებად დარჩენილ დროს და თქვენი ფსონების სტატუსს.

“PLEASE, PLACE YOUR BETS” (გთხოვთ განათავსოთ ფსონები) გატყობინებთ, თუ როდის შესძლებთ თქვენი ფსონების განთავსების დაწყებას. ინდიკატორი პანელი ასახავს დარჩენილ დროს მწვანე ფერში, რომელიც მცირდება მარცხენა მიმართულებით. “LAST BETS” (უკანასკნელი ფსონები) ჩანს მაშინ, როდესაც ფსონის გასანთავსებლად მხოლოდ 5 წამია დარჩენილი. ეს ინდიკატორი ნარინჯისფერია.

“BETS CLOSED” (ფსონები აღარ მიიღება) გულისხმობს იმას, რომ ფსონების გასანთავსებლად აღარ არის დარჩენილი დრო და ყველა ბეთინგის სივრცე ხდება უმოქმედო.

ბეთინგის დროის ამოწურვის შემდეგ თქვენ მიიღებთ შეტყობინებას “BETS ACCEPTED“(ფსონები მიღებულია), რაც მეტყველებს იმაზე, რომ თქვენი ფსონები იქნა მიღებული და მიიღებენ მონაწილეობას თამაშის რაუნდში. სხვა შემთხვევაში, თქვენ მიიღებთ შეტყობინებას“NOT ALL BETS ACCEPTED“ (ყველა ფსონი არ არის მიღებული) ან “BETS REJECTED” (ფსონები უარყოფილია), რაც აღწერილია სექციაში „თამაშთან დაკავშირებული პრობლემები“.

შეტყობინება “DEALING” (დარიგება) გამოჩნდება, როდესაც დილერი არიგებს საწყის და დამატებით კარტებს.

შეტყობინება “REVEALING” (კარტის გახსნა) გამოჩნდება, როდესაც დილერს მოუწევს კარტების გახსნა და კარტის ქულების გამოცხადება.

შეტყობინება“WAIT FOR NEXT GAME” (დაელოდეთ შემდეგ თამაშს) ნაჩვენებია მაშინ, თუ თქვენ არ განათავსეთ ფსონი თამაშის მიმდინარე რაუნდში. მისი დასრულებისთანავე, თქვენ შეგიძლიათ განათავსოთ ფსონები მომდევნო ბეთინგის დროის ინტერვალში.

შეტყობინება “LOW BALANCE” (არასაკმარისი ბალანსი) სტატუსის სტრიქონზე ნიშნავს იმას, რომ თქვენს ბალანსზე არასაკმარისი თანხაა მინიმალური დაშვებული ფსონის განსათავსებლად მაგიდაზე. თქვენ უნდა შეიტანოთ დამატებითი თანხა ბალანსზე, რომ შესძლოთ მონაწილეობის მიღება თამაშში.

შეტყობინება “GAME PAUSED“ (თამაში შეჩერებულია) გამოჩნდება, თუ თამაში დროებით შეჩერებულია დილერის მიერ შეცდომის დაშვების, აღჭურვილობის გაუმართაობის ან სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო.

შეტყობინება“GAME CANCELLED” „თამაში გაუქმებულია“ გამოჩნდება სტატუსის სტრიქონზე, თუ თამაშის რაუნდი გაუქმდა გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო და დაუყოვნებლივ რეაგირება ამაზე შეუძლებელია. „გაუქმებული თამაშის“ შესახებ უფრო მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ სექციას „თამაშთან დაკავშირებული პრობლემები“.

Chip Display (ჩიპის გამოსახულება) გაძლევთ საშუალებას აირჩიოთ ჩიპების ნომინალი, რომლითაც გსურთ ფსონის დადება. ყველა ხელმისაწვდომი ჩიპის ნომინალის სანახავად დააწკაპუნეთ ჩიპზე ეკრანის ქვედა ნაწილში ფსონის ხელახლა დადების, გაორმაგების და გაუქმების ღილაკების ქვემოთ. ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ იმ ჩიპის ნომინალები, რომლების გამოყენებაც შესაძლებელი იქნება თქვენი მიმდინარე ბალანსის მიხედვით.

Rebet button (ფსონის ხელახლა განთავსება) გაძლევთ საშუალებას გაიმეოროთ იმავე ფსონების განთავსება, რომლებიც თქვენ დადეთ თამაშის წინამორბედ რაუნდში მოქმედ მაგიდაზე. ფსონის ხელახლა განთავსების ღილაკზე დაჭერისას, გაორმაგების და გაუქმების ღილაკები ხელმისაწვდომი გახდება.

Double button (გაორმაგების ღილაკზე) დაჭერისას ორმაგდება ჩიპების ის რაოდენობა, რომელიც თქვენ განათავსეთ ფსონის ხელმისაწვდომ ადგილას. ღილაკის ყოველ დაჭერაზე თქვენი ფსონი გაორმაგდება.

Undo button (გაუქმების ღილაკზე) დაჭერისას თქვენი უკანასკნელი განთავსებული ფსონი გაუქმდება. ეს ღილაკი მოქმედია მხოლოდ ბეთინგის დროის მონაკვეთში. როდესაც ფსონების მიღება შეწყდება, თქვენ ვეღარ შესძლებთ თქვენი ფსონების შეცვლას ან გაუქმებას. განმეორებით გაუქმების ღილაკზე დაჭერისას ფსონები გაუქმდება ერთი მეორეს მიყოლებით. გაუქმება დაიწყება ბოლო ფსონის (ფსონების) გაუქმებით.

Balance indicator (ბალანსის ინდიკატორი) გიჩვენებთ ყველა ხელმისაწვდომ თანხას და ვალუტას. ის მუდამ გამოსახულია თამაშის ფანჯრის ქვედა ნაწილში დესკტოპის ვერსიაში და მობილურზე.

სანამ თამაშს დაიწყებთ, გთხოვთ დარწმუნდით, რომ თქვენს ბალანსზე საკმარისი თანხაა ფსონების გასანთავსებლად.

თუ თქვენი ბალანსი არ განახლდა ფსონების განთავსების ან მოგების შეტყობინების ნახვის მერე, გთხოვთ განაახლოთ თქვენი თამაშის ფანჯარა ან დააჭირეთ F5 key-ს თქვენს კლავიატურაზე.

Cashier button (სალაროს ღილაკი) (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც მდებარეობს თქვენი ბალანსის გვერდით დესკტოპზე, გახსნის სალაროს ფანჯარას თანხის შეტანის და გამოტანის ფუნქციით. მობილურზე სალაროს ღილაკი მდებარეობს თამაშის მენიუში.

Total Bet indicator (ჯამური ფსონის ინდიკატორი) აჩვენებს მიმდინარე ჯამურ ფსონს, განთავსებულს თამაშის მიმდინარე რაუნდში. ის მუდამ გამოსახულია თამაშის ფანჯრის ქვედა ნაწილში.

Game ID number (თამაშის საიდენტიფიკაციო ნომერი) აჩვენებს ნებისმიერი თამაშის უნიკალურ იდენტიფიკატორს - მიმდინარე თამაშის საიდენტიფიკაციო ნომერს. ის გამოსახულია მაგიდის სახელწოდების გვერდით. დროის ინდიკატორი აჩვენებს თქვენს ადგილობრივ დროს.

თუ გაქვთ რაიმე შეკითხვა და გსურთ მომხმარებელთა მხარდაჭერის გუნდთან დაკავშირება, ყოველთვის უნდა ამოიწეროთ თამაშის საიდენტიფიკაციო ნომერი, ან გადაიღოთ მისი სკრინი.
ავტოთამაში

ავტოთამაშის რეჟიმი გაძლევთ საშუალებას ავტომატურად გაიმეოროთ თქვენი ფსონები თამაშის რაუნდების არჩეულ რაოდენობაზე. ავტოთამაშის რეჟიმის აქტივაციისთვის დადეთ ფსონები და დააჭირეთ ავტოთამაშის ღილაკს.

ეს გახსნის ავტოთამაშის ფანჯარას, სადაც თქვენ ნახავთ ყველა ხელმისაწვდომ პარამეტრებს ავტოთამაშის რეჟიმის გასაშვებად.

როდესაც ავტოთამაშის ფანჯარა გახსნილია, ავტოთამაში შეიძლება დაიწყოს თამაშის რაუნდის დროს მისი დაწყებისას ან ნებისმიერ მომდევნო რაუნდში. დაწყების ღილაკის დაჭერის შემდეგ გაიშვება ავტოთამაშის რეჟიმი. ავტოთამაშის რაუნდების დარჩენილი რაოდენობა იქნება მითითებული ავტოთამაშის შეცვლის ღილაკზე.

როგორც კი ავტოთამაში დაიწყება, თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი ფსონები დამატებითი ჩიპების განთავსებით თამაშის სქემაზე, ბეთინგის დროის მონაკვეთში.

ავტოთამაშის რეჟიმის შესაჩერებლად გახსენით ავტოთამაშის ფანჯარა და დააჭირეთ შეჩერების ღილაკს.

ავტოთამაშის რეჟიმი შეჩერდება ავტომატურად შემდეგ შემთხვევებში:
ავტორეჟიმის რაუნდების არჩეულმა რაოდენობამ მიაღწია 0-ს. ეკრანზე გამოსული შეტყობინება გამცნობთ თქვენ ამის შესახებ.
თქვენს ბალანსზე არ არის საკმარისი თანხა ავტოთამაშის გასაგრძელებლად.
აქტივირდება ავტოთამაშის შეჩერების ერთი ან მეტი ტრიგერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ბალანსზე არსებული თანხა მცირდება, ბალანსზე არსებული თანხა იზრდება ან ერთჯერადი მოგება აღემატება არჩეულ ნომინალს.

ბაკარას რამდენიმე მაგიდიანი თამაში
მიზანი
ბაკარას რამდენიმე მაგიდიანი თამაშის რეჟიმი გაძლევთ საშუალებას ითამაშოთ ბაკარა რამდენიმე მაგიდასთან ერთსა და იმავე დროს, ერთ გახსნილ ფანჯარაში, რაც გაძლევთ საშუალებას იპოვოთ იდეალური მომენტი და შესაფერისი მაგიდა თქვენი ფსონის გასანთავსებლად. თქვენ ადვილად შესძლებთ თამაშის მდგომარეობის მონიტორინგს თითოეულ მაგიდასთან, თამაშის სტატისტიკის შედარებას და ფსონების განთავსებას იმ მაგიდებზე, რომლებსაც მიანიჭებთ უპირატესობას.

ბაკარას რამდენიმე მაგიდიანი თამაშის რეჟიმზე გადასვლა

ბაკარას რამდენიმე მაგიდიანი თამაშის რეჟიმზე გადასვლა ხდება ბაკარას ლობიდან ან ბაკარას ნებისმიერი მაგიდიდან და ხელმისაწვდომია მობილურზე და დესკტოპის მოწყობილობებზე.

ლობიდან ბაკარას რამდენიმე მაგიდიანი თამაშის რეჟიმზე გადასასვლელად, დააჭირეთ ბაკარას რამდენიმე მაგიდიან თამაშზე არსებულ ღილაკს “Play Now”-ს (ითამაშეთ ეხლა). ეს ჩაანაცვლებს ლობის ფანჯარას რამდენიმე მაგიდიანი თამაშის ფანჯრით, სადაც ბაკარას ყველა მაგიდა ხელმიწვდომია რამდენიმე მაგიდიანი თამაშისთვის.

როდესაც თქვენ გადახვალთ ბაკარას რამდენიმე მაგიდიანი თამაშის რეჟიმზე, გაიხსნება მრავალმაგიდიანი თამაშის ფანჯარა, სადაც გამოსახულია ბაკარას ყველა ხელმისაწვდომი მაგიდა.

გახსნილი მიმდინარე მაგიდიდან ბაკარას რამდენიმე მაგიდიანი თამაშის რეჟიმზე გადასასვლელად, დააწკაპუნეთ აიქონზე.

რამდენიმე მაგიდიანი თამაშის რეჟიმი აქტივირდება და წინამორბედი გახსნილი მაგიდა გამოჩნდება როგორც თავდაპირველი მაგიდა აქტივირებული ვიდეო სტრიმით.

რამდენიმე მაგიდიანი თამაშის რეჟიმიდან გამოსვლის აიქონზე დაწკაპუნებისას რამდენიმე მაგიდიანი თამაშის რეჟიმის ფანჯარა დაიხურება.

ფსონების განთავსება

ფსონების განთავსება ხდება ნებისმიერ მაგიდასთან, ფსონების ადგილებზე - მოთამაშე, ბანკირი, ფრე, მოთამაშის წყვილი, ბანკირის წყვილი ბეთინგის ინტერვალში, როდესაც დროის ინდიკატორი მწვანე ფერისაა.

მინიმალური და მაქსიმალური ფსონის ლიმიტი აღნიშნულია თითოეულ მაგიდაზე, მაგიდის სახელწოდების გვერდით.

Chip Display (ჩიპის გამოსახულება) გაძლევთ საშუალებას აირჩიოთ ჩიპების ნომინალი, რომლითაც გსურთ ფსონის დადება. გაუქმების ღილაკი საშუალებას გაძლევთ გააუქმოთ ბოლო განთავსებული ფსონები, უკანასკნელი ფსონის გაუქმების დაწყებით.

Rebet button (ფსონის ხელახლა განთავსება) გაძლევთ საშუალებას გაიმეოროთ იმავე ფსონების განთავსება, რომლებიც თქვენ დადეთ თამაშის წინამორბედ რაუნდში თითოეულ მაგიდაზე.

Rebet (ფსონის ხელახლა განთავსება) ღილაკზე დაჭერისას, გაორმაგების და გაუქმების ღილაკები ხელმისაწვდომი გახდება.

Double (გაორმაგების ღილაკზე) ღილაკზე დაჭერისას ორმაგდება ჩიპების ის რაოდენობა, რომელიც თქვენ განათავსეთ ფსონის ხელმისაწვდომ ადგილას. ღილაკის ყოველ დაჭერაზე თქვენი ფსონი გაორმაგდება.

Undo (გაუქმების) ღილაკზე დაჭერისას თქვენი უკანასკნელი განთავსებული ფსონი გაუქმდება. ეს ღილაკი მოქმედია მხოლოდ ბეთინგის დროის მონაკვეთში. როდესაც ფსონების მიღება შეწყდება, თქვენ ვეღარ შესძლებთ თქვენი ფსონების შეცვლას ან გაუქმებას. განმეორებით გაუქმების ღილაკზე დაჭერისას ფსონები გაუქმდება ერთი მეორეს მიყოლებით. გაუქმება დაიწყება ბოლო ფსონის (ფსონების) გაუქმებით.

ბეთინგის დროის ამოწურვისას ინდიკატორი გაქრება და კარტი დარიგდება.
თამაშის შედეგის დაფიქსირებისას, თქვენი მოგების შემთხვევაში, თქვენი მომგებიანი მაგიდის ფანჯარა გამოიკვეთება და თქვენი მოგება გამოითვლება თქვენი ფსონებისა და ფსონების ტიპ(ებ)ის მიხედვით. ყველა თქვენი მოგება გამოჩნდება მრავალ მაგიდიანი თამაშის ფანჯრის ქვედა ნაწილში, შესაბამისად, თქვენ გეცოდინებათ რამდენი მოიგეთ, იმ შემთხევავშიც კი, თუ მაგიდები დამალულია სკროლის ქვემოთ.

ვიდეო სტრიმის მართვა

თქვენ შეგიძლიათ ვიდეო სტრიმის ჩართვა ან გამორთვა ნებისმიერ მაგიდასთან ვიდეო ღილაკის გამოყენებით.

ვიდეო სტრიმის აქტივაცია შესაძლებელია მხოლოდ ერთ მაგიდასთან. მაგიდა აქტიური ვიდეო სტრიმით იქნება ავტომატურად მოთავსებული ფანჯარაში როგორც თავდაპირველი მაგიდა. თუ ვიდეო სტრიმი აქტივირებულია დადუმებული აუდიოთი, ხმის ჩართვა შესაძლებელია ხმის ღილაკის გამოყენებით.

გზის სტატისტიკის მართვა

Big Road („დიდი გზა“) იქნება გამოსახული თითოეული მაგიდსთვის მრავალ მაგიდიანი თამაშის რეჟიმის დროს. თუ თქვენ გსურთ განსხვავებული ტიპის გზის არჩევა, დააჭირეთ Statistics button (სტატისტიკის ღილაკს) და აირჩიეთ სიიდან. შემდეგ მაგიდის ტიპი იქნება გამოსახული ყველა მაგიდისთვის.

მენიუ

ლობი
სალარო
მოთამაშის ისტორია
მაგიდის ლიმიტები – ამ ღილაკზე დაჭერისას თქვენ გახსნით თითოეული მაგიდის ლიმიტების დეტალურ გამოსახულებას.
დახმარება – ეს მოიცავს მრავალ მაგიდიანი თამაშის რეჟიმის გზამკვლევს, რომელსაც ეხლა კითხულობთ.
პარამეტრების ღილაკის გამოყენებით გაიხსნება პარამეტრების ფანჯარა, რაც საშუალებას მოგცემთ დააყენოთ თვენთვის სასურველი პარამეტრები.
სრული ეკრანის ღილაკის გამოყენებისას გაიშვება სრული ეკრანის რეჟიმი და თამაში ან/და ლობი შეავსებს მთლიან ეკრანს. თუ გსურთ ამ რეჟიმიდან გამოსვლა, კიდევ ერთხელ დააჭირეთ ღილაკს ან დააჭირეთ "Esc"-ს თქვენს კლავიატურაზე.

ამ ჩამონათვალის პოვნა შესაძლებელია მენიუს ღილაკის გამოყენებით მობილურ მოწყობილობებზე.

ბაკარა საკომისიოს გარეშე

ბაკარა საკომისიოს გარეშე არის ბაკარას ვერსია, როდესაც საკომისიოს 5% არ იქვითება, თუ ბანკირი მოიგებს. ეს თამაშს უფრო მიმზიდველს ხდის, ვინაიდან კაზინოს მოგება მცირდება. ბანკირის მოგების გადახდა ხდება ისევე, როგორც მოთამაშის, 1:1 თანაფარდობით, ნებისმიერი ჯამური ქულით 6-ის გარდა.

თუ ბანკირი მოიგებს ჯამში 6 ქულით, მოგება შეადგენს თქვენი ფსონის ნახევარს (0.5:1).
ბაკარას მაგიდები დეფოლტად დაყენებულია ბაკარას სტანდარტულ რეჟიმზე, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ გადახვიდეთ რეჟიმზე - ბაკარა საკომისიოს გარეშე ნებისმიერ დროს, ბეთინგის დროს. ამისთვის, დააჭირეთ გადაყვანის ღილაკს „No Comm.” (საკომისიოს გარეშე) თამაშის ინტერფეისზე.

ღილაკის გამოიყენებისას, სქემა შეიცვლება შემდეგნაირად:
* ბანკირის ბეთინგის ადგილზე მოგება გამოჩნდება როგორც 1:1.
* გამოჩნდება დამატებითი გვერდითი ფსონი-სუპერ 6.

ბაკარას საკომისიოს გარეშე აქვს ძალიან პოპულარული გვერდითი ფსონი - სუპერ 6, რომელიც იგებს, თუ ბანკირი უგებს მოთამაშეს ჯამში 6 ქულით. მოგების გადახდა ხდება 15:1 სახით თუ მოთამაშემ წააგო ნებისმიერი შედეგით. ეს გვერდითი ფსონი მიიჩნევა როგორც დაზღვევის ერთგვარი ფორმა იმ შემთხვევაში, თუ ბანკირი მოიგებს 6 ქულას.

გვერდითი ფსონის - სუპერ 6 დადებისას არსებობს რამოდენიმე შეღუდვა:

* გვერდითი ფსონის - სუპერ 6 - დადება შეიძლება მინიმუმ ერთი ძირითადი ფსონის განთავსების შემდეგ. სუპერ 6-ზე და მოთამაშეზე ფსონის დადება ერთდროულად არ მიიჩნევა როგორც რისკის შემცირება ბეთინგის დროს.
* სუპერ 6-ზე დადებული თანხა ვერ გადააჭარბებს ძირითადი ფსონის ოდენობას.

სწრაფი ბაკარა

თუ გსურთ ითამაშოთ კაზინოს ერთ-ერთი დიდებული თამაში სუპერ-დაჩქარებულ ტემპში, სწრაფი ბაკარა სწორედ თქვენთვისაა. ეს თამაში 60% უფრო სწრაფია, ვიდრე სტანდარტული ლაივ ბაკარა და ხელმისაწვდომია დესკტოპზე ან მობილურზე. მეტი მოქმედება, უფრო სწრაფი მოგება, დიდი სიამოვნება - ეს ყველაფერი აქ არის თქვენთვის.

მოთამაშისთვის თანხის დაბრუნება (RTP)

სტანდარტული ბაკარას თამაშის თეორიული RTP შეადგენს:

ფსონის ტიპი	RTP
მოთამაშე	98.94%
ბანკირი	98.76%
ფრე	85.64%

ბაკარას RTP შეადგენს: 98,94% ბანკირის ფსონისთვის ოპტიმალური სტრატეგიიდან გამომდინარე.

გვერდითი ფსონების თეორიული RTP:

ფსონის ტიპი	RTP
მოთამაშის წყვილი	89.64%
ბანკირის წყვილი	89.64%
ნებისმიერი წყვილი	86.29%
იდეალური წყვილი	86.97%
მოთამაშის ბონუსი	97.35%
ბანკირის ბონუსი	90.63%

საკომისიოს გარეშე ბაკარას თეორიული RTP:

ფსონის ტიპი	RTP
მოთამაშე	98.94%
ბანკირი	98.54%
ფრე	85.64%
გვერდითი ფსონი სუპერ 6	86.18%

ბაკარას გზამკვლევი

ბაკარას თამაშის ტენდენციები დაფიქსირებულია „გზებზე“, რომლებიც წარმოადგენს დასტის მოსათავსებელი მოწყობილობის შედეგების გრაფიკულ გამოსახულებას. ეს გზები ეხმარება მოთამაშეებს ჰქონდეთ სწრაფი წვდომა თამაშის ისტორიასთან, მოახდინონ ტენდენციების იდენტიფიცირება და ჰქონდეთ სამომავლო შედეგების გამოცნობის მცდელობა.

ბაკარას სტატისტიკური გზამკვლევი იწყება პირველი რაუნდის დასტის დარიგებისას და წყდება დასტის მოჭრისას. დასტის ბოლო ხელის დასრულებისთანავე გზამკვლევში არსებული მიმდინარე მონაცემები ქრება.

როდესაც იწყება ახალი დასტის დარიგება, პროცესი იწყება ახლიდან.

არსებობს ხუთი ხელმისაწვდომი ტრადიციული გზა:

The Big Road (დიდი გზა)
Big Eye Boy (დიდთვალება ბიჭი)
The Small Road (პატარა გზა)
The Cockroach Road (ხოჭოს გზა)
The Bead Plate (ბორტის ფირფიტა)


დიდი გზა

The Big Road არის ძირითადი გზა, რომლიდანაც წარმოიშვება ყველა სხვა გზა. ეს არის ექვს რიგიანი ბადე ბევრი განიერი სვეტით.


სიმბოლოები Big Road-ზე:

სიმბოლოები						
მნიშვნელობა	Player won (მოთამაშემ მოიგო)	Banker won (ბანკირმა მოიგო)	Tie won after Banker (ფრემ მოიგო ბანკირის შემდეგ)	2 consecutive Ties (2 თანმდიმდევრული ფრე)	Player Pair won (მოთამაშის წყვილმა მოიგო)	Banker Pair won (ბანკირის წყვილმა მოიგო)

თამაშის დაწყებისას პირველი შედეგი ნაჩვენებია Big Road-ის ზედა მარცხენა კუთხეში. თუ მეორე შედეგი იმავე მხარეს არის ნაჩვენები, ის გადადის პირველი შედეგის ქვემოთ. სხვა შემთხვევაში, იქმნება ახალი სვეტი და პროცესი გრძელდება მთელი თამაშის განმავლობაში. ამის შედეგად, Big Road გარდაიქმნება ცარიელი მონაცვლე წრეების სერიად - ლურჯი - მოთამაშისთვის და წითელი - ბანკირისთვის - ერთი წრის მინიმალური სიმაღლით და მაქსიმალური სიმაღლის გარეშე.




Big Road-ზე ფრე არ არის გამოსახული ცალკე უჯრაში, უბრალოდ მოცემულია მწვანე ხაზის სახით უკანასკნელი შედეგის გასწვრივ. რამოდენიმე ფრეს შემთხვევაში, პატარა ციფრი გამოსახულია მწვანე ხაზის გვერდით, რომელიც წარმოადგენს ფრეს რაოდენობას. თუ ფრე დაფიქსირდება ბანკირის ან მოთამაშის სასარგებლოდ დაფიქსირებულ შედეგამდე, ფრეს მწვანე ხაზი გამოჩნდება ზედა მარცხენა უჯრაში ბადეზე, ხოლო როდესაც ბანკირის ან მოთამაშის შედეგი ცნობილია, წრე გამოსახულია იმავე უჯრაში, ფრეს ხაზის ქვეშ.
ბანკირის ან მოთამაშის ექვსზე მეტი ზედიზედ მოგების შემთხვევაში, და თუ ეკრანზე მთავრდება ვერტიკალური სივრცე, ამ სიატუაციას ეწოდება "the dragon" (დრაკონი). ბაკარას ერთი პოპულარული სტრატეგიაა „გაჰყევი დრაკონს“ და გაითვალისწინოთ ეს ტენდენცია ბეთინგის დროს.



წარმოქმნილი გზები

“Big Eye Boy”, “Small Road” და “Cockroach Pig” წარმოქმნილია Big Road-ისგან და აღწერენ მასში არსებულ სხვადასხვა ნიმუშებს. წარმოქმნილი გზები ზუსტად არ ასახავენ იმას, თუ რა მოხდა - ისინი გამცნობენ იყო თუ არა ნიმუშები, რომლებსაც ასევე ეწოდება „პროგნოზირებადი გზები“.
წარმოქმნილი გზები შედგება წითელი და ლურჯი სიმბოლოებისგან: ცრიელი წრეები განკუთვნილია Big Eye Boy-სთვის, სავსე წრეები - Small Road-სთვის, ხოლო წილადის ხაზი - Cockroach Road-სთვის.
წითელი და ლურჯი სიმბოლოები, რომლებიც ქმნიან წარმოქმნილ გზებს, არ შეესაბამება არც ბანკირს და არც მოთამაშეს. წითელი ზოგადად ნიშნავს, რომ არსებობს ნიმუში, ხოლო ლურჯი ზოგადად ნიშნავს, რომ პარტია „ცვალებადია“, ნიმუშის გარეშე.



თითოეული გზამკვლევი გამოსახავს თამაშის შედეგებს განსხვავებული ნიმუშის გამოყენებით. კერძოდ, განსხვავება მდგომარეობს საწყის წერტილში და Big Road-ზე მიღებულ შედეგებში:

Big Eye Boy: მეორე შედეგი მეორე სვეტში;
Small Road: მეორე შედეგი მესამე სვეტში;
Cockroach Road: მეორე შედეგი მეოთხე სვეტში;

წარმოქმნილი გზის დაწყებისთანავე დამატებითი წითელი ან ლურჯი სიმბოლო დაემატება იმ გზას ყოველი პარტიის შემდეგ.

ნებისმიერ წარმოქმნილ გზაზე დაწკაპუნებისას გზის შემადგენლობა ვიზუალურად გადიდდება.

ბორტის ფირფიტა

Bead Plate (ბორტის ფირფიტა) არის ყოველი პარტიის ზუსტი გამოხატულება. ფრეს შედეგი ნაჩვენებია ბორტის ფირფიტის ცალკე უჯრაში და მონიშნულია მწვანე წრის სახით.

სიმბოლოები					
მნიშვნელობა	მოთამაშემ მოიგო	ბანკირმა მოიგო	ფრე	მოთამაშის წყვილმა მოიგო	ბანკირის წყვილმა მოიგო

პირველი სიმბოლო ჩნდება ბადის ზედა მარცხენა კუთხეში და გზა ივსება ვერტიკალურად ქვემოთ სვეტის ექვსივე უჯრის გავლით. ახალი სვეტი იქმნება მაშინ, როდესაც შეივსო წინა სვეტი, თითოეული პარტიის შედეგის მიუხედავად.

Bead Plate-ის სტატისტიკის ადგილზე დაწკაპუნებისას თქვენ დაინახავთ ასოებით გადმოცემულ შედეგებს მოგების შედეგების შესაბამისად (მოთამაშე, ბანკირი ან ფრე) ან ციფრებით გადმოცემულ შედეგებს მოგებული პარტიების ჯამური ქულების შესაბამისად.

გზამკვლევის გამოკვლევა (ჰკითხე მოთამაშეს, ჰკითხე ბანკირს)

გზამკვლევის გამოძიება ეხმარება მოთამაშეებს გააკეთონ პროგნოზი მომდევნო რაუნდის შედეგზე. ის აჩვენებს, თუ როგორი იქნება ტენდენციები Big Road-ზე, Big Eye Boy-ზე, Small Road-ზე, Cockroach Road-ზე და Bead Plate-ზე მოთამაშის ან ბანკირის შედეგის დამატებით.
დააჭირეთ ღილაკს Ask Player გზების სანახავად თუ მომდევნო შედეგი არის „მოთამაშე“ ან დააჭირეთ ღილაკს Ask Banker რომ ნახოთ მათი გამოსახულება, თუ შემდეგი შედეგი იქნება ბანკირის მოგება.
ღილაკზე არსებული სიმბოლოები წარმოადგენენ თითოეული წარმოქმნილი გზის აქტუალურ ბოლო სიმბოლოს.

ნავიგაციის კონტროლი

ლობის ღილაკზე დაჭერა შესაძლებელია ნებისმიერ დროს ნებისმიერი თამაშიდან. ეს საშუალებას გაძლევთ შეცვალოთ მაგიდა ადვილად, აირჩიოთ ნებისმიერი სხვა ლაივ თამაში ან უბრალოდ დატოვოთ მაგიდა. თქვენ ვერ დატოვებთ მიმდინარე მაგიდას სანამ არ აირჩევთ ახალ მაგიდას, რომელთანაც გსურთ თამაში. აქედან გამომდინარე, ლობის გამოყენება შეიძლება სხვა თამაშების გასახსნელად სანამ თქვენ იმყოფებით მიმდინარე მაგიდასთან. ლობის გვერდზე გადასვლისას, დააჭირეთ თამაშთან დაბრუნების ღილაკს იმისთვის, რომ გამოხვიდეთ ლობიდან და დაუბრუნდეთ თქვენს გახსნილ მაგიდას.

ჩატის ღილაკზე დაჭერისთანავე გაიხსნება ჩატის ფანჯარა დილერისთვის ან სხვა მოთამაშეებისთვის შეტყობინებების გასაგზავნად. ჩვენს დილერებს ექნებათ თქვენთან პირდაპირი კომუნიკაცია და პასუხს გასცემენ თამაშთან დაკავშირებულ ნებისმიერ შეკითხვაზე.

თუ თქვენ გსურთ ჩვენს ლაივ მხარდაჭერის გუნდთან გასაუბრება, გთხოვთ აირჩიოთ შესაბამისი ჩატის ოთახი მხარდაჭერის ღილაკზე დაჭერისას და თქვენ გაგიწევენ დახმარებას პირად ჩატში.

ჩატის შეტყობინებების მონიტორინგი მუდამ ხორციელდება სპეციალური სტუდიის პერსონალის მიერ. ნებისმიერი ჩატის შეტყობინებები წაიშლება და თქვენი ჩატის ფუნქცია დაიბლოკება თუ თქვენ იყენებთ შეუსაბამო ან უხამს სიტყვებს დილერებთან ან/და სხვა მოთამაშეებთან მიმართებაში ან ტვირთავთ ჩატს არაფრის მომცემი შეტყობინებებით.

ხმის კონტროლის ღილაკის მეშვეობით გაიხსნება სლაიდერი, რომელიც მოგცემთ საშუალებას შეცვალოთ ხმის სიმაღლე თქვენს მაგიდასთან. ხმის კონტროლის ღილაკის გამოყენება გაუთიშავს ხმას თამაშს - და გარდაიქმნება „უხმო“ აიქონად.

თამაში დეფოლტად გაიხსნება უხმო აუდიოთი. გთხოვთ დააჭიროთ დადუმების ღილაკს, რომ უხმო რეჟიმი გააქუმოთ. შემდეგ აიქონი გარდაიქმნება ხმის კონტროლის ღილაკად.

ისტორიის ღილაკზე დაჭერისას გაიხსნება ფანჯარა, რომელიც ასახავს თქვენი ქმედებების დეტალებს ჩვენს ლაივ კაზინოში. ის დეფოლტად გაიხსნება თქვენი დღევანდელი დღის ისტორიაში. პანელის „უფრო ძველი“ არჩევისას, თქვენ ასევე შეგიძლიათ იხილოთ თქვენი წინამორბედი დღეების ისტორია.

აირჩიეთ სიიდან თამაშის რაუნდი მისი დეტალების სანახავად, თქვენი ყველა ფსონის ჩათვლით.

თქვენი ლაივ ბაკარას თამაშის რაუნდის ისტორიის დეტალები წარმოდგენილია ისტორიის ფანჯარაში და დაყოფილია 2 ნაწილად: ინფორმაცია თამაშის რაუნდის შესახებ და ინფორმაცია ფსონების შესახებ.

დახმარების ღილაკზე დაჭერისას გაიხსება დახმარების ფანჯარა, რომელშიც თქვენ ამჟამად იმყოფებით.

პარამეტრების ღილაკზე დაჭერისას გაიხსნება პარამეტრების ფანჯარა, რომელიც საშუალებას მოგცემთ აირჩიოთ თქვენთვის სასურველი პარამეტრი:

ვიდეო სტრიმის ჩართვა/გამორთვა
ვიდეო ხარისხის მართვა
თამაშის ხმის მართვა
ინტერფეისის ენის შეცვლა

ფსონების ტაბში შემდეგი პარამეტრები ხელმისაწვდომია:

დესკტოპზე:	მობილურზე:
ყველა გვერდითი ფსონის ჩვენება ბეთინგის სტატისტიკის ჩვენება	ბეთინგის სტატისტიკის ჩვენება იდელური წყვილის და ნებისმიერი წყვილის გვერდითი ფსონების ჩვენება დიდი და პატარა გვერდითო ფსონების ჩვენება. ერთ ჯერზე თქვენ შეგიძლიათ 4 გვერდითი ფსონიდან მხოლოდ ორის არჩევა.

კლასიკური გამოსახულების ღილაკის გამოყენებით თქვენ ჩაანაცვლებთ თამაშის გამოსახულებას კლასიკური გამოსახულებით და ვიდეო იქნება ნაჩვენები პატარა ჩარჩოში. ვირტუალური მაგიდა ხელმისაწვდომია ვიდეოს ქვემოთ და ნაჩვენებია ორივე მხარის გრაფიკული კარტები.

თამაშის ინტერფეისი შეიძლება ასევე შეიცვალოს ავტომატურად და გადავიდეს კლასიკური გამოსახულების რეჟიმზე თუ თქვენი ინტერნეტ-კავშირი დაბალია ან არასტაბილური. თუ ეს ასე მოხდება, ვიდეო ავტომატურად დაყენდება ვიდეოს დაბალ რეზოლუციაზე.
სრული ეკრანის ღილაკის გამოყენებისას გაიშვება სრული ეკრანის რეჟიმი და თამაში ან/და ლობი შეავსებს მთლიან ეკრანს. თუ გსურთ ამ რეჟიმიდან გამოსვლა, კიდევ ერთხელ დააჭირეთ ღილაკს ან დააჭირეთ "Esc"-ს თქვენს კლავიატურაზე.

კარტების აჩეხვა და კარტების შეცვლა

დასტის აჩეხვა ხდება მაშინ, როდესაც კარტები აღარ რჩება დასტის მოსათავსებელ მოწყობილობაში და თამაშის რაუნდი დასრულდა.

როდესაც დასტის მომჭრელი კარტი გამოჩნდება თამაშში, ის გაუქმდება და პარტია დასრულდება. დილერი გამოაცხადებს „თამაშის უკანასკნელი პარტია“. ამ პარტიის დასრულებისას კარტები აღარ დარიგდება სანამ არ შეიცვლება კარტის დასტა ან კარტი არ აიჩეხება.

კარტების აჩეხვა (არევა) ხდება კარტის მჩეხავის მიერ დამხმარე მაგიდაზე ან დილერის მიერ თამაშის მაგიდაზე, დაწესებული პროცედურის შესაბამისად.

კარტების შეცვლის პროცედურა ხდება კარტის თამაშის თითოეულ მაგიდასთან 24 საათში ერთხელ შემდეგ შემთხვევებში:

* მაგიდა იყო გახსნილი უმოქმედობის პერიოდის შემდეგ;
* ვიდეო სტრიმი მიუწვდომელი იყო მაგიდასთან;
* სამ კარტზე მეტი დაეცა ძირს თამაშის რაუნდის დროს;
* დასტის მოსათავსებელ მოწყობილობაში აღმოჩნდა კარტი დეფექტიანი შტრიხ-კოდით.

თამაშთან დაკავშირებული პრობლემები

თქვენ პირადად ხართ პასუხისმგებელი თქვენი ფსონების სწორად განთავსებაზე ბაკარას ნებისმიერ მაგიდაზე.

ნებისმიერი ტექნიკური ხარვეზის ან ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომის შემთხვევაში, ცვლის მენეჯერი იქნება დაუყოვნებლივ ინფორმირებული ამის შესახებ.

თამაშის მსვლელობის დროს ნებისმიერი დაშვებული შეცდომის შემთხვევაში, თამაშის რაუნდი დროებით შეჩერდება და ცვლის მენეჯერი იქნება ინფორმირებული ამის შესახებ. თქვენ მოგივათ შეტყობინება ეკრანზე, რომ პრობლემა განხილვის პროცესშია.

თუ ცვლის მენეჯერს დაუყოვნებლივ შეუძლია შეცდომის აღმოფხვრა (მაგ: კარტების რესკანირებით, კარტების სათანადო მდგომარეობაში მოთავსებით), თამაშის რაუნდი გაგრძელდება ჩვეულებრივად. თუ გადაუდებელი ზომების მიღება შეუძლებელია, თამაშის რაუნდი გაუქმდება და საწყისი ფსონები დაუბრუნდება ყველა მოთამაშეს, რომლებიც მონაწილეობდნენ თამაშის რაუნდში.

ფსონი შეიძლება იყოს უარყოფილი სისტემის მიერ ბეთინგის დროის ამოწურვის მერე თუ მისი განთავსება არ მოხდა დროულად, თუ არ აკმაყოფილებდა მინიმალურ ან მაქსიმალურ მოთხოვნებს ან ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა პრობლემის გამო.

თუ თქვენ დადებთ ფსონს, რომელიც მაგიდის მინიმალური ფსონის ლიმიტზე დაბალია, ეს აისახება როგორც უმოქმედო ჩიპი. თქვენ იქნებით ინფორმირებული ამის შესახებ პატარა ამომხტარი დამხმარე ფანჯრის მეშვეობით თქვენი ფსონის ზემოთ.

ბეთინგის დროის ამოწურვისას ყველა უმოქმედო ჩიპი იქნება უარყოფილი.
თუ თქვენი ფსონი აჭარბებს ნებისმიერი მაქსიმალური ფსონის ლიმიტს, ის ავტომატურად დაკორექტირდება და თქვენ იქნებით ინფორმირებული ამის შესახებ პატარა ამომხტარი დამხმარე ფანჯრის მეშვეობით თქვენი ფსონის ზემოთ.

თუ თქვენ მიიჩნევთ, რომ თამაში დასრულდა არასწორი შედეგით, ან სხვა ნებისმიერი დარღვევების შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ კაზინოს მომხმარებელთა მხარდაჭერის გუნდს და წარუდგინეთ თამაშის საიდენტიფიკაციო ნომერი.

გათიშვის პოლიტიკა

Pragmatic Play ლაივ კაზინოს სერვისის მიწოდება ხორციელდება ინტერნეტის მეშვეობით, რომელიც პერიოდულად შეიძლება გაგეთიშოთ. ეს უქმნის პოტენტიურ პრობლემას თამაშის მსვლელობას და თქვენს სამომხმარებლო გამოცდილებას.

გაუთვალისწინებელი გათიშვების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, ეკრანზე გამოისახება შეტყობინება თავიდან დაკავშირების შესახებ, როდესაც თქვენ დაკარგავთ კავშირს თამაშის სერვერთან.

გათიშვის შემთხვევაში მოქმედებს შეცდომის აღმოფხვრის შემდეგი წესები:

თუ გათიშვა მოხდება „ფსონები აღარ მიიღება“ შეტყობინების ეკრანზე გამოჩენამდე და თქვენი ფსონები სერვერს ჯერ არ მიუღია, თქვენი ფსონები არ ჩამოიჭრება ბალანსიდან და თქვენ არ მიიღებთ მონაწილეობას თამაშის რაუნდში. გათიშვის შემთხვევაში, გთხოვთ შეამოწმოთ თქვენი ბალანსი და დაუყოვნებლივ შეატყობინოთ კაზინოს ოპერატორს ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში.
თუ გათიშვა მოხდება „ფსონები აღარ მიიღება“ შეტყობინების ეკრანზე გამოჩენის შემდეგ და სერვერმა მიიღო თქვენი ფსონები, თამაში ჩვეულებრივად გაგრძელდება და ნებისმიერი მოგება დამუშავდება თამაშის შედეგის შესაბამისად, გათიშვის მიუხედავად.

გათიშვის შემდეგ, გთხოვთ შეამოწმოთ თქვენი მოგება ისტორიის ფანჯარაში და თუ გაქვთ რაიმე ეჭვი თამაშის შედეგთან დაკავშირებით, გთხოვთ მიმართოთ ლაივ მხარდაჭერას თამაშის დროს ან კაზინოს მომხმარებელთა მხარდაჭერის გუნდს, მიაწოდეთ ყველა დეტალი განხილვადი თამაშის შესახებ, თამაშის საიდენტიფიკაციო ნომრის ჩათვლით.
თუ სტუდიის მაგიდასთან წვდომა შეჩერდა 5 წუთზე მეტხანს, თამაში გაუქმდება.
თუ ჩვენ დავადგენთ, რომ თქვენ მოიგებდით თამაშის რაუნდს, თქვენ დაგერიცხებათ მოგება თქვენს ანგარიშზე კაზინოს მომხმარებელთა მხარდაჭერის გუნდის მეშვეობით.

Live Speed Roulette

თამაშის წესები

რულეტში ფსონები უნდა განთავსდეს ბეთინგის დროის მონაკვეთში მაგიდაზე „Roulette Layout“ (რულეტის სქემა), რომელზეც ასახულია ბეთინგის ყველა სტანდარტული პოზიცია.



თამაშის დასაწყებად, დაელოდეთ შეტყობინებას გამოჩენას “ PLEASE, PLACE YOUR BETS (გთხოვთ, განათავსოთ ფსონები), შემდეგ აირჩიეთ ჩიპის ნომუნალური ღირებულება, რომლის გათამაშებაც გსურთ მოცემულ სპინზე და განათავსეთ ჩიპი ბეთინგის მონაკვეთში, სათამაშო მაგიდაზე.
თქვენი ჯამური ფსონი იქნება გამოსახული Total Bet-ის (ჯამური ფსონის) ფანჯარაში.

ფსონების განთავსება შესაძლებელია ბეთინგის დროის მონაკვეთში, სანამ დილერი არ გამოაცხადებს "BETS CLOSED". (ფსონების მიღება შეჩერებულია). ამის შემდეგ ფსონების მიღება შეწყდება.

ბურთი ტრიალებს რულეტის ბორბალში მოქმედი ბრუნვის წესის თანახმად, რაც განსაზღვრულია მოცემული ტექსტის თავში „რულეტის მოქმედი ბრუნვის წესი“. როდესაც ბურთი ჩერდება ციფრის სექტორზე, მომგებიანი ციფრი გამოიკვეთება თამაშის ინტერფეისზე. თუ თქვენი ნებისმიერი ფსონი მოიცავს მომგებიან ნომერს, თქვენ მიიღებთ მოგებულ თანხას რულეტის გადახდის ცხრილის მიხედვით. თქვენი მოგება გამოჩნდება შეტყობინებაში მოგების შესახებ.

ფსონები და კოეფიციენტები

თქვენ შეგიძლიათ ბევრი ტიპის ფსონის განთავსება რულეტის მაგიდაზე. ფსონის თითოეული ტიპი მოიცავს ციფრების კონკრეტულ დიაპაზონს და თითოეულს გააჩნია მოგების საკუთარი კოეფიცინეტები.

ფსონები, რომლებიც განთავსებულია დანომრილ სვეტებში ან მათ შორის ხაზებზე, არის შიდა ფსონები, ხოლო ფსონები, რომლებიც განთავსებულია სპეციალურ კვადრატებზე, ციფრების დაფის ქვემოთ ან მისგან მარცხნივ, არის „გარე ფსონები“. როდესაც თქვენ გაამოძრავებთ თქვენს „მაუსს“ ბეთინგის მაგიდის მიდამოებში, გამოიკვეთება ის ციფრები, რომლებსაც მოიცავს მაგიდა თქვენი ფსონის განთავსების შემთხვევაში იმავე ადგილზე. სხვადასხვა ტიპის ფსონები და მოგება მოცემულია ქვემოთ:

Straight Up (პირდაპირი ფსონი) - განათავსეთ თქვენი ჩიპები პირდაპირ ნებისმიერ ერთნიშნა რიცხვზე (0-ის ჩათვლით).
Split Bet (ფსონი ორ რიცხვზე) - განათავსეთ თქვენი ჩიპები ნებისმიერ ორ ციფრს შორის ხაზზე (მაგ: Street 0/2, 16/17).
Street Bet (ფსონი ერთ რიგზე) - განათავსეთ თქვენი ჩიპები ნებისმიერი ციფრების რიგის ქვედა ბოლოსკენ, გარე ფსონების მხარეს. ფსონი ერთ რიგზე მოიცავს სამ ციფრს (მაგ: Street 7, 8, 9). ფსონები, რომლების განთავსებაც ხდება 0,1 და 2-ის ან 0,2 და 3-ის საერთო შეხების ადგილას, ასევე მიიღება როგორც ფსონები ერთ რიგზე.
Corner Bet (კუთხის ფსონი) – განათავსეთ თქვენი ჩიპები გადაკვეთის ხაზებზე, სადაც ოთხი ციფრი იკვეთება ერთმანეთთან (მაგ: Corner 5, 6, 8, 9). 0,1,2,3-ზე განთავსებული ფსონი (0-ის და 1-ის ქვედა გადაკვეთა) ასევე ითვლება კუთხის ფსონად.
Six Line Bet (ფსონი ექვს ხაზზე) – განათავსეთ თქვენი ჩიპები T ფორმის გადამკვეთ ხაზებზე მომიჯნავე streets-ს შორის. ფსონი ექვს ხაზზე მოიცავს ყველა ციფრს ორივე რიგში, ჯამში ექვს ციფრს (მაგ: Six line 4,5 ,6, 7, 8, 9).
Column Bet (სვეტის ფსონი) – ჩიპის განთავსება ერთ-ერთ კვადრატზე, რომელიც მონიშნულია როგორც "2:1" სვეტების ბოლოში, მოიცავს ყველა ციფრს იმ სვეტში, ჯამში 12 ციფრს. არც ერთი სვეტი არ მოიცავს 0-ს.
Dozen Bet (ფსონი თორმეტეულზე) - ჩიპის განთავსება სამიდან ერთ-ერთ კვადრატზე, რომელიც მონიშნულია როგორც "პირველი 12," "მეორე 12," ან "მესამე 12", მოიცავს ამ თორმეტ ციფრს თანმიმდევრობით 1-დან 36-ის ჩათვლით. არც ერთი თორმეტეული არ მოიცავს 0-ს.
Even Chances (თანაბარი შანსები) - ჩიპის განთავსება ამ ექვსი კვადრატიდან ერთ-ერთზე მოიცავს 18 ციფრს ციფრების დაფაზე, რაც აღწერილია იმ კვადრატში: წითელი/შავი, კენტი/ლუწი, დაბალი ციფრები (1-დან 18-ის ჩათვლით), ან მაღალი ციფრები (19-დან 36-ის ჩათვლით). არც ერთი კვადრატი არ მოიცავს 0-ს.

ფსონის ტიპი	მოიცავს	მოგება
Straight Up	1 ციფრი	35:1
Split	2 ციფრი	17:1
Street	3 ციფრი	11:1
Corner	4 ციფრი	8:1
Six Line	6 ციფრი	5:1
Column / Dozen	12 ციფრი	2:1
Red / Black	18 ციფრი	1:1
Even / Odd	18 ციფრი	1:1
1-18 / 19-36	18 ციფრი	1:1

მოთამაშისთვის თანხის დაბრუნება

რულეტში მოთამაშისთვის თანხის დაბრუნება შეადგენს 97.30%.

ბორბლის სექტორები

ფსონები ბორბლის სექტორებზე არის საყოველთაოდ ცნობილი კომპლექსური ფსონები, რომლებსაც იყენებენ რულეტის ექსპერტი მოთამაშეები. ეს ფსონები, ისევე როგორც მეზობლის ფსონები, იდება Roulette Racetrack-ის მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს ციფრებს, რომლებიც ჩნდებიან რულეტის ბორბალზე, და არა რულეტის მაგიდაზე.



თქვენ შეგიძლიათ იქონიოთ მასთან წვდომა Racetrack ღილაკზე დაჭერით თამაშის ინტერფეისზე.

ერთ ნულიანი რულეტის ბორბალი დაყოფილია 3 ძირითად სექტორად, რომლებიც შეესაბამება მაგიდის მიდამოებს. ამ სექტორების ტრადიციული სახელწოდებებია Voisins du Zero ქვესექციით 0 Game, Tiers Du Cylindre სექცია, და Orphelins.

Voisins Du Zero არის 9 ჩიპიანი ფსონი, რომელიც მოიცავს 0+7 ციფრს მარჯვნივ, და ცხრა ციფრს - მარცხნივ. ეს არის ბორბლის ყველაზე დიდი სექტორი. Racetrack-ზე ის მონიშნულია., როგორც “Voisins”. ამ ფსონის განაწილება ხდება შემდეგი პრინციპით:

2 ჩიპი street bet-ზე 0/2/3;
1 ჩიპი თითო splits-ზე 4/7, 12/15, 18/21, 19/22 და 32/35;
2 ჩიპი corner bet-ზე 25/26/28/29.

0 Game არის 4 ჩიპიანი ფსონი, რომელიც მოიცავს ზეროს და ყველაზე ახლოს მდებარე მეზობელ ციფრებს. ჩიპების განთავსება 0 Game სექტორზე ხდება შემდეგნაირად:

1 ჩიპი straight-up bet-ზე: 26;
1 ჩიპი თითოეულ სპლიტზე 0/3, 12/15 და 32/35.

Tiers Du Cylindre არის 6 ჩიპიანი ფსონი, რომელიც მოიცავს ციფრებს ბორბალზე ოცდაცამეტიდან ოცდაშვიდის ჩათვლით. Racetrack-ზე ის იღნაშნულია როგორც “Tiers”, რაც სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც „ბორბლის მესამე ნაწილი“ და ჩიპების განთავსება ხდება split ფსონებზე, მის 12 ციფრზე: 5/8, 10/11, 13/16, 23/24, 27/30 და 33/36.

Orphelins არის 5 ჩიპიანი ფსონი, რომელიც მოიცავს ციფრებს ბორბლის ორ სექტორზე Tiers-ის და Voisins-ის გარდა. ფსონის განაწილება ხდება შემდეგნაირად:

1 ჩიპი straight-up ფსონზე: 1;
1 ჩიპი splits-ზე 6/9, 14/17, 17/20 და 31/34.

მეზობლის ფსონები

ეს ფსონები შეიძლება განთავსდეს ციფრების მიხედვით, რომლებიც გამოჩნდებიან რულეტის ბორბალზე, და არა რულეტის სქემაზე. მეზობელი ფსონები შეიძლება განთავსდეს Roulette Racetrack-ის მეშვეობით.

მეზობელი ფსონი არის 5 ჩიპიანი ფსონი, რომელიც ნაწილდება თვით ციფრზე და მისგან ორივე მხარეს მდებარე ორ ციფრზე Roulette racetrack-ზე.

არჩეული მეზობლების რაოდენობა შეიძლება შემცირდეს 1 -მდე ან გაიზარდოს 9-მდე ორივე მხარეს.

ფსონების განთავსების დროის მონაკვეთში Racetrack-ზე დაწკაპუნების შედეგად არჩეული ნომინალის ჩიპები განთავსდება რულეტის ძირითად სქემაზე.

იმისთვის, რომ დაუბრუნდეთ სქემის დეფოლტად მოცემულ გამოსახულებას, დაჭირეთ Racetrack ღილაკს კიდევ ერთხელ.

სპეციალური ფსონები

ეს არის მრავალჯერადი ფსონები, რომლებიც ტრადიციულად პოპულარულია რულეტის ფანებში. ნებისმიერი სპეციალური ფსონის გასანთავსებლად, სპეციალური ფსონების ღილაკზე დაჭერით გახსენით სპეციალური ფსონების ფანჯარა.

როდესაც თქვენ დააწკაპუნებთ ნებისმიერ სპეციალურ ფსონზე, თქვენს განკარგულებაში იქნება მრავალჯერადი რიცხვები თქვენს მიერ არჩეული ჩიპის ნომინალით ერთ სვლაზე.
ჩვენი რულეტის თამაშში ფიგურირებს შემდეგი სპეციალური ფსონები: Final en Plein, Finales a Cheval და Full Complete, რომლების დეტალური აღწერა მოცემულია ქვემოთ.

Final en Plein არის ფრანგული ტერმინი, რომელიც გულისხმობს Straight Up ფსონების განთავსებას ყველა იმ ციფრზე, რომელიც მთავრდება არჩეული რიცხვით. ამ ფსონებს ასევე ეწოდება „Finals“.

როდესაც თქვენ დააწკაპუნებთ ნებისმიერ ციფრზე Finale en Plain სექციაში, ჩიპების განთავსება მოხდება რულეტის სქემაზე შემდეგი პრინციპით:

Finale en Plein 0 არის 4 ჩიპიანი ფსონი 0, 10, 20 და 30-ზე;
Finale en Plein 1 არის 4 ჩიპიანი ფსონი 1, 11, 21 და 31-ზე;
Finale en Plein 2 არის 4 ჩიპიანი ფსონი 2, 12, 22 და 32-ზე;
Finale en Plein 3 არის 4 ჩიპიანი ფსონი 3, 13, 23 და 33-ზე;
Finale en Plein 4 არის 4 ჩიპიანი ფსონი 4, 14, 24 და 34-ზე;
Finale en Plein 5 არის 4 ჩიპიანი ფსონი 5, 15, 25 და 35-ზე;
Finale en Plein 6 არის 4 ჩიპიანი ფსონი 6, 16, 26 და 36-ზე;
Finale en Plein 7 არის 3 ჩიპიანი ფსონი 7, 17 და 27-ზე;
Finale en Plein 8 არის 3 ჩიპიანი ფსონი 8, 18 და 28-ზე;
Finale en Plein 9 არის 3 ჩიპიანი ფსონი 9, 19 და 29-ზე.

Finales a Cheval არის ასევე ფრანგების მიერ შთაგონებული ფსონები, რომლებიც მოიცავენ ერთ-ერთი სპლიტის მხარდაჭერას, რაც გამოსახულია ქვემოთ:

როდესაც თქვენ დააწკაპუნებთ ნებისმიერ ციფრზე Finales a Cheval სექციაში, ჩიპების განთავსება მოხდება რულეტის სქემაზე შემდეგი პრინციპით:

Finales a Cheval 0/3 არის 4 ჩიპიანი ფსონი სპლიტზე 0/3, 10/13, 20/23 და 30/33;
Finales a Cheval 1/4 არის 4 ჩიპიანი ფსონი სპლიტზე 1/4, 11/14, 21/24 და 31/34;
Finales a Cheval 2/5 არის 4 ჩიპიანი ფსონი სპლიტზე 2/5, 12/15, 22/25 და32/35;
Finales a Cheval 3/6 არის 4 ჩიპიანი ფსონი სპლიტზე 3/6, 13/16, 23/26 და 33/36;
Finales a Cheval 4/7 არის 4 ჩიპიანი ფსონი სპლიტზე 4/7, 14/17, 24/27 და 34 straight up;
Finales a Cheval 5/8 არის 4 ჩიპიანი ფსონი სპლიტზე 5/8, 15/18, 25/28 და 35 straight up;

Finales a Cheval 6/9 არის 4 ჩიპიანი ფსონი სპლიტზე 6/9, 16/19, 26/29 და 36 straight up;
Finales a Cheval 7/10 არის 3 ჩიპიანი ფსონი სპლიტზე 7/10, 17/20 და 27/30;
Finales a Cheval 8/11 არის 3 ჩიპიანი ფსონი სპლიტზე 8/11, 18/21 და 28/31;
Finales a Cheval 9/12 არის 3 ჩიპიანი ფსონი სპლიტზე 9/12, 19/22 და 29/32.

მობილურში უბრალოდ დააჭირეთ პირდაპირ სასურველ ციფრებს Finales a Cheval სექციაში და თქვენი შერჩეული ჩიპის ნომინალის ფსონები გამოჩნდება მინი-სქემაზე.

„Full Complete“ ფსონი არის მაქსიმალური მოცულობის ფსონი, რომელიც შეიცავს ყველა შესაძლო შიდა ფსონებს ინდივიდუალური ციფრისთვის.

როდესაც თქვენ დააჭერთ ნებისმიერ ციფრზე Full Complete-ის სივრცეში, არჩეული ნომინალის ჩიპი გამოჩნდება რულეტის სქემის შესაბამისი ბეთინგის პოზიციებზე შემდეგნაირად:
1 ჩიპი სთრეით აფზე, 2 ჩიპი თითოეულ სპლიტზე, 3 ჩიპი სტრიტზე, 4 ჩიპი თითოეულ კორნერზე და 6 ჩიპი თითოეულ 6 ხაზზე.

სქემაზე თითოეულ ციფრს აქვს ჩიპების განსაზღვრული რაოდენობა, რაც მითითებულია ქვემოთ:

Full Complete ფსონი 0-ზე არის 17-ჩიპიანი ფსონი;
Full Complete ფსონი 1 არის 27-ჩიპიანი ფსონი;
Full Complete ფსონი 2 არის 36-ჩიპიანი ფსონი;
Full Complete ფსონი 3 არის 27-ჩიპიანი ფსონი;
Full Complete ფსონი ნებისმიერ შემდეგ ციფრზე 4, 7, 10, 13, 16, 19, 22, 25, 28 და 31 არის 30-ჩიპიანი ფსონი;
Full Complete ფსონი ნებისმიერ შემდეგ ციფრზე 5, 8, 11, 14, 17, 20, 23, 26, 29 და 32 არის 40 -ჩიპიანი ფსონი;
Full Complete ფსონი ნებისმიერ შემდეგ ციფრზე 6, 9, 12, 15, 18, 21, 24, 27, 30 და 33 არის 30-ჩიპიანი ფსონი;
Full Complete ფსონი 34 არის 18-ჩიპიანი ფსონი;
Full Complete ფსონი 35 არის 24-ჩიპიანი ფსონი;
Full Complete ფსონი 36 არის 18-ჩიპიანი ფსონი.

იმისთვის, რომ დაუბრუნდეთ სქემის დეფოლტად მოცემულ გამოსახულებას, დააჭირეთ სპეციალური ფსონების ღილაკს კიდევ ერთხელ.

ფავორიტი ფსონები

თქვენ შეგიძლიათ შეინახოთ 5-მდე ფავორიტი ფსონი და ხელახლა გამოიყენოთ ისინი როდესაც ამას ისურვებთ თამაშის მომავალ რაუნდებში და რულეტის განსხვავებულ მაგიდებზეც კი ან სხვა მოწყობილობებზე. იმისთვის, რომ შეინახოთ ფსონი როგორც ფავორიტი ფსონი, მიყევით შემდეგ ინსტრუქციას:

განათავსეთ თქვენთვის სასურველი ფსონები სქემაზე.
Favourites ღილაკზე დაჭერით გახსენით ფანჯარა Favourites.

დააკლიკეთ აიქონზე “Add current bet” (დაამატეთ მიმდინარე ფსონი).

როდესაც შეინახავთ თქვენს ფსონს თქვენი ფავორიტების სიაში, თქვენ შესძლებთ მის გამოყენებას ბეთინგის დროის მონაკვეთში. არჩეულ ფავორიტ ფსონზე დაწკაპუნებისას თქვენი ჩიპები გამოჩნდება სქემაზე.

თქვენ შეგიძლიათ განათავსოთ რამოდენიმე შენახული ფსონი იმავე თამაშის რაუნდში და განათავსოთ ნებისმიერი დამატებითი ჩიპები იმ ჩიპების გარდა, რომლებიც შეადგენენ ფავორიტი ფსონის ნაწილს.
თქვენ შეგიძლიათ წაშალოთ ნებისმიერი ფავორიტი ფსონი ნებისმერ დროს, ან შექმნათ ახალი ფავორიტი ფსონები.

შენახული ფავორიტი ფსონის სახელწოდების რედაქტირება შესაძლებელია დესკტოპის ვერსიაში.

იმისთვის, რომ დაუბრუნდეთ სქემის დეფოლტად მოცემულ გამოსახულებას, დააჭირეთ ფავორიტი ფსონების ღილაკს კიდევ ერთხელ.

ბოლო მომგებიანი ციფრები

ბოლო მომგებიანი ციფრები ყოველთვის გამოსახულია ეკრანზის ქვედა ნაწილში. ბოლო მომგებიანი ციფრი გარკვევით ჩანს მარცხენა მხარეს.

დესკტოპზე თქვენ შეგიძლიათ დააწკაპუნოთ ნებისმიერ ციფრზე ბეთინგის დროის მონაკვეთში. ამის შედეგად „სთრეით აფ“ ფსონი განთავსდება არჩეულ ციფრზე.

თამაშის სტატისტიკა

სტატისტიკის ფანჯარაში მოცემული ინფორმაცია დაგეხმარებათ გადაწყვეტილების მიღებაში, თუ რომელი ციფრები აირჩიოთ რულეტის თამაშის დროს. თქვემ შეგიძლიათ ხელით აირჩიოთ სპინის რაოდენობა, რომლებზედაც თქვენ გსურთ სტატისტიკის შემოწმება სლაიდერის გამოყენებით. თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ მინიმუმ 50-დან მაქსიმუმ 500 სპინამდე.

სტატისტიკის ფანჯარის გახსნა შესაძლებელია სტატისტიკის აიქონზე დაწკაპუნებით.

ფანჯარაში ასახულია მთლიანი თამაშის სტატისტიკა, რომელიც დაყოფილია 3 ჯგუფად:

Hot & Cold (ცხელი და ცივი) სექციაში თქვენ შეგიძლიათ მოიძიოთ ინფორმაცია ყველაზე ხშირად და ყველაზე იშვიათად გამოყენებული ციფრების შესახებ თქვენს მიერ შერჩეული სპინების რაოდენობისთვის.
ცხელი ციფრები არის ის ციფრები, რომლებზეც ყველაზე ხშირად ფიქსირდება მოგება. ცივი ციფრები არის ის ციფრები, რომლებზეც ყველაზე იშვიათად ფიქსირდება მოგება.

სექტორის თავზე კურსორის მიტანისას თოთოეული ციფრისთვის წრიულ დიაგრამაში გამოჩნდება ამომხტარი ფანჯარა მინიშნებებით, რომელიც ასახავს თუ რამდენჯერ გამოჩნდა ის ციფრი თამაშის რაუნდების არჩეული რაოდენობის განმავლობაში. რაც უფრო დიდია სექტორი, მით უფრო ბევრჯერ აქვს იმ ციფრს მოგებული.

დიაგრამების ტაბში თქვენ ნახავთ სვეტების, თორმეტეულების, წითლის, შავის, კენტის, ლუწის, დაბალი და მაღალი ციფრების პროცენტულობას.

Last Called Numbers ტაბში თქვენ მონახავთ ბოლო მომგებიან ციფრებს სპინების შერჩეული რაოდენობისთვის. როდესაც თქვენ მიიტანთ კურსორს ციფრთან, ის გამოიკვეთება და აჩვენებს თუ რამდენჯერ იყოს ამოსული.

ბეთინგის დროის მონაკვეთში თქვენ შეგიძლიათ დადოთ ფსონი ნებისმიერ ნომინალზე ან ციფრზე დაწკაპუნებით სტატისტიკის სექციაში. ფსონები განთავსდება თქვენს მიერ შერჩეული ჩიპის ნომინალის მიხედვით. მიიტანეთ კურსორი, რომ ნახოთ სქემაზე გამოკვეთილი შესაბამისი ბეთინგის ველის პრევიუ და დააწკაპუნებთ, რომ განათავსოთ ჩიპი არჩეულ ნომინალზე.

იმისთვის, რომ დაუბრუნდეთ სქემის დეფოლტად მოცემულ გამოსახულებას, დააჭირეთ სტატისტიკის ღილაკს კიდევ ერთხელ.

ფსონების განთავსება
ფსონების განთავსების დროს, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება ეკრანის ელემენტებს რომ დარწმუნდეთ, რომ თქვენი ფსონები დაიდო დროულად და წარმატებით დადასტურდა.

Table Name (მაგიდის სახელწოდება) მიუთითებს მაგიდას, რომელთანაც თქვენ ამჟამად თამაშობთ, ხოლო Table Limits (მაგიდის ლიმიტები) აჩვენებს მაგიდასთან ნებადართულ მინიმალურ და მაქსიმალურ ფსონებს. ამ ადგილას დაწკაპუნებისას გაიხსნება ფსონის ლიმიტის და მოგების ფანჯარა, რომელიც აჩვენებს მინიმალურ და მაქსიმალურ ლიმიტს თითოეულ ფსონის ტიპზე და ასევე მოგების კოეფიციენტს.

თამაშის ინფორმაციის ინდიკატორი შეგატყობინებთ თამაშის სტატუსს, ფსონების დასადებად დარჩენილ დროს, თქვენი ფსონების სტატუსს, მოგებულ ციფრს და ა.შ.

„გთხოვთ განათავსოთ ფსონები“ გატყობინებთ, თუ როდის შესძლებთ თქვენი ფსონების განთავსების დაწყებას. ინდიკატორი პანელი ასახავს დარჩენილ დროს მწვანე ფერში, რომელიც მცირდება მარცხენა მიმართულებით. „უკანასკნელი ფსონები“ ჩანს მაშინ, როდესაც ფსონის გასანთავსებლად მხოლოდ 5 წამია დარჩენილი. ეს ინდიკატორი ნარინჯისფერია.

„ფსონები აღარ მიიღება“ გულისხმობს იმას, რომ ფსონების გასანთავსებლად აღარ არის დარჩენილი დრო და ყველა ბეთინგის სივრცე ხდება უმოქმედო.

ბეთინგის დროის ამოწურვის შემდეგ თქვენ მიიღებთ შეტყობინებას „ფსონები მიღებულია“, რაც მეტყველებს იმაზე, რომ თქვენი ფსონები იქნა მიღებული და მიიღებენ მონაწილეობას თამაშის რაუნდში. სხვა შემთხვევაში, თქვენ მიიღებთ შეტყობინებას „ყველა ფსონი ვერ იქნება მიღებული“ ან „ფსონები უარყოფილია“, რაც აღწერილია სექციაში „თამაშთან დაკავშირებული პრობლემები“.

შეტყობინება „დაელოდეთ შემდეგ თამაშს“ ნაჩვენებია მაშინ, თუ თქვენ არ განათავსეთ ფსონი თამაშის მიმდინარე რაუნდში. მისი დასრულებისთანავე, თქვენ შეგიძლიათ განათავსოთ ფსონები მომდევნო ბეთინგის დროის ინტერვალში.

შეტყობინება „არასაკმარისი ბალანსი“ სტატუსის სტრიქონზე ნიშნავს იმას, რომ თქვენს ბალანსზე არასაკმარისი თანხაა მინიმალური დაშვებული ფსონის განსათავსებლად მაგიდაზე. თქვენ უნდა შეიტანოთ დამატებითი თანხა ბალანსზე, რომ შესძლოთ მონაწილეობის მიღება თამაშში.

შეტყობინება „თამაში შეჩერებულია“ გამოჩნდება, თუ თამაში დროებით შეჩერებულია ბორბლის გაწმენდის, დილერის მიერ შეცდომის დაშვების, აღჭურვილობის გაუმართაობის ან სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო.

შეტყობინება „თამაში გაუქმებულია“ გამოჩნდება სტატუსის სტრიქონზე, თუ თამაშის რაუნდი გაუქმდა გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო და დაუყოვნებლივ რეაგირება ამაზე შეუძლებელია. „გაუქმებული თამაშის“ შესახებ უფრო მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ სექციას „თამაშთან დაკავშირებული პრობლემები“.

ჩიპის გამოსახულება გაძლევთ საშუალებას აირჩიოთ ჩიპების ნომინალი, რომლითაც გსურთ ფსონის დადება. ყველა ხელმისაწვდომი ჩიპის ნომინალის სანახავად დააწკაპუნეთ ჩიპზე ეკრანის ქვედა ნაწილში ფსონის ხელახლა დადების, გაორმაგების და გაუქმების ღილაკების ქვემოთ. ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ იმ ჩიპის ნომინალები, რომლების გამოყენებაც შესაძლებელი იქნება თქვენი მიმდინარე ბალანსის მიხედვით.

ფსონის ხელახლა განთავსება გაძლევთ საშუალებას გაიმეოროთ იმავე ფსონების განთავსება, რომლებიც თქვენ დადეთ თამაშის წინამორბედ რაუნდში მოქმედ მაგიდაზე. ფსონის ხელახლა განთავსების ღილაკზე დაჭერისას გაორმაგების და გაუქმების ღილაკები ხელმისაწვდომი გახდება.

გაორმაგების ღილაკზე დაჭერისას ორმაგდება ჩიპების ის რაოდენობა, რომელიც თქვენ განათავსეთ ფსონის ხელმისაწვდომ ადგილას. ღილაკის ყოველ დაჭერაზე თქვენი ფსონი გაორმაგდება.

გაუქმების ღილაკზე დაჭერისას თქვენი უკანასკნელი განთავსებული ფსონი გაუქმდება. ეს ღილაკი მოქმედია მხოლოდ ბეტინგის დროის მონაკვეთში. როდესაც ფსონების მიღება შეწყდება, თქვენ ვეღარ შესძლებთ თქვენი ფსონების შეცვლას ან გაუქმებას. განმეორებით გაუქმების ღილაკზე დაჭერისას ფსონები გაუქმდება ერთი მეორეს მიყოლებით. გაუქმება დაიწყება ბოლო ფსონის (ფსონების) გაუქმებით.

ბალანსის ინდიკატორი გიჩვენებთ ყველა ხელმისაწვდომ თანხას და ვალუტას. ის მუდამ გამოსახულია თამაშის ფანჯრის ქვედა ნაწილში დესკტოპის ვერსიაში და მობილურზე.

სანამ თამაშს დაიწყებთ, გთხოვთ დარწმუნდით, რომ თქვენს ბალანსზე საკმარისი თანხაა ფსონების გასანთავსებლად.

თუ თქვენი ბალანსი არ განახლდა ფსონების განთავსების ან მოგების შეტყობინების ნახის მერე, გთხოვთ განაახლოთ თქვენი თამაშის ფანჯარა ან დააჭირეთ F5 key-ს თქვენს კლავიატურაზე.
სალაროს ღილაკი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც მდებარეობს თქვენი ბალანსის გვერდით დესკტოპზე, გახსნის სალაროს ფანჯარას თანხის შეტანის და გამოტანის ფუნქციით. მობილურზე სალაროს ღილაკი მდებარეობს თამაშის მენიუში.

ჯამური ფსონის ინდიკატორი აჩვენებს მიმდინარე ჯამურ ფსონს, განთავსებულს თამაშის მიმდინარე რაუნდში. ის მუდამ გამოსახულია თამაშის ფანჯრის ქვედა ნაწილში.

თამაშის საიდენტიფიკაციო ნომერი აჩვენებს ნებისმიერი თამაშის უნიკალურ იდენტიფიკატორს - მიმდინარე თამაშის საიდენტიფიკაციო ნომერს. ის გამოსახულია მაგიდის სახელწოდების გვერდით. დროის ინდიკატორი აჩვენებს თქვენს ადგილობრივ დროს.

თუ გაქვთ რაიმე შეკითხვა და გსურთ მომხმარებელთა მხარდაჭერის გუნდთან დაკავშირება, ყოველთვის უნდა ამოიწეროთ (ან გადაიღოთ სკრინი) თამაშის საიდენტიფიკაციო ნომერი.

ავტოთამაში

ავტოთამაშის რეჟიმი გაძლევთ საშუალებას ავტომატურად გაიმეოროთ თქვენი ფსონები თამაშის რაუნდების არჩეულ რაოდენობაზე. ავტოთამაშის რეჟიმის აქტივაციისთვის დადეთ ფსონები და დააჭირეთ ავტოთამაშის ღილაკს.

ეს გახსნის ავტოთამაშის ფანჯარას, სადაც თქვენ ნახავთ ყველა ხელმისაწვდომ პარამეტრებს ავტოთამაშის რეჟიმის გასაშვებად.

როდესაც ავტოთამაშის ფანჯარა გახსნილია, ავტოთამაში შეიძლება დაიწყოს თამაშის რაუნდის დროს მისი დაწყებისას ან ნებისმიერ მომდევნო რაუნდში. დაწყების ღილაკის დაჭერის შემდეგ გაიშვება ავტოთამაშის რეჟიმი. ავტოთამაშის რაუნდების დარჩენილი რაოდენობა იქნება მითითებული ავტოთამაშის შეცვლის ღილაკზე.

როგორც კი ავტოთამაში დაიწყება, თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი ფსონები დამატებითი ჩიპების განთავსებით რულეტის სქემაზე ბეთინგის დროის მონაკვეთში.

ავტოთამაშის რეჟიმის შესაჩერებლად გახსენით ავტოთამაშის ფანჯარა და დააჭირეთ შეჩერების ღილაკს.

ავტოთამაშის რეჟიმი შეჩერდება ავტომატურად შემდეგ შემთხვევებში:

ავტორეჟიმის რაუნდების არჩეულმა რაოდენობამ მიაღწია 0-ს. ეკრანზე გამოსული შეტყობინება გამცნობთ თქვენ ამის შესახებ.
თქვენს ბალანსზე არ არის საკმარისი თანხა ავტოთამაშის გასაგრძელებლად.
აქტივირდება ავტოთამაშის შეჩერების ერტი ან მეტი ტრიგერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ბალანსზე არსებული თანხა მცირდება, ბალანსზე არსებული თანხა იზრდება ან ერთჯერადი მოგება აღემატებს არჩეულ ნომინალს.

თამაშის შედეგი

თამაშში მოგებული ციფრი იქნება გამოსახული განათებული წრით მის გარშემო. ეს დაგეხმარებათ შეამოწმოთ, იყო თუ არა ის დაფარული თქვენი ჩიპებით.

მოგებული ციფრის გრაფიკული გამოსახულება ასევე იქნება გამოსახული ვიდეოს ზედა ნაწილში. თუ თქვენ ხართ იღბლიანი გამარჯვებული, თქვენი მოგების ოდენობა იქნება გამოსახული მის ქვემოთ.

გამარჯვებულთა სია და მოგებული ნომერი გამოჩნდება ერთსა და იმავე დროს და გამოავლენს მოთამაშეების სახელებს, რომლებმაც მოიგეს მიმდინარე მაგიდასთან თამაშის ბოლო რაუნდში. მოგების ოდენობა ნაჩვენებია იმ ვალუტაში, რომელიც თქვენ არჩეული გაქვთ თქვენს ექაუნთში.

ნავიგაციის კონტროლი

ლობის ღილაკზე დაჭერა შესაძლებელია ნებისმიერ დროს ნებისმიერი თამაშიდან. ეს საშუალებას გაძლევთ შეცვალოთ მაგიდა ადვილად, აირჩიოთ ნებისმიერი სხვა ლაივ თამაში ან უბრალოდ დატოვოთ მაგიდა. თქვენ ვერ დატოვებთ მიმდინარე მაგიდას სანამ არ აირჩევთ ახალ მაგიდას, რომელთანაც გსურთ თამაში. აქედან გამომდინარე, ლობის გამოყენება შეიძლება სხვა თამაშების გასახსნელად სანამ თქვენ იმყოფებით მიმდინარე მაგიდასთან. ლობის გვერდზე გადასვლისას, დააჭირეთ თამაშთან დაბრუნების ღილაკს იმისთვის, რომ გამოხვიდეთ ლობიდან და დაუბრუნდეთ თქვენს გახსნილ მაგიდას.

ჩატის ღილაკზე დაჭერისთანავე გაიხსნება ჩატის ფანჯარა დილერისთვის ან სხვა მოთამაშეებისთვის შეტყობინებების გასაგზავნად. ჩვენს დილერებს ექნებათ თქვენთან პირდაპირი კომუნიკაცია და პასუხს გასცემენ თამაშთან დაკავშირებულ ნებისმიერ შეკითხვაზე.

თუ თქვენ გსურთ ჩვენს ლაივ მხარდაჭერის გუნდთან გასაუბრება, გთხოვთ აირჩიოთ შესაბამისი ჩატის ოთახი მხარდაჭერის ღილაკზე დაჭერისას და თქვენ გაგიწევენ დახმარებას პირად ჩატში.

თუ თქვენი ჩატის ოთახი ძალიან გადაიტვირთება, თქვენ შეგიძლიათ დამალოთ სხვა მოთამაშეების შეტყობინებები ამ ფუნქციის არჩევით პარამეტრების ფანჯარაში.
ჩატის შეტყობინებების მონიტორინგი მუდამ ხორციელდება სპეციალური სტუდიის პერსონალის მიერ. ნებისმიერი ჩატის შეტყობინებები წაიშლება და თქვენი ჩატის ფუნქცია დაიბლოკება თუ თქვენ იყენებთ შეუსაბამო ან უხამს სიტყვებს დილერებთან ან/და სხვა მოთამაშეებთან მაგიდასთან ან ტვირთავთ ჩატს არაფრის მომცემი შეტყობინებებით.

ხმის კონტროლის ღილაკის მეშვეობით გაიხსნება სლაიდერი, რომელიც მოგცემთ საშუალებას შეცვალოთ ხმის სიმაღლე თქვენს მაგიდასთან. ხმის კონტროლის ღილაკის გამოყენება გაუთიშავს ხმას თამაშს - და გარდაიქმნება „უხმო“ აიქონად.

თამაში დეფოლტად გაიხსნება უხმო აუდიოთი. გთხოვთ დააჭიროთ დადუმების ღილაკს, რომ უხმო რეჟიმი გააქუმოთ. შემდეგ აიქონი გარდაიქმნება ხმის კონტროლის ღილაკად.

ისტორიის ღილაკზე დაჭერისას გაიხსნება ფანჯარა, რომელიც ასახავს თქვენი ქმედებების დეტალებს ჩვენს ლაივ კაზინოში. ის დეფოლტად გაიხსნება თქვენი დღევანდელი დღის ისტორიაში. პანელის „უფრო ძველი“ არჩევისას, თქვენ ასევე შეგიძლიათ იხილოთ თქვენი წინამორბედი დღეების ისტორია.

აირჩიეთ სიიდან თამაშის რაუნდი მისი დეტალების სანახავად, თქვენი ყველა ფსონის ჩათვლით.

თქვენი ლაივ რულეტის თამაშის რაუნდის ისტორიის დეტალები წარმოდგენილია ისტორიის ფანჯარაში და დაყოფილია 2 ნაწილად: ინფორმაცია თამაშის რაუნდის შესახებ და ინფორმაცია ფსონების შესახებ.

დახმარების ღილაკზე დაჭერისას გაიხსება დახმარების ფანჯარა, რომელშიც თქვენ ამჟამად იმყოფებით.

პარამეტრების ღილაკზე დაჭერისას გაიხსნება პარამეტრების ფანჯარა, რომელიც საშუალებას მოგცემთ აირჩიოთ თქვენთვის სასურველი პარამეტრი:

ვიდეო სტრიმის ჩართვა/გამორთვა
ვიდეო ხარისხის მართვა
თამაშის ხმის მართვა
ინტერფეისის ენის შეცვლა

კლასიკური გამოსახულების ღილაკის გამოყენებით თქვენ ჩაანაცვლებთ თამაშის გამოსახულებას კლასიკური გამოსახულებით და ვიდეო იქნება ნაჩვენები პატარა ჩარჩოში. რულეტის სქემა სტატიკურია, არ ეცვლება ზომა და გამოსახულება ბეთინგის დროს და მის შემდგომ.

თამაშის ინტერფეისი შეიძლება ასევე შეიცვალოს ავტომატურად და გადავიდეს კლასიკური გამოსახულების რეჟიმზე თუ თქვენი ინტერნეტ-კავშირი დაბალია ან არასტაბილური. თუ ეს ასე მოხდება, ვიდეო ავტომატურად დაყენდება ვიდეოს დაბალ რეზოლუციაზე.
სრული ეკრანის ღილაკის გამოყენებისას გაიშვება სრული ეკრანის რეჟიმი და თამაში ან/და ლობი შეავსებს მთლიან ეკრანს. თუ გსურთ ამ რეჟიმიდან გამოსვლა, კიდევ ერთხელ დააჭირეთ ღილაკს ან დააჭირეთ "Esc"-ს თქვენს კლავიატურაზე.

რულეტის მოქმედი სპინის წესი

მოგებული ციფრი მოქედია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სპინი იყო მიჩნეული, როგორც მოქმედი. მოქმედი სპინი განისაზღვრება შემდეგნაირად:

რულეტის ბურთი უნდა ტრიალებდეს ბორბლის ბრუნვის მიმართულების საპირისპიროდ და უნდა შეასრულოს მინიმუმ სამი სრული ბრუნვა, რომლის ათვლაც იწყება იმ წერტილიდან, რომელზეც დაეშვა ბურთი ბორბლის მანძილის გარშემო მის დაცემამდე, რომ სპინი ჩაითვალოს როგორც მოქმედი.
თუ სპინი მიიჩნევა როგორც უმოქმედო, ამ შემთხვევას ეწოდება “No Spin”.

ქვემოთ მოცემულია შემთხვევები, როდესაც ცხადდება “No Spin”:
ბურთმა გააკეთა 3 სრულ ბრუნვაზე ნაკლები;
ბურთი ბრუნავდა იმავე მიმართულებით, როგორც ბორბალი;
ბორბალმა შეწყვიტა როტაცია ბრუნვის დროს;
ბურთის გაჭედვა ვერტიკალურ სეპარატორებში, ბურთის გაჩერების ადგილას ან ნომრების ხაზზე;
ბურთი ამოხტა ბორბლიდან („ball-out”);
ბურთი ჩავარდა ბორბლის დატრიალებამდე;
ნებისმიერი უცხო საგანი მოხვდა ბორბალზე ბრუნვის დროს.

“No Spin”-ის შემთხვევაში, ბურთი ხელახლა დატრიალდება ჩვენი სტანტარტული ოპერაციული პროცედურების თანახმად.

თქვენი ფსონები დარჩება თამაშში მანამდე, სანამ არ გაკეთდება მოქმედი სპინი.

თამაშთან დაკავშირებული პრობლემები

თქვენ პირადად ხართ პასუხისმგებელი თქვენი ფსონების სწორად განთავსებაზე რულეტის ნებისმიერ მაგიდაზე.

ნებისმიერი ტექნიკური ხარვეზის ან ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომის შემთხვევაში, ცვლის მენეჯერი იქნება დაუყოვნებლივ ინფორმირებული ამის შესახებ.

თამაშის მსვლელობის დროს ნებისმიერი დაშვებული შეცდომის შემთხვევაში, თამაშის რაუნდი დროებით შეჩერდება და ცვლის მენეჯერი იქნება ინფორმირებული ამის შესახებ. თქვენ მოგივათ შეტყობინება ეკრანზე, რომ პრობლემა განხილვის პროცესშია.

თუ ცვლის მენეჯერს დაუყოვნებლივ შეუძლია შეცდომის აღმოფხვრა, თამაშის რაუნდი გაგრძელდება ჩვეულებრივად. თუ გადაუდებელი ზომების მიღება შეუძლებელია, თამაშის რაუნდი გაუქმდება და საწყისი ფსონები დაუბრუნდება ყველა მოთამაშეს, რომლებიც მონაწილეობდნენ თამაშის რაუნდში.

ფსონი შეიძლება იყოს უარყოფილი სისტემის მიერ ბეთინგის დროის ამოწურვის მერე თუ მისი განთავსება არ მოხდა დროულად, თუ არ აკმაყოფილებდა მინიმალურ ან მაქსიმალურ მოთხოვნებს ან ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა პრობლემის გამო.

თუ თქვენ დადებთ ფსონს, რომელიც მაგიდის მინინმალური ფსონის ლიმიტზე დაბალია, ეს აისახება როგორც უმოქმედო ჩიპი. თქვენ იქნებით ინფორმირებული ამის შესახებ პატარა ამომხტარი დამხმარე ფანჯრის მეშვეობით თქვენი ფსონის ზემოთ.

ბეთინგის დროის ამოწურვისას ყველა უმოქმედო ჩიპი იქნება უარყოფილი.
თუ თქვენი ფსონი აჭარბებს ნებისმიერი მაქსიმალური ფსონის ლიმიტს, ის ავტომატურად დაკორექტირდება და თქვენ იქნებით ინფორმირებული ამის შესახებ პატარა ამომხტარი დამხმარე ფანჯრის მეშვეობით თქვენი ფსონის ზემოთ.

თუ თქვენ მიიჩნევთ, რომ თამაში დასრულდა არასწორი შედეგით, ან სხვა ნებისმიერი დარღვევების შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ კაზინოს მომხმარებელთა მხარდაჭერის გუნდს და წარუდგინეთ თამაშის საიდენტიფიკაციო ნომერი.

გათიშვის პოლიტიკა

Pragmatic Play ლაივ კაზინოს სერვისის მიწოდება ხორციელდება ინტერნეტის მეშვეობით, რომელიც პერიოდულად შეიძლება გაგეთიშოთ. ეს უქმნის პოტენტიურ პრობლემას თამაშის მსვლელობას და თქვენს სამომხმარებლო გამოცდილებას.

გაუთვალისწინებელი გათიშვების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, ეკრანზე გამოისახება შეტყობინება თავიდან დაკავშირების შესახებ, როდესაც თქვენ დაკარგავთ კავშირს თამაშის სერვერთან.

გათიშვის შემთხვევაში მოქმედებს შეცდომის აღმოფხვრის შემდეგი წესები:

თუ გათიშვა მოხდება „ფსონები აღარ მიიღება“ შეტყობინების ეკრანზე გამოჩენამდე და თქვენი ფსონები სერვერს ჯერ არ მიუღია, თქვენი ფსონები არ ჩამოიჭრება ბალანსიდან და თქვენ არ მიიღებთ მონაწილეობას თამაშის რაუნდში. გათიშვის შემთხვევაში, გთხოვთ შეამოწმოთ თქვენი ბალანსი და დაუყოვნებლივ შეატყობინოთ კაზინოს ოპერატორს ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში.
თუ გათიშვა მოხდება „ფსონები აღარ მიიღება“ შეტყობინების ეკრანზე გამოჩენის შემდეგ და სერვერმა მიიღო თქვენი ფსონები, თამაში ჩვეულებრივად გაგრძელდება და ნებისმიერი მოგება დამუშავდება თამაშის შედეგის შესაბამისად, გათიშვის მიუხედავად.

გათიშვის შემდეგ, გთხოვთ შეამოწმოთ თქვენი მოგება ისტორიის ფანჯარაში და თუ გაქვთ რაიმე ეჭვი თამაშის შედეგთან დაკავშირებით, გთხოვთ მიმართოთ ლაივ მხარდაჭერას თამაშის დროს ან კაზინოს მომხმარებელთა მხარდაჭერის გუნდს, მიაწოდეთ ყველა დეტალი განხილვადი თამაშის შესახებ, თამაშის საიდენტიფიკაციო ნომრის ჩათვლით.
თუ სტუდიის მაგიდასთან წვდომა შეჩერდა 5 წუთზე მეტხანს, თამაში გაუქმდება.
თუ ჩვენ დავადგენთ, რომ თქვენ მოიგებდით თამაშის რაუნდს, თქვენ დაგერიცხებათ მოგება თქვენს ანგარიშზე კაზინოს მომხმარებელთა მხარდაჭერის გუნდის მეშვეობით.
სწრაფი რულეტი
ითამაშეთ მსოფლიოს ყველაზე განთქმული კაზინოს თამაში სუპერ-დაჩქარებულ ტემპში. სწრაფი რულეტი გთავაზობთ რულეტის თამაშის საუკეთესო გამოცდილებას დესკტოპზე ან მობილურზე. 60% უფრო სწრაფი, ვიდრე სტანდარტული ლაივ რულეტის თამაში, თქვენ მაშინაც კი შეგიძლიათ ფსონების დადება, როდესაც ბურთი უკვე ტრიალებს ბორბალზე. მეტი მოქმედება, უფრო სწრაფი მოგება, დიდი სიამოვნება - ეს ყველაფერი აქ არის თქვენთვის.

ჯეოგრატორი (EVOLUTION)

Dream Catcher
ოცნების დამჭერი (Dream Catcher) არის თამაში, რომლის თამაშის დროს გამოიყენება დიდი ვერტიკალური ბორბალი და რომელსაც ატრიალებს ოპერატორი (დილერი). ბორბალი იყოფა 54 თანაბარ სეგმენტად, რომელიც ერთმანეთისგან გამოყოფილია სპეციალური გამყოფი ქინძისთავებით. 52 სეგმენტი აღნიშნულია რიცხვებით (1, 2, 5, 10, 20 ან 40) და თითოეულ რიცხვს აქვს თავისი უნიკალური ფერი. თუ დატრიალების შემდეგ ბორბალი ჩერდება თქვენს მიერ არჩეულ ნომერზე, (რომელზეც მიუთითებს, ბორბლზე დამონტაჟებული ისარი) თქვენ იგებთ. სხვა ორი სეგმენტი – 2x მულტიპლიკატორი და 7x მულტიფლიკატორი - ითვლება როგორც ბონუს დატრიალება და ამრავლებს თქვენს მომდევნი მოგებას შესაბამის მულტიპლიკატორზე.
თამაშის წესები და გადახდები
ყველა ფსონის გადახდა ხდება განთავსებული ფსონის და მოსული სეგმენტის მიხედვით: მაგ. გამარჯვებული რიცხვი 5 გადახდა იქნება 5-1-თან, გამარჯვებული რიცხვი 10 გადახდა იქნება 10-1-თან. და ა.შ.
თუ ბორბალი ჩერდება მულტიპლიკატორზე (2x ან 7x), მაშინ ყველა ფსონი რჩება ადგილზე და ახალი ფსონების მიღება არ ხდება. თავიდან ხდება დატრიალება და ტრიალის შედეგი (1, 2, 5, 10, 20 ან 40) განსაზღვრავს გამარჯვებულ შანსებს როგორც წესი, მაგრამ შანსები მრავლდება ორზე ან შვიდზე, იმის გათვალისწინებით, რომელ მულტიპლიკატორზე შეჩერდა ისარი წინა ტრიალის დროს.
თუ ბორბალი შეჩერდა მულტიპლიკატორზე ზედიზედ ორჯერ ან მეტჯერ , მაშინ ყველა ფსონი რჩება ადგილზე და გამრავლების სეგმენტი გროვდება: ე.ი. გამრმავლებული გადახდა წინა ტრიალიდან ისევ მრავლდება! დილერი აგრძელებს ბორბლის ტრიალს ვიდრე ის არ შეჩერდება 1, 2, 5, 10, 20 ან 40-ე. (მაგალითად, ბორბალი შეჩერდა 2x, შემდეგ მომდევნო ტრიალის დროს 7x და შემდეგი ტრიალის დროს - რიცხვზე 5. მოთამაშის შედეგი, რომელმაც თავდაპირველად ფსონი 5 დადო, არის: (5-1-თან) x 2 x 7 = (10-1-თან) x 7 = 70-1-თან). მიყოლებული მულტიპლიკატორები არ ექვემდებარება დაწესებულ მაქსიმუალურ შეზღდვას, რომელიც გამოსახულია ლიმიტების პანელზე.
გადახდა:

რიცხვები ბორბალზე	სეგმენტის რაოდენობა	გადახდა
1	23	1:1
2	15	2:1
5	7	5:1
10	4	10:1
20	2	20:1
40	1	40:1
2X	1	ამრავლებს მომდევნო მოგების თანხას 2 ჯერ
7X	1	ამრავლებს მომდევნო მოგების თანხას 7 ჯერ

თამაშზე მინიმალური დასადები თანხა შეადგენს 0,30 ლარს, ხოლო მაქსიმალური თანხა 3000,00 ლარს.

Crazy Time
თამაშის მიზანი
გიჟური დრო (Crazy Time) არის საინტერესო თამაში-შოუ და პოპულარული ფულის ბზრიალას აზარტული თამაში, რომელიც ითამაშება დიდი 54-სეგმენტიანი ვერტიკალური ბზრიალას გამოყენებით, რომელსაც თამაშის წარმდგენი ატრიალებს. გარდა ამისა, მამრავლი შემთხვევითი წესით მიენიჭება ბზრიალას ყოველ დატრიალებას. თამაშის მიზანია გამოიცნოთ, რომელ სეგმენტზე გაჩერდება ბზრიალა, როცა ის ტრიალს შეწყვეტს. Crazy Time ასევე მოიცავს საოცარ ბონუს თამაშებს, რომელმაც შეიძლება მოგანიჭოთ მამრავლები! უბრალოდ დადეთ თქვენი ფსონი Cash Hunt-ის, Pachinko-ის, Coin Flip-ისა და Crazy Time-ის ბონუს თამაშის ფსონის ნიშნებზე და უყურეთ, როგორ გაამრავლებს თქვენს მოგებებს ბონუს თამაშებში მოგებული მამრავლები! მოიგეთ CRAZY big!

თამაშის წესები
მთავარი თამაში
უბრალოდ განათავსეთ თქვენი ფსონი იმ სეგმენტზე, რომელზეც ფიქრობთ, რომ ბზრიალა გაჩერდება: გამოიყენეთ ნომრის სეგმენტის ფსონის ნიშნები 1, 2, 5, 10 ან ბონუს თამაშის ფსონის ნიშნები - Cash Hunt, Pachinko, Coin Flip და Crazy Time.

როცა ფსონის დადების დრო დასრულდება, თამაშის წარმდგენი დაატრიალებს ბზრიალას და ამის პარალელურად, დაიწყება ორ-დოლურიანი მინი თამაში, რომელიც გადაიცემა ტელევიზორის ეკრანზე მთავარი თამაშის ბზრიალას ზემოთ. ყოველი რაუნდი განსაზღვრავს ერთ შემთხვევით მამრავლს ერთი შემთხვევითი ფსონის ნიშნისთვის - ნომერი ან ბონუსი.
თუ ფსონის ნიშანი ან მამრავლი გათანაბრდება ჰორიზონტალურ ხაზზე შუაში, ეს არის დამთხვევა. კონკრეტული მამრავლი ენიჭება შესაბამის ფსონის ნიშანს და მოქმედებს მიმდინარე თამაშის რაუნდისთვის. თუ ფსონის ნიშანი მამრავლთან ჰორიზონტალურად არ გათანაბრდება, თამაში გაგრძელდება მამრავლის გარეშე.

თუ ძირითადი თამაშის ბზრიალა კვლავ შეჩერდება იმავე სეგმენტზე, ამ ფსონის ნიშნის ანაზღაურება შესაბამისად გამრავლდება:
. ნომრის ფსონის ნიშნებისთვის - კონკრეტული ნომრის ფსონის ნიშნის გადახდა გადამრავლდება ნამრავლზე
. ბონუს ფსონის ნიშნებისთვის - კონკრეტული ბონუს თამაშში მოგებული მამრავლი გამრავლდება მამრავლზე

როცა Crazy Time -ის ბზრიალა გაჩერდება, გამარჯვებულ სეგმენტზე მიუთითებს ტკაცუნა ბზრიალას ზედა ნაწილში. თუ ბზრიალა გაჩერდება ბონუს სეგმენტის ნომერზე, რომელზეც დადეთ ფსონი, თქვენ მოიგებთ. თქვენი მოგებები გამრავლდება, თუ მამრავლი მინიჭებულია ამ კონკრეტულ ფსონის ნიშანზე.

ყველა ფსონის გადახდა, ნომრის სეგმენტებისთვის, ხდება, როცა შანსები შეესაბამება გამარჯვებული სეგმენტების რიცხვს: მაგ გამარჯვებული რიცხვი 5 იხდის 5-დან 1-მდე, გამარჯვებული რიცხვი 10 იხდის 10-დან 1-მდე და ასე შემდეგ.გადახდის კოეფიციენტები ბონუს სეგმენტისთვის განისაზღვრება ბონუს გვერდითი თამაშების დროს. გამარჯვებულ სეგმენტზე დადებული ფსონი გიბრუნდებათ თქვენი მოგებებეის ზევით.

ყველა მოთამაშეს შეუძლია დააკვირდეს ბონუს თამაშებს, მაგრამ მონაწილეობის მიღება და მოგება შეუძლიათ მხოლოდ იმ მოთამაშეებს, რომლებსაც თავიანთი ფსონი შესაბამის ფსონის ნიშანზე დადეს.

ბონუს თამაშები
თუ ბზრიალა გაჩერდება ბონუს სეგმენტზე, ითამაშება ბონუს გვერდითი თამაში. ბონუს სეგმენტის მიხედვით, რომელზეც ბზრიალა გაჩერდა, მოთამაშეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ Cash Hunt, Pachinko, Coin Flip ან Crazy Time ბონუს თამაშებში.

Cash Hunt
Cash Hunt-ის ბონუს თამაშში, 108 შემთხვევითი მამრავლის კედელი წარმოიქმნება და გამოჩნდება ეკრანზე. თუ იყო მოგებული ნამრავლი, მაშინ 108-ვე მამრავლი გამრავლდება იმ მამრავლზე და შემდეგ დაიფარება შემთხვევითი სიმბოლოებით და აირევა. დაიწყება უკუათვლა, რომლის დროსაც თქვენ შეგიძლიათ მოამზადოთ და დაუმიზნოთ ქვემეხი იმ ადგილზე, სადაც ფიქრობთ, რომ არის ყველაზე მაღალი სიდიდის მამრავლი.

უკუათვლის დასრულების შემდეგ, ქვემეხი გაისვრის, ყველა დაფარული ადგილი გამოჩნდება და დაინახავთ

მამრავლს, რომელიც მოიგეთ.

თუ გადაწყვეტილების მიღების დროს არ იქნა მიღებული რაიმე გადაწყვეტილება ან მოხდა რაიმე შეფერხება, გადაწყვეტილება მიიღება ავტომატურად და ადგილი შეირჩევა შემთხვევითი წესით.

Pachinko

Pachinko-ს ბონუს თამაშს ახასიათებს ამაღელვებელი მამრავლის კედელი, რომელიცმოიცავს შაიბის შემთხვევითი სროლის ზონას ზედა ნაწილში და 16 შემთხვევით მამრავლს დაჯდომის ზონაში, ქვედა ნაწილში. შაიბა შემთხვევითი წესით ვარდება ზონებიდან 4-12. შაიბის სროლამდე, ყველა მამრავლი მრავლდება ტოპ ნამრავლზე. მიჰყევით შაიბის სროლას საკიდების მეშვეობით და დაჯდომით თქვენს იღბლიან მამრავლზე.

თუ შაიბა ორმაგზე დაჯდება, ყველა მამრავლი გაორმაგდება. სროლის ზონა რანდომიზებულია და შაიბის სროლა კვლავ ხდება, სანამ ის კვლავ არ დაჯდება ერთ-ერთ გაორმაგებულ მამრავლზე ან ორმაგზე ! იხილეთ თქვენი მოგებები, გააორმაგეთ და ისიამოვნეთ!

თუ შაიბა რამდენჯერმე დაჯდება ორმაგზე და ყველა მამრავლი მიაღწევს 10 000x სიდიდეს, ორმაგი შეიცვლება 10 000x მამრავლით.

იშვიათ შემთხვევაში, სიურპრიზის სახით, შეიძლება მოხდეს მაშველის ჩამოვარდნა, თუ შაიბა მოვიდა 2x, 3x ან 4x მამრავლზე. ამ შემთხვევაში, ჩამოვარდნის ზონა შეიძლება გახდეს რანდომიზებული და შაიბა ხელახლა ჩამოვარდება. თუ მოხდება მაშველის ჩამოვარდნა, ყველა მამრავლი, რომელიც დაბალია იმ მამრავლზე, რომელზეც შაიბა თავდაპირველად მოხვდა, გაიზრდება იმ წინა მამრავლის სიდიდემდე.

Coin Flip

„ჰედზ ორ თეილზ“-დაე, მონეტამ გადაწყვიტოს! წითელ და ლურჯ გვერდებიან მონეტას აისვრიან ამ ამაღელვებელ, მონეტის ასროლის ბონუს თამაშში. ორი მამრავლი შემთხვევითი წესით მიენიჭება, თითო მონეტის თითოეული მხარისთვის და გამოჩნდება ტელევიზორის ეკრანზე.
თუ მამრავლი მიენიჭა მონეტის ასროლის სეგმენტს ტოპიდან, ახლა იგი გავრცელდება ამ მამრავლებზე და ეკრანზე განახლდება ახალი მამრავლის სიდიდეები.
როცა საბოლოო მამრავლის სიდიდეები გაიხსნება, მოხდება მონეტის ასროლა. რომელი მხარეც ზევით დარჩება, ის იქნება მომგებიანი მხარე და მოგებული მამრავლი გავრცელდება თქვენს მოგებებზე.

იშვიათ შემთხვევაში, სიურპრიზის სახით, შეიძლება მოხდეს მაშველი ასროლა, თუ მინიჭებული მამრავლები დაბალია. მონეტას შემდეგ ხელახლა აისვრიან.

Cash or Crash

 არის საინტერესო თამაში-შოუ და პოპულარული აზარტული თამაში ბურთის გაგორების თამაში,რომელსაც ახასიათებს 20-საფეხრიანი მოგებათა ცხრილი. ბურთის გაგორების მოწყობილობაში არის 19 მწვანე ბურთი,1 ოქროსფერი და 8 წითელი. როდესაც მწვანე ან ოქროსფერი ბურთი ამოვა,მოთამაშე ადის ერთი საფეხურით ზემოთ ცხრილში. ოქროსფერი ბურთი მოთამაშეს აძლევს ფარს,რომელიც მას წითელი ბურთისგან იცავს. თუ მოთამაშეს არ აქვს მოქმედი ფარი,თამაში მორჩება წითელი ბურთის ამოსვლისთანავე.

გადახდები:

დონე	გადახდა ფარის გატეხვამდე	გადახდა ფარის გატეხვის შემდეგ
20	18000x	50000x
19	6800x	11000x
18	2900x	4000x
17	1200x	1500x
16	550x	760x
15	310x	360x
14	160x	175x
13	95x	105x
12	54x	62x
11	33x	36x

10	21.5x	24x
9	15x	16x
8	10x	10.5x
7	7.1x	8x
6	5x	5.6x
5	3.6x	4x
4	2.7x	3.1x
3	2x	2.2x
2	1.6x	1.7x
1	1.2x	1.2x

Fan Tan

თამაშის მიზანია, წინასწარ განსაზვროს ბოლო ხაზში დარჩენილი მძივების რაოდენობა,მას შემდეგ,რაც მოხდება შერჩეული მძივების ამოღება და ოთხ-ოთხად დალაგება.
მძივის დახარისხება ხორციელდება სპეციალური ჯოხის გამოყენებით. ბოლო დარჩენილი მძივები (1-4 მძივი) მოთავსებულია ერთ ხაზში, მაგიდის ცენტრში და ეს რიცხი წარმოადგენს თამაშის შედეგს.
ფსონების ნაირსახეობა:
1,2,3,4- მოთამაშეს შეუძლია ფსონი დადოს თუ რამდენი მძივი დარჩება. გადახდა 2,85:1
დიდი/პატარა- 1 ან 2 არის პატარა, ხოლო 3 და 4 არის დიდი. გადახდა 0.95:1
კენტი/ლუწი- კენტი 1 ან 3, ლუწი 2 ან 4. გადახდა 0.95:1

Golden Wealth Baccarat

თამაშის მიზანია გამოიცნოს,მოთამაშის ხელი მოიგებს თუ ბანკირის.
ბაკარა თამაშდება რვა 52-იანი კარტიანი დასტით ანუ 416 კარტია სულ.
ტუზი არის ყველაზე დაბალი ღირებულების და განისაზღვრება 1 ქულით
2-დან 9-მდე კარტებს აქვთ მათი რიცხვის შესაბამისი ნომინალრი ღირებულება
10-ს და ნახა კარტებს ენიჭებათ 0 ქულა
კარტის დარიგებამდე,მოთამაშეს შეძლია დადოს ფსონი მოთამაშის ან ბანკირის მოგებაზე,რომელსაც ექნება 9-სთან მიახლოებლი კარტის მნიშვნელობა.
აგრეთვე,მოთამაშეს შეუძლია განათავსოს ფსონი ფრეზე,რომლის გადახდა არის 12:1-თან.
მოცემულ თამაშში არსებობს დამატებითი ტიპის ფსონები Pair,რომელიც იქნება წარმატებული თუ ბანკირის ან მოთამაშის პირველი ორი კარტი იქნება წყვილი.
ფსონების მიღების შემდეგ დაიწყება ოქწროს რაუნდი.ოქროს რაუნდის დროს ხუთ ოქროს ბანქოს ამოიღებენ ვირტუალური 52 ბანქოიან დასტიდან. ოქროს ბანქოები შემთხვევითი პრინციპით მიენიჭება ოქროს მამრავლებს 2x,3x,5x,8x. თუ ფსონი მოიგებს რომელიც შედგება ოქროს ბანქოებისგან მაშინ გადახდა გამრავლდება ოქროს მამრავლზე,რომელიც ბანქოს მიენიჭება.
მესამე ბანქოს. მოთამაშე მიიღებს მესამე ბანქოს, თუ მისი ხელის ღირებულება 6-ზე ნაკლებია. ანალოგიური წესი მოქმედებს ბანკირის შემთხვევაშიც. თუ ორივე ხელი საჭიროებს მესამე ბანქოს, შემდეგი წესები მოქმედებს:
თუ ბანკირის ხელის ღირებულება არის 2 ან ნაკლები, ბანკირი მიიღებს მესამე
ბანქოს, მიუხედავად იმისა, თუ რა ხელი აქვს მოთამაშეს.
თუ ბანკირის ხელის ღირებულება არის 3, ბანკირი მიიღებს მესამე ბანქოს, თუ
მოთამაშის ხელის ღირებულება არ არის 8-ის ტოლი.
თუ ბანკირის ხელის ღირებულება არის 4, ბანკირი მიიღებს მესამე ბანქოს, თუ
მოთამაშის მესამე ბანქო გახლდათ 2, 3, 4, 5, 6 ან 7.
თუ ბანკირის ხელის ღირებულება არის 5, ბანკირი მიიღებს მესამე ბანქოს, თუ
მოთამაშის მესამე ბანქო გახლდათ 4, 5, 6 ან 7.
თუ ბანკირის ხელის ღირებულება არის 6, ბანკირი მიიღებს მესამე ბანქოს, თუ
მოთამაშის მესამე ბანქო გახლდათ 6 ან 7.
თუ ბანკირის ხელის ღირებულება არის 7, ბანკირი შეჩერდება მოცემულ ხელზე.
ხელის ღირებულება მასში შემავალი ყველა ბანქოს ჯამური ღირებულების ტოლია, მაგრამ შემთხვევაში, როდესაც ხელის ღირებულება აჭარბებს 10-ს, მას გამოაკლდება 10 ქულა და დათვლა დაიწყება თავიდან(მაგ: 8+8=16, მაგრამ ითვლება უბრალოდ 6-ად, Jack+7=17, მაგრამ ითვლება როგორც 7.)

პირველი ორი ბანქო, რომელთა ჯამიც 9-ის ტოლია საუკეთესო შესაძლო ხელია და ეწოდება „Natural". რანგით მეორე საუკეთესო ხელი გახლავთ „Natural 8". თუ ორივეს, მოთამაშესა და ბანკირს, დაურიგდა ტოლი ღირებულების ხელი, დარიგება მთავრდება ყაიმით.

Ultimate texas holdem
თამაშდება 52 ბანქოთი და თამაშის მიზანია დილერის დამარცხება.
მოთამაშე აგროვებს საუკეთესო კომბინაციას თავისი ორი კარტით და მაგიდაზე გახსნილი ხუთი კართით(ფლოპი).
გამარჯვებულის გამოსავლენად საჭიროა დილერის და მოთამაშის კომბინაციების შედარება.
თუ დილერს ყავს წყვილზე დაბალი კომბინაცია, მაშინ ის არ არის კვალიფიცირებული და იგებს მოთამაშე.
თამაშის დასაწყებად საჭიროა ante ფსონის განთავსება და blind ავტომატურად იდება antes ოდენობის ფსონით.
აგრეთვე არსებობს Trips ბონუს თამაში. Trips იგებს მოთამაშე,როდესაც ბოლო ხუთი კარტის ხელი არის სამი ერთნაირი ან მეტი, მნიშვნელობა არ აქვს რა ხელს მიაღწევს დილერი.

Trips გადახდები:
როიალ ფლეში 50:1
სტრიტ ფლეში 40:1
კარე 8:1
ფლეში 7:1
სტრიტი 4:1
სამი ერთნაირი 3:1

Blind გადახდები:
როიალ ფლეში 500:1
სტრიტ ფლეში 50:1
კარე 3:1
ფლეში 1.5:1
სტრიტი 1:1

Three card poker
თამაშის მიზანი არის დილერის დამარცხება.
თამაში ხდება 52 კარტით და ყოველი რაუნდის მერე ხდება კარტის აჩეხვა.
თამაშის დასაწყებად საჭიროა ante ფსონის განთავსება. სამი ბანქოს დარიგების შემდეგ თუ მოთამაშეს უნდა თამაშის გაგრძელება,მან აუცილებლად უნდა დაამატოს ფსონი,რომელიც იქნება ანტეს ექვივალენტი. თუ მოთამაშეს არ სურს თამაშის გაგრძელება სამი დარიგებული ბანქოს შემდეგ, მაშინ მას აქვს ბანქოს დაყრის შესაძლებლობა.
დილერს კვალიფიკაცია ენიჭება მხოლოდ მაღალი ქალის კომბინაციის აწყობის შემთხვევაში ან უკეთესი. თუ მაღალ ქალზე დაბალი კომბინაციაა მაშინ არ ენიჭება კვალიფიკაცია და მოთამაშე იგებს ანტეს ოდენობის ფსონს.
მოთამაშეს აგრეთვე შეუძლია ფსონების განთავსება Pair plus-ზე და 6 card bonus-ზე სანამ ბანქო დარიგდება.
Pair plus ბონუსმა რომ ითამაშოს აუცილებელია კომბინაციის შეგროვება მოთამაშის სამი ბანქოსგან. ესენია:
მინი როიალი:100-1
სტრიტ ფლეში:40-1
სამი ერთნაირი:30-1
სტრიტი:5-1
ფლეში:4-1
წყვილი:1-1

6 card bonus არის მოთამაშის და დილერის ბანქოებისგან აწყობილი კომბინაციების ბონუსი.
როიალ ფლეში:1000-1
სტრიტ ფლეში:200-1
კარე 100-1
ფულ ჰაუსი 20-1
ფლეში: 15-1

სტრიტი 10-1
სამი ერთნაირი 7-1

Gonzo’s Treasure Hunt

არის საინტერესო, თამაში-შოუ და პოპულარული აზარტული თამაში, რომელიც სავსეა მოულოდნელი პრიზებით. თქვენ შეუერთდებით გონზოს, ესპანელ მკვლევარს, ელდორადოს დაკარგული საგანძურის ძიებაში. თამაშის მიზანი არის გამოიცნოთ, 70-ქვიან კედელზე სად ნახავთ დამალულ საგანძურის ქვებს.
თამაშის წესები
დადეთ ფსონები ერთ ან მეტ საგანძურის ქვაზე.

ქვები კედელზე შესაბამის ფერში გამოჩნდება.
შეარჩიეთ ვარიანტების რაოდენობა (1-დან 20-მდე), რომლის არჩევაც გსურთ, რათა იპოვოთ თქვენი ქვები, როცა კედელი დაიმალება.

თქვენი ჯამური ფსონი იქნება არჩეული ვარიანტების რაოდენობა გამრავლებული საგანძურის ქვებზე თქვენ მიერ განთავსებული ფსონების ჯამურ სიდიდეზე. მაგალითად, Ლ2-ის და Ლ5-ის დადება ორ სხვადასხვა ქვაზე და 3 არჩეულ ვარიანტზე არის (Ლ2+Ლ5) x 3 = Ლ21.
განძზე ნადირობა
ფსონების დადების და ვარიანტების რაოდენობის არჩევის შემდეგ, კედელზე ქვები აირევა და სიდიდეები დაიმალება. ახლა დროა, მოიპოვოთ თქვენი საგანძური კედლიდან ქვების არჩევით. ტაიმერი დაიწყებს ათვლას და შეგიძლიათ გააკეთოთ იმდენი არჩევანი, რა რაოდენობაც აირჩიეთ. შეგიძლიათ გადააადგილოთ თქვენი ნებისმიერი არჩევანი, მასზე დაწკაპუნებით/შეხებით და სხვა ქვაზე გადატანით.

თუ დრო ამოიწურა და თქვენ არ გაქვთ გაკეთებული ყველა არჩევანი, დარჩენილი ვარიანტები თქვენთვის ავტომატიური წესით გაკეთდება.
პრიზების ვარდნა
გონზო ახლა გადაატრიალებს გასაღებს პრიზების ვარდნის დასაწყებად! ბონუს პრიზები 3-დან 100-მდე სიდიდით გამოჩნდება კედლის ზედა ნაწილში, და თუ ქვემოთ მოცემულ რიგში ღიობია, პრიზები ჩამოცვივდება და გაჩერდება ქვებზე, რაც ემატება დამალული ქვის სიდიდეს. ზოგიერთი პრიზების ვარდნა შეიძლება არ მოიცავდეს პრიზებს, რომლებიც კედელზე უნდა დაეცეს.

ზედა რიგის პრიზებს შორის შეიძლება ასევე გამოჩნდეს 2x-დან 10x-მდე სიდიდის მამრავლები, რომლებიც კედელზე ყველა ხილულ სიდიდეს გაამრავლებს.

გარდა ამისა, განმეორებითი ვარდნა შეიძლება ასევე აღმოჩნდეს ზედა რიგის პრიზებს შორის, რაც იწვევს სხვა პრიზების ვარდნას და ზრდის კედელზე კიდევ უფრო მეტი პრიზის მოსვლის შანსებს.

ყოველთვის, როდესაც პრიზების ვარდნა ხდება, ზედა რიგში შეიძლება იყოს ბონუს პრიზები, მამრავლები და განმეორებითი ვარდნები, რომლებიც ამ თანმიმდევრობით მოდის. მაქსიმუმ 10 განმეორებითი ვარდნა შეიძლება მოხდეს თამაშის ერთი რაუნდის განმავლობაში. თუ ერთზე მეტი პრიზი დაეცემა ერთსა და იმავე ქვას, დაემატება ყველა საპრიზო სიდიდე. თუ განმეორებით ვარდნას აქვს ახალი მამრავლი, კედელზე არსებული ყველა ხილული სიდიდე კვლავ მრავლდება ამ მამრავლის გამოყენებით.
თამაშის დასრულებისას კედელი გახსნის საბოლოო სიდიდეებს ყველა ქვაზე.

ახლა შეგიძლიათ ნახოთ, აირჩიეთ თუ არა ის ქვა, რომელზეც დადებული იყო თქვენი ფსონი თამაშის რაუნდის დაწყებისას.

თქვენ მხოლოდ მაშინ მოიგებთ, თუ აირჩევთ რომელიმე ფსონს, რომელზეც ფსონი დადეთ. თუ აირჩიეთ ქვა, რომელმაც მიიღო ბონუს სიდიდე, ის ემატება სტანდარტული გადახდის სიდიდეს (1, 2, 4, 8, 20 და 65). თქვენი მომგებიანი ფსონი მრავლდება ქვების საბოლოო მნიშვნელობაზე. თქვენი თავდაპირველი ფსონი ერთ ქვაზე და ერთ არჩეულ ვარიანტზე დაემატება თქვენ მიერ მოგებულ თანხას.

მაგალითი 1: თქვენ ფსონს აკეთებთ 65x-ზე, ჩამოიშლება 10-ის ბონუს პრიზი და მას მოჰყვება 2x მამრავლი. თქვენი პრიზი იქნება 65 + 10 x 2 = 85. შემდეგ 85 გამრავლდება თქვენს ფსონზე, რომ მიაღწიოს თქვენს მთლიან მოგებას და თქვენი თავდაპირველი ფსონი მას დაემატება.
მაგალითი 2: თქვენ დადეთ ფსონი 1x-ზე და აირჩიეთ 5 არჩევანი. 10-ის ბონუს პრიზი დაეცა თქვენს ერთ-ერთ არჩევანს და მას მოჰყვა 2x მამრავლი.
როდესაც კედელი გამოჩნდება, დაინახავთ, რომ:
პირველი არჩევანის ქვეშ არის 1x ქვა 10 და 2x მამრავლის ბონუს პრიზით. თქვენი ბონუს პრიზის ღირებულება გამრავლებულია 2-ზე და ახლა არის 20. თქვენი ანაზღაურება არის 1+20
მეორე, მესამე და მეოთხე არჩევანის ქვეშ არის 1x ქვებიც. თქვენი გადახდა არის 1+1+1
მეხუთე არჩევის ქვეშ 4x ქვაა. რადგან ფსონი ამ ქვაზე არ დაგიდევთ, მასზე ანაზღაურებას არ მიიღებთ.
თქვენ იპოვნეთ 4 ქვა 1x-ით. თქვენი საბოლოო გადახდა 1x ქვისთვის არის 24.
ქვები, რომლებიც არჩეულია, მაგრამ არ მათზე არ გავრცელდა თქვენი ფსონი, კედელზე სპეციალური სიმბოლოთი გამოჩნდება.

ვირტუალური რეალობის რეჟიმი
თქვენ შეგიძლიათ ითამაშოთ თამაში ვირტუალური რეალობის (VR) რეჟიმში, VR ყურსასმენისა და მაკონტროლებლის გამოყენებით, თამაშთან ინტერაქციისთვის.
VR რეჟიმში შესასვლელად და ნამდვილი 360-გრადუსიანი თამაშით სიამოვნების მისაღებად, დააჭირეთ ღილაკს VR თქვენი მაკონტროლებლის გამოყენებით.

გადახდები

ფსონის გადახდა	ქვები კედელში	გადახდები
1	27	1-დან 1-მდე
2	20	2-დან 1-მდე
4	12	4-დან 1-მდე
8	7	8-დან 1-მდე
20	3	20-დან 1-მდე
65	1	65-დან 1-მდე

მაქსიმალური გადახდა თქვენი ყველა მოგებისთვის თამაშის რაუნდის ფარგლებში ₾500,000. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხ. ფსონების შეზღუდვის ცხრილი.
თამაშის რაუნდში მოგებული პრიზები ემატება სტანდარტულ გადახდას. მაქსიმალური თანხა, რომელიც კედელზე ინდივიდუალურ ქვას შეუძლია მიიღოს პრიზების ვარდნის დროს არის 20 000x.
გთხოვთ, გვაცნობოთ ნებისმიერი ხარვეზის შესახებ თამაშის და ყველა შემდგომი გადახდის დროს.
მოთამაშესთან დაბრუნება
თეორიულად მოთამაშისთვის დასაბრუნებელი (RTP) თანხა შეადგენს 96,56%-ს.
1 – 96,42%
2 – 96,51%
4 – 96,35%
8 – 96,56%
20 – 96,55%
65 – 96,52%
განათავსეთ თქვენი ფსონები
ფსონის ლიმიტების პანელი აჩვენებს მაგიდაზე მინიმალური და მაქსიმალური დასაშვები ფსონების ლიმიტებს, რაც შეიძლება დროდადრო შეიცვალოს. გახსენით ფსონის ლიმიტები, რათა შეამოწმოთ თქვენი მიმდინარე ლიმიტები.
Gonzo's Treasure Hunt ₾ 1 – 1,000
თამაში მონაწილეობისთვის, საჭიროა საკმარისი სახსრები ფსონების დასაფარად. შეგიძლიათ ეკრანზე იხილოთ თქვენი მიმდინარე ბალანსი.

ჩიპის ეკრანი საშუალებას გაძლევთ ამოირჩიოთ იმ თითოეული ჩიპის ღირებულება, რომლის დადებასაც გეგმავთ. მხოლოდ იმ დასახელებული ჩიპების გამოყენებაა შესაძლებელი, რომელსაც თქვენი ბალანსი ფარავს.

როგორც კი თქვენ შეარჩევთ ჩიპს, დადეთ თქვენი ფსონი სათამაშო მაგიდაზე უბრალო დაჭერით/დაწკაპუნებით ფსონის დადების ადგილზე. ყოველთვის, როცა თქვენ დააწკაპუნებთ/შეეხებით ფსონის ადგილს, თქვენი ფსონის რაოდენობა გაიზრდება მნიშვნელობაში თქვენს მიერ არჩეული ჩიპის ღირებულების შესაბამისად ან თქვენს მიერ არჩეული ფსონის მაქსიმალურ ლიმიტამდე. მას შემდეგ რაც თქვენ დადებთ მაქსინალური ლიმიტის ფსონს, დამატებითი ფსონების მიღება აღარ მოხდება და გამოჩნდება შეტყობინება, რომელიც გაცნობებთ, რომ თქვენ დადეთ მაქსიმალური ფსონი.
შენიშვნა: არ მოახდინოთ თქვენი ბრაუზერის მინიმიზაცია და არ გახსნათ ნებისმიერი სხვა გვერდი თქვენს ბრაუზერში ფსონების განთავსების დროს ან მაშინ, როდესაც ფსონები უკვე დაიდო სათამაშო მაგიდაზე. ამგვარი ქმედება შეიძლება აღიქვას როგორც თამაშიდან გასვლა და შედეგად, თქვენი ფსონები იქნება უარყოფილი თამაშის ამ კონკრეტულ რაუნდში.
აგრეთვე შეგიძლიათ დააწკაპუნოთ/შეეხოთ ღილაკს ფსონი ყველაზე, რომელიც საშუალებას გაძლევთ ფსონი დადოთ ყველა შესაძლო ფსონის მონაკვეთზე. თქვენს მიერ არჩეული ჩიპების მნიშვნელობა განთავსდება ყველა ფსონის მონაკვეთზე ერთდროულად.

გამეორება ღილაკი იძლევა თამაშის წინა რაუნდის ყველა ფსონის და არჩეული ვარიანტების რაოდენობის გამეორების საშუალებას. ღილაკი აქტიურია მხოლოდ პირველი ჩიპის დადებამდე.

ორმაგი (2x) ღილაკი გახდება ხელმისაწვდომი მას შემდეგ, რაც ნებისმიერ ფსონს განათავსებთ. თითოეული დაწკაპუნება/შეხება აორმაგებს თქვენს ყველა ფსონს, მაქსიმალურ ლიმიტამდე. გაითვალისწინეთ, რომ უნდა გქონდეთ საკმარისი ანგარიშის ბალანსი, ყველა დადებული ფსონის გასაორმაგებლად.

ღილაკი „გაუქმება“ აუქმებს თქვენს ბოლო მოქმედებას (ჩიპის დადებით, არჩევანის რაოდენობის არჩევით და ა.შ.). თუ თქვენი ბოლო მოქმედება „გამეორება“ იყო, ღილაკი „გაუქმება“ გააუქმებს ყველა გამეორებულ მოქმედებას, არჩევანის რაოდენობის ჩათვლით. თქვენ შეგიძლიათ გაასუფთავოთ ყველა მოქმედება ღილაკზე „გაუქმება“ უწყვეტად დაწკაპუნებით.

ფსონების ჯამის ინდიკატორი აჩვენებს მიმდინარე რაუნდში დადებული ყველა ფსონის საერთო ჯამს.

ავტოთამაში
ფსონის დადების შემდეგ, ავტოთამაში საშუალებას გაძლევთ გაიმეოროთ ყველა ფსონი და არჩეული ვარიანტების რაოდენობა თამაშის არჩეული რაოდენობის რაუნდების განმავლობაში.
ავტოთამაშის დასაწყებად, დადეთ ფსონები ფსონების ცხაურაზე, როგორც ყოველთვის, აირჩიეთ თქვენთვის სასურველი ვარიანტების რაოდენობა და შემდეგ დააჭირეთ/შეეხეთ ავტომატური თამაშის ღილაკს. თამაშის ახალი რაუნდის დაწყებისთანავე შეგიძლიათ, კვლავ აიღოთ ქვები კედლიდან. თუ დროულად არ მიიღეთ გადაწყვეტილება, მაშინ მოხდება ავტომატური გადაწყვეტილების მიღება და დარჩენილი არჩევანი თქვენთვის ავტომატურად გაკეთდება.

ავტოთამაშის პანელი გაიხსნება და აქედან თქვენ უბრალოდ აირჩევთ თამაშის რაუნდების იმ რაოდენობას, რამდენზეც გსურთ თქვენი ფსონის გამეორება. შემდეგ დაკლკეთ/დააჭირეთ დაწყება ავტოთამაშისთვის.

ავტომატური თამაშის რაუნდების თქვენ მიერ არჩეული რაოდენობა გამოჩნდება ინდიკატორში ავტომატური თამაშის ღილაკზე. ავტომატური თამაშის დარჩენილი რაუნდების რაოდენობა განახლდება, როგორც კი ავტომატური თამაში დაიწყება.

თქვენი მთლიანი ავტომატური თამაშის ფსონის თანხის გაანგარიშება შეიძლება მოხდეს თქვენი არჩეული ავტომატური თამაშის რაუნდების გამრავლებით თქვენი საერთო ფსონების სიდიდეზე. თქვენი ავტომატური თამაშის დარჩენილი ლიმიტის გაანგარიშება შეიძლება მოხდეს ავტომატური თამაშის რაუნდების გამრავლებით თქვენი საერთო ფსონების სიდიდეზე, თითოეულ რაუნდში.
თქვენი ავტომატური თამაშის რაუნდი გაგრძელდება მანამ, სანამ ან არჩეული ავტოთამაშის რაუნდების რაოდეობა არ დასრულდება, ან თქვენ არ შეწყვეტთ მას, უბრალოდ გაჩერებაზე დაწკაპუნებით/შეხებით.

დამატებითი ფსონების დადება ფსონების დადების სექციაში ან ფსონების გაორმაგება ავტოთამაშის დროს, არ შეაჩერებს ავტოთამაშს. გამოჩნდება შეტყობინება, რომელიც საშუალებას მოგცემთ აირჩიოთ ან გააგრძელოთ ავტომატური თამაში თქვენი შეცვლილი ფსონებით ან შეწყვიტოთ ავტომატური თამაში.

ჩატი
შეგიძლიათ ესაუბროთ თამაშის მასპინძელს/წარმდგენს და სხვა მოთამაშეებს. შეიყვანეთ შეტყობინება ჩეთის ველში. შეტყობინების გამოსაქვეყნებლად, დააჭირეთ Enter ან ველში მოცემულ ისრიან ღილაკს.
მოთამაშეებს, რომლებიც ბოროტად იყენებენ სასაუბროს თამაშის მასპინძლის ან სხვა მოთამაშეების შეურაცხყოფით ან შეუსაბამო და/ან შეურაცხმყოფელი სიტყვების გამოყენებით, ჩამოერთმევათ სასაუბროთი სარგებლობის უფლება.
დააჭირეთ ჩეთის ღილაკს ჩეთის ფანჯრის გასადიდებლად ან შესაბამისად დასახურად.

შეგიძლიათ ზომა შეუცვალოთ და გადაიტანოთ ჩეთის ფანჯარა ეკრანის ნებისმიერ ადგილზე.
თამაშის ნომერი
თითოეულ თამაშს ენიჭება უნიკალური თამაშის ნომერი.

ეს ნომერი ასახავს რაუნდის დაწყების დროს GMT-ს მიხედვით საათი: წუთი: წამი. გთხოვთ, გამოიყენეთ თამაშის ეს ნომერი (ან გადაუღეთ თამაშის ნომერს მომენტალური ფოტოსურათი - სკრინშოტი) იმ შემთხვევისათვის, თუ გსურთ დაუკავშირდეთ მომხმარებელთა მომსახურების სამსახურს კონკრეტული რაუნდის თაობაზე.
ხმა
ხმის ღილაკის საშუალებით შესაძლებელია ყველა თამაშის ბგერების და ხმის ჩართვა/გამორთვა.
გაითვალისწინეთ, რომ მაგიდის შეცვლის შემთხვევაში, ხმა ავტომატურად აქტიურდება.

შეგიძლიათ შეცვალოთ ხმის პარამეტრები პარამეტრების ღილაკზე დაწკაპუნებით/დაკლიკებით და შემდეგ ხმის ტაბის არჩევით.
თამაშის ისტორია
ისტორიის ღილაკის საშუალებით იხსნება ფანჯარა, სადაც ნაჩვენებია თქვენს მიერ ნათამაშები ყველა ცოცხალი თამაშის რაუნდი და ამ რაუნდების შედეგები.

შეგიძლიათ თვალი გადაავლოთ თქვენს წარსულ აქტივობას:
ანგარიშის ისტორია - სრულად გიჩვენებთ ანგარიშის ისტორიას თარიღების, თამაშების, ფსონების ოდენობის და გადახდების ჩათვლით. ყველაზე ბოლოს ნათამაშები თამაშის რაუნდი მოცემულია ჩამონათვალის დასაწყისში.
თამაშის ისტორია - გვიჩვენებს კონკრეტული თამაშის იტორიას, როცა დააწკაპუნებთ/დააკლიკებთ თამაშზე თამაშების სვეტიდან.
ავტომატურად გაკეთებული არჩევანი სპეციალური სიმბოლოთი გამოჩნდება.

ღილაკი
პარამეტრების ღილაკით ხდება მენიუს გახსნა, მომხმარებლის მიერ პარამეტრების ცვლილების მიზნით.
მაშინვე ხდება შეტანილი ცვლილებების განხორციელება და ინახება თქვენს პროფაილში. შენახული პარამეტრები ავტომატურად ძალაშია ნებისმიერი მოწყობილობისთვის სისტემაში შესვლის დროს.
შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი ზოგადი ან თამაშის პარამეტრები.

პარამეტრები გადანაწილებულია პარამეტრების ფანჯარაში რამდენიმე ძირითად ტაბში:
ზოგადად
შეგიძლიათ დამალოთ/გამოაჩინოთ სხვა მოთამაშეების საუბარი.
ვიდეო
ვიდეო ხარისხი ავტომატურად არის დარეგულირებული, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ თავადაც შეცვალოთ ვიდეოს ხარისხი და აირჩიოთ კონკრეტული ნაკადი.
ხმა
შეგიძლიათ ჩართოთ/გამორთოთ წარმდგენის და თამაშის ხმა და დაარეგულიროთ მათი ხმის სიმაღლე.
დეპოზიტი და თანხის გატანა
მოლარე ღილაკი ააქტიურებს მოლარე/ბანკინგის ფანჯარას დეპოზიტების განთავსების ან თანხის მოხსნის მიზნით.

საპასუხისმგებლო თამაში
საპასუხისმგებლო თამაში ღილაკი გაძლევთ წვდომის საშუალებას გვერდზე, რომელზეც განთავსებულია საპასუხისმგებლო თამაშის პოლიტიკა. ეს გვერდი გაწვდით სასარგებლო ინფორმაციას და ბმულებს ონლაინ თამაშების დროს ქცევის ეთიკის შესახებ და გაცნობებთ როგორ დააწესოთ ლიმიტები თქვენი თამაშის სესიებზე.

შეცდომების დამუშავება
იმ შემთხვევაში, თუ თამაშში, სისტემაში, ან თამაშის პროცედურაში გამოვლინდა რაიმე ტიპის შეცდომა, თამაშის რაუნდი დასრულდება და მომდევნო რაუნდი დაპაუზდება, ხოლო, თამაშის მასპინძელი/წარმდგენი აცნობებს მომსახურების მენეჯერს. თქვენ და სხვა მოთამაშეებს გეცნობებათ ჩეთის მეშვეობით, ან ეკრანზე გამოვა შეტყობინება, რომ მიმდინარეობს პრობლემის შესწავლა. თუ მენეჯერი დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ხარვეზს, თამაშის რაუნდი გაგრძელდება ჩვეულებრივ რეჟიმში. თუ პრობლემის მოგვარება დაუყოვნებლივ შეუძლებელია, თამაშის რაუნდი გაუქმდება და საწყისი ფსონები დაუბრუნდება მოთამაშეებს, რომლებიც მონაწილეობდნენ თამაშის რაუნდში.
კავშირის შეწყვეტის პოლიტიკა
თუ კავშირი შეწყდა თამაშის მსვლელობის დროს, დადებული ფონი რჩება ძალაში და გათამაშდება თქვენი არ ყოფნის შემთხვევაშიც. კავშირის აღდგენის შემდეგ, ფსონის შედეგები შეგიძლიათ ნახოთ ისტორიის ფანჯარაში.
მეტი თამაშები
დარბაზი ღილაკის არჩევა, შესაძლებელია ნებისმიერ დროს ნებისმიერი თამაშიდან.

ის საშუალებას გაძლევთ მარტივად შეიცვალოთ მაგიდა ან აირჩიოთ ნებისმიერ სხვა ცოცხალი თამაში. თქვენ არ ტოვებთ თამაშს, სანამ არ აირჩევთ იმ ახალ თამაშს/მაგიდას, სადაც გსურთ გადასვლა. შეგიძლიათ დარბაზის ბრაუზერი გამოიყენოთ სხვა თამაშების დასათვალიერებლად და ამავდროულად ითამაშოთ არსებულ მაგიდასთან.
ერთდროულად რამდენიმე თამაში
თუ თქვენ ხართ უწყვეტი თამაშის მოყვარული, შეგიძლიათ ერთდროულად ითამაშოთ ერთზე მეტ მაგიდაზე – შემდეგ ნახოთ და ითამაშოთ ერთდროულად, ბრაუზერის ერთი ფანჯარაში!
როცა თუნდაც ერთ მაგიდაზე დაჯდებით სათამაშოდ, დააწკაპუნეთ ღილაკზე "სათამაშო დარბაზი". სათამაშო დარბაზში ან თამაშში, დააწკაპუნეთ მაგიდასთან დაკავშირებულ ღილაკზე "+მაგიდა" რათა შემოუერთდეთ მას. (ზოგიერთი მაგიდა შესაძლოა არ იყოს ხელმისაწვდომი ერთდროულად რამდენიმე თამაშისთვის და აქედან გამომდინარე გამოსახული იყოს "+მაგიდა" ღილაკი).

მას შემდეგ რაც რამდენიმე მაგიდასთან დაჯდებით, თქვენ შეგიძლიათ ზომა შეუცვალოთ თქვენს ბრაუზერის ფანჯარას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში თითოეული სათამაშო მაგიდის ფანჯარას ცალ-ცალკე.
შეგიძლიათ დატოვოთ ნებისმიერ მაგიდა ისე, რომ ეს გავლენას არ იქონიებს სხვა მაგიდებზე, სადაც თამაშობთ პარალელურად. მაგიდიდან გასასვლელად, დააწკაპუნეთ "X" ღილაკზე.
გთხოვთ, გაითვალისწინეთ:
მაგიდიდან ავტომატურად გამოვარდებით, თუ შეეცდებით დაჯდეთ ერთი და იგივე მაგიდაზე სხვადასხვა მოწყობილობიდან/ბრაუზერიდან.
თუ თქვენ დააწკაპუნებთ პირდაპირ მაგიდის ნიშანზე "+მაგიდა" ღილაკის მაგივრად, თქვენ უბრალოდ გადაერთვებით ერთი მაგიდიდან მეორეზე. ორივე მაგიდასთან დაჯდომის მაგივრად, გამოვარდებით მანამდე არჩეული მაგიდიდან.
ჩვენ გირჩევთ აირჩიოთ მხოლოდ იმდენი მაგიდა რამდენის განთავსებაც შეიძლება თქვენს ეკრანზე, რაც საშუალება მოგცემთ დადოთ ფსონები გააზრებულად და ზუსტად.
მალსახმობი კლავიშები
მალსახმობი კლავიშები გამოიყენება თამაშის სასარგებლო ფუნქციების სწრაფად შესასრულებლად
.

კლავიშები	ფუნქცია
რიცხვების ღილაკები 1-დან და ზევით	აირჩიეთ სასურველი ჩიპი ჩიპების ეკრანიდან. ღილაკი "1" შეესაბამება ისეთ ჩიპს, რომესაც ყველაზე დაბალი მნიშვნელობა აქვს. ღილაკი "2" ირჩევს მომდევნო უფრო მაღალი მნიშვნელობის ჩიპს, და ასე შემდეგ.
SPACEBAR	იმეორებს თქვენს ყველაზე ბოლო ფსონს. დააწკაპუნეთ SPACEBAR-ზე თქვენი ფსონის გასაორმაგებლად.
CTRL+Z (CMD+Z), DELETE, BACKSPACE	თქვენი ბოლო ფსონის გასაუქმებლად. თქვენი ყველა ფსონის გასაუქმებლად დააჭირეთ ღილაკს 3 წამის განმავლობაში.
ESC	საჭიროების შემთხვევაში, ESC გამოიყენება: სრული ეკრანის რეჟიმიდან გამოსასვლელად

კლავიშები	ფუნქცია
	ღია საინფორმაციო ფანჯრების დასახურად (ისტორია,დახმარება,პარამეტრები და სხვა)

Mega Ball

Mega Ball არის უნიკალური თამაში-შოუ და პოპულარული. აზარტული, გასართობი და სწრაფი ტემპის თამაში, რომელსაც ახასიათებს Mega Ball-ის ბონუს რაუნდი, რომელშიც კიდევ უფრო მეტის მოგების შანსი გაქვთ, დამატებითი მამრავლებით! შეიძინეთ ბარათების პაკეტი, რომლითაც ითამაშებთ, თქვენ მიერ არჩეული სიდიდისთვის, და შეაგროვეთ ხაზები, სანამ დანომრილი ბურთები შემთხვევითი წესით ვარდება ლოტოტრონში, უბრალოდ დაასრულეთ ნომრების ხაზები თქვენს ბარათ(ებ)ზე. ეს ეხება რაც შეიძლება მეტი ხაზის მიღებას თითოეულ ბარათზე - რაც მეტ ხაზს მიიღებთ, მით მეტს მოიგებთ!

თამაშის წესები

Mega Ball ითამაშება 1-დან 400-მდე ბარათით და ლოტოტრონით. თითოეული 5x5-უჯრიანი ბარათის შეიცავს 24 შემთხვევითი წესით დალაგებულ უნიკალურ ნომერს თავისუფალი უჯრით ცენტრში. თავისუფალი უჯრა ითვლება უკვე აღნიშნულ უჯრად. თქვენ მოიგებთ, თუ მიიღებთ 5 უჯრისგან შემდგარ ჰორიზონტალურ, ვერტიკალურ ან დიაგონალურ ხაზს. თქვენ შეგიძლიათ მოიგოთ 9 ხაზამდე, თითოეულ ბარათში.

თამაშის მთავარი რაუნდი

შეიძინეთ ბარათების პაკეტი, რომლითაც ითამაშებთ, თქვენ მიერ არჩეული სიდიდისთვის. შეგიძლიათ დაამატოთ ბარათის პაკეტები პირველი პაკეტის შეძენის შემდეგ და შეცვალოთ თქვენი პაკეტების სიდიდე, სანამ ფონების დადების დრო ამოიწურება. თქვენ მიერ არჩეული ბარათის სიდიდე ავტომატურად გავრცელდება თქვენს ყველა ბართზე.

თქვენი ბარათები გამოჩნდება ეკრანზე, რაოდენობის მიუხედავად. შეგიძლიათ ცალკეული ბარათის ზომაში გადიდება, ნებისმიერ დროს. თუ გსურთ შეცვალოთ ნომრები კონკრეტულ ბარათზე, უბრალოდ გაადიდეთ ეს ბარათი და სანამ ფსონის დადების დრო ამოიწურება, დააწკაპუნეთ/დააჭირეთ ღილაკს ,,ნომრების განახლება'', სანამ არ დაკმაყოფილდებით მიღებული ახალი ნომრებით.

ფსონის დადების დროის ამოწურვის შემდეგ, 51 დანომრილი ბურთიდან 20 ჩამოცვივდება ლოტოტრონიდან. თუ ჩამოვარდნილი ბურთის ნომერი თქვენს ბარათებში რომელიმე რიცხვს ემთხვევა, ამ ნომერზე ავტომატურად თავსდება ნიშანი. დასრულებული ხაზის შეგროვებისას, თქვენი მოგებები თითოეულ ბარათზე ავტომატურად განახლდება და გამოჩნდება შესაბამისი ბარათის ქვემოთ.

რადგან ბურთები სათითაოდ ცვივა, თქვენი ბარათები ავტომატურად განახლდება და დალაგდება ბარათებით, რომლებიც ყველაზე ახლოს არის ზემოთ მოთავსებულ მოგებასთან.
გარდა ამისა, თქვენს ეკრანზე ასევე ნახავთ, თუ რამდენის მოგებას შეძლებდით სპეციალური ბურთის ჩამოვარდნის შემთხვევაში. ბურთების მოსალოდნელი ნომრები თქვენს ბარათებზე ოქროსფრად გაფერადდება.

ჩამოვარდნილი ბურთები ასევე ავტომატურად განახლდება და გამოჩნდება თქვენს ეკრანზე.

Mega Ball-ის ბონუს რაუნდი

მას შემდეგ, რაც თამაშის მთავარ რაუნდში 20-ვე ბურთი ჩამოცვივდება, დაემატება Mega Ball-ის ერთი ან ორი დამაინტრიგებელი ბონუს რაუნდი. Mega Ball-ის ბონუს რაუნდის დასაწყისში წარმოიქნება Mega Ball-ის მამრავლი 5x-დან 100x-მდე დიაპაზონში. Mega Ball-ის რაოდენობის დასადგენად, ლოტოტრონიდან არსებული ბურთი გამოვარდება.
თუ Mega Ball-ის ნომერი ასრულებს ნებისმიერ ხაზს თქვენს ბარათ(ებ)ში, ამ ბარათზე გადახდა მრავლდება Mega Ball-ის მამრავლზე.
თუ ხაზი არ არის დასრულებული, მეგა ბურთის ნომერი განიხილება როგორც ჩვეულებრივი ბურთი და არ გამრავლდება გადახდაზე.
თუ იმავე ბარათში მომგებიან ხაზებს შორის არის ერთზე მეტი Mega Ball, თქვენი ანაზღაურება მრავლდება მხოლოდ უმაღლეს მამრავლზე.

თამაშის შედეგი

თამაშის რაუნდის დასრულების შემდეგ, თქვენი ბარათები ხელახლა დალაგდება და ეკრანზე დარჩება მხოლოდ მომგებიანი ბარათები. თქვენი მთლიანი მოგება გაანგარიშდება ავტომატურად და გამოჩნდება თქვენს ეკრანზე.

თამაშის თვალის დევნება
თუ თამაშს შეუერთდებით, როდესაც თამაშის რაუნდი უკვე დაწყებულია ან არ შეგიძენიათ ბარათები სათამაშოდ, შეგიძლიათ თვალი ადევნოთ თამაშს, მომდევნო რაუნდის დაწყებამდე.
ბოლოდროინდელი მამრავლები
სანამ ფსონის დადების დრო ღიაა, ნაჩვენებია Mega Ball-ის უახლესი მამრავლები.

გადახდა

ხაზების რაოდენობა	გადახდები
6+ ხაზი	9 999 - 999 999 : 1
5 ხაზი	999 - 99 999 : 1
4 ხაზი	249 - 24 999 : 1
3 ხაზი	49 - 4 999 : 1
2 ხაზი	4 - 499 : 1
1 ხაზი	1x (ბიძგი) - 99 : 1

მაქსიმალური გადახდა თქვენი ყველა მოგებისთვის თამაშის რაუნდის ფარგლებში შეზღუდულია.
დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ფსონების შეზღუდვის ცხრილი.
გთხოვთ, გვაცნობოთ ნებისმიერი ხარვეზის შესახებ თამაშის და ყველა შემდგომი გადახდის დროს. მოხდება ფსონების დაბრუნება.

Blackjack

ბლექჯეკში მოთამაშის მიზანია დაამარცხოს დილერი მასთან შედარებით უფრო მაღალი ღირებულების ბანქოს შეგროვებით. აღსანიშნავია, რომ მოთამაშე ავტომატურად გამოცხადდება გამარჯვებულად, თუკი დილერის ბანქოს ჯამური ღირებულება გადააჭარბებს 21-ს(„Bust“) და შესაბამისად, დამარცხებულად, თუკი მისი ბანქოს ჯამური ღირებულება აღმოჩნდება 21-ზე მეტი. თუ მოთამაშისა და დილერის ხელი თანაბარი ღირებულების აღმოჩნდა, გამოცხადდება ფრე („Tie“, ასევე ცნობილი, როგორც „Push“) და მოთამაშე ფსონს მიიღებს უკან. ბლექჯეკის მაგიდის ერთ მხარეს განთავსებულია ადგილები მოთამაშეებისთვის, ხოლო მეორე მხარეს კი ადგილი დილერისთვის. ბლექჯეკში მოთამაშეები უპირისპირდებიან დილერს. ბლექჯეკში მონაწილეობს ბანქოს 8 შეკვრა დილერი აღარ დაიმატებს ბანქოს თუ მიაღწია 17-ს გაორმაგება შეიძლება ნებისმიერ პირველ ორ ბანქოზე ხელი იყოფა თუ პირველი ორი ბანქოს ღირებულება ტოლია დარიგებაში ხელის მხოლოდ ერთხელ გაყოფა შეიძლება გაყოფილ ტუზებს დამატებით ურიგდება მხოლოდ ერთი ბანქო ხელის გაყოფის შემდეგ გაორმაგება არ შეიძლება დილერის ღია ბანქო თუ ტუზია, მოთამაშეს შეუძლია „დაზღვევა“ ბლექჯეკისგან. ბლექჯეკზე გადახდა 3:2, დაზღვევაზე გადახდა 2:1

ყაიმისას ფსონი ბრუნდება უკან ბანქოს მასტებს ბლექჯეკში მნიშვნელობა არ გააჩნია. ბანქოებს 2-დან 10-ის ჩათვლით აქვთ იგივე ღირებულება, რაც მათზეა გამოსახული, ხოლო ნებისმიერი ნახატიანი ბანქოს ღირებულება გახლავთ 10, გამონაკლისია მხოლოდ ტუზი(„Ace”), რომელიც უდრის 1-ს ან 11-ს. ტუზის ღირებულება დამოკიდებულია მოთამაშის/დილერის საუკეთესო კომბინაციაზე. მოთამაშის/დილერის ხელის ღირებულება მისთვის დარიგებული
თითოეული ბანქოს ჯამური ღირებულების ტოლია.

ბლექჯეკი - მოთამაშის პირველი ორი ბანქოს ღირებულება თუ ზუსტად 21-ის ტოლია, მოთამაშეს ჰყავს ბლექჯეკი.

დაზღვევა.

დილერის ბანქო თუ აღმოჩნდა ტუზი, მოთამაშეს შეუძლია თავი დაიცვას დილერის „ბლექჯეკისგან“ - ასეთ ფსონს „დაზღვევა“ ეწოდება და ის საწყისი ფსონის ნახევარს უდრის. დილერს თუ აღმოაჩნდება „ბლექჯეკი“ ფსონი გაიმარჯვებს და გადახდა იქნება 2:1, თუ „ბლექჯეკი“ არ შედგება, „დაზღვევა“ წაგებულად ჩაითვლება, ხოლო გათამაშება ჩვეულებრივად გაგრძელდება.

გაორმაგება, ბანქოს დამატება, გაჩერება და გაყოფა თამაშის დაწყებისას ყველა მოთამაშეს ურიგდება 2, ხოლო დილერს კი 1 გახსნილი ბანქო. თითოეულ მოთამაშეს აქვს უფლება დაიმატოს ბანქო(“Hit”), შეჩერდეს მოცემულ ხელზე(„Stand”) ან გაორმაგოს ფსონი(„Double“). ფსონის გაორმაგება შესაძლებელია მხოლოდ საწყის ორ ბანქოში და აღსანიშნავია, რომ მოთამაშე ავტომატურად მიიღებს მხოლოდ ერთ ბანქოს და დამატების(“Hit”) უფლება აღარ მიეცემა. წყვილის ან ორი ერთნაირი ღირებულების მქონე ბანქოს დარიგების შემთხვევაში მოთამაშეს უფლება ეძლევა გაყოს ხელი(„Split”) და დილერი ორივე ქვეხელზე ავტომატურად დაურიგებს მეორე ბანქოს. მოთამაშეს ამ შემთხვევაშიც ჩვეულებრივად შეუძლია დამატება(„Hit”), შეჩერება(“Stand”), ფსონის გაორმაგება(„Double”) ან გაყოფა(“Split”, ერთ დარიგებაში შესაძლებელია ხელის 3-ჯერ გაყოფა) . საწყისი ხელი თუკი ორი ტუზი გახლავთ, გაყოფის შემთხვევაში მოთამაშეს თითოეული ქვეხელისთვის მხოლოდ ერთი ბანქოს დამატების უფლება მიეცემა.

დარიგების შედეგი.
მოთამაშის ბანქოთა ღირებულებამ თუ გადააჭარბა 21-ს ხელი ითვლება დამარცხებულად და ფსონი აგებს. მოთამაშეების შემდეგ სიტყვა გადადის დილერზე, რომელიც დაიმატებს ბანქოს, სანამ მისი ხელის ღირებულება გახლავთ 16-ზე ნაკლები ან ტოლი. დილერის ბანქოს ჯამური ღირებულება თუ გაუტოლდა ან გადააჭარბა 17-ს, დილერი შეჩერდება, მიუხედავად იმისა, თუ რა ბანქო აქვს ნებისმიერ მოთამაშეს. ხელში, რომელშიც ტუზს მინიჭებული აქვს 11-ის ღირებულება „Soft“ ხელი ეწოდება, შესაბამისად, დილერი ვალდებულია გაჩერდეს “Soft” 17-ზეც. ბლექჯეკი აღემატება სამი ბანქოსგან ან ხელის გაყოფის შემდეგ მიღებულ 21-ს.

Side Bets.
ბლექჯეკი მოიცავს ორ ბონუს თამაშს: Perfect Pairs და 21+3. მოთამაშეს მთავარ ფსონთან ერთად ნებისმიერ დარიგებაში შეუძლია ჩაერთოდ ბონუს თამაშში. ძირითადი ხელის მოგება/წაგება არ მოქმედებს ბონუს თამაშზე.

Perfect Pairs.
